ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
„გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“

ნინო ქიტოშვილი

ცოლ-ქმრული კონფლიქტი და მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა; მედიაციური და მოდერაციული ანალიზი

ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკატერინე ფირცხალავა,
ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი
2023 წელი

კვლევა [PHDF-22-1043] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით/ This research [PHDF-22-1043] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

სარჩევი

აბსტრაქტი VIII

ABSTRACT XI

შესავალი 1

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა 7

1.1. ცოლ-ქმრული კონფლიქტი: მიზეზები და შედეგები 7

1.2. მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა და მასზე მოქმედი ფაქტორები 10

თავი II. ცოლ-ქმრული კონფლიქტისა და მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის ურთიერთმიმართება 13

2.1. ოჯახის ფუნქციონირება 13

2.2. აღზრდის სტილი 14

2.3. ოჯახის ფინანსური მდგომარეობა 16

2.4. ფსიქო-სოციალური-მხარდაჭერა 18

2.5. სქესი, ასაკი, განათლება და სხვა ფაქტორები 19

შეჯამება 21

თავი III. თეორიული მოდელი 24

თავი IV. საკვლევი საკითხის განსაზღვრა 26

4.1. კვლევის მიზნები და ამოცანები 28

თავი V. კვლევის მეთოდოლოგია 31

თავი VI. ემპირიული კვლევა 33

6.1. საველე კვლევის პირველი ნაწილი 33

6.1.1. ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურა - თვისებრივი კვლევა 35

6.1.2. ინსტრუმენტის ფსიქომეტრული მახასიათებლების განსაზღვრა - საპილოტე კვლევა 36

6.1.3. სანდოობა 38

6.1.4. ფაქტორული ანალიზი 44

საპილოტე კვლევის შეჯამება 53

6. 2. საველე კვლევის მეორე ნაწილი 54

6.2.1. კვლევის შერჩევა და პროცედურა 54

6.2.2. საკვლევი საკითხი და ჰიპოთეზები.....56

კვლევის ჰიპოთეზები.....60

თავი VII. კვლევის შედეგების აღწერა და ანალიზი.....64

7.1. დემოგრაფიული მონაცემები.....64

7.2. საკვლევი ცვლადების მაჩვენებლების კავშირის კვლევა.....65

7.2.1 ცოლ-ქმრული კონფლიქტის ტენდენციურობის ქულების შედარება სკალების მიხედვით.....65

7.2.2. ჩვენ მიერ შემუშავებული სკალებზე განსხვავებები გენდერულ ჭრილში...65

7.2.3. ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია და მოზარდი შვილის კეთილდღეობის მაჩვენებლების ურთიერთმიმართება საკვლევ ცვლადებთან....66

7.2.4. დედის კონფლიქტურობის ურთიერთმიმართება საკვლევ ცვლადებთან...68

7.2.5 მამის კონფლიქტურობის ურთიერთმიმართება საკვლევ ცვლადებთან.....69

7.2.6. შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა.....71

7.2.6.1. შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის ურთიერთმიმართება საკვლევ ცვლადებთან.....71

7.3. საკვლევი ცვლადების ურთიერთმიმართების შეფასება.....73

7.3.1. დედის დემოგრაფიული მონაცემების ურთიერთმიმართება მოზარდის მხარდაჭერის განცდასა და კეთილდღეობის დონესთან.....73

7.3.2..მამის დემოგრაფიული მონაცემების ურთიერთმიმართება მოზარდის მხარდაჭერის განცდასა და კეთილდღეობის დონესთან.....74

7.3.3. შვილის დემოგრაფიული მონაცემების გავლენა მის მხარდაჭერის განცდასა და კეთილდღეობის დონეზე.....76

7.4. რეგრესიული ანალიზი.....77

7.4.1. დედის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის გავლენა საკვლევ ცვლადებზე.....78

7.4.2. მამის კონფლიქტურობის ტენდენციის გავლენა საკვლევ ცვლადებზე.....80

7.4.3. კვლევის პროცესში გამოვლენილი ვარაუდების გადამოწმება.....81

7,5. მედიაციური ანალიზი.....84

7.5.1. დედის ოჯახში ფუნქციონირების მედიაციური როლი.....84

7.5.1.1. კვლევის პროცესში გამოვლენილი მედიაციური ეფექტის ვარაუდების გადამოწმება.....85

7.5.2. მამის ოჯახში ფუნქციონირების მედიაციური როლი.....86

7.5.2.1. კვლევის პროცესში გამოვლენილი მედიაციური ეფექტის ვარაუდების გადამოწმება,.....87

7.6. მოდერაციული ანალიზი..... **88**

კვლევის შედეგების შეჯამება/ კვლევის მიგნებები **90**

თავი VIII. **97**

ნაშრომის ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები..... 98

კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება..... 101

კვლევის შეზღუდვები და სამომავლო კვლევის რეკომენდაციები..... 102

გამოყენებული ლიტერატურა..... **104**

დანართები..... **110**

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი № 1 სკალებს შორის კორელაციური ანალიზი..... 37

ცხრილი №2. მშობლების კითხვარის სუბსკალების სანდოობის მაჩვენებელი 40

ცხრილი №3. მშობლების კითხვარის სანდოობის ჯამური მაჩვენებელი 41

ცხრილი №4, მოზარდის კითხვარის სანდოობის მაჩვენებელი 42

ცხრილი №5 მოზარდის კითხვარის სანდოობის ჯამური მაჩვენებელი..... 44

ცხრილი №6 ცოლ-ქმრული კონფლიქტის სკალის ფაქტორული ანალიზი..... 45

ცხრილი №7 აღზრდის სტილის სკალის ფაქტორული ანალიზი..... 46

ცხრილი№8 ოჯახის ფუნქციონირების სკალის ფაქტორული ანალიზი 47

ცხრილი №9 ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის სკალის ფაქტორული ანალიზი..... 49

ცხრილი№10 მშობლის მიერ შეფასებული მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის სკალის ფაქტორული ანალიზი 50

ცხრილი №11 მოზარდის ფსიქოსოციალური მხარდაჭერის სკალის ფაქტორული ანალიზი..... 52

ცხრილი №12 მოზარდი შვილის მიერ საკუთარი ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის სკალის ფაქტორული ანალიზი 52

ცხრილი №13 ცოლ-ქმრული კონფლიქტის სკალების კონვერგენტული კორელაციური ანალიზი 65
ცხრილი№14 ცოლ-ქმრის შორის განსხვავებები სკალებზე 66
ცხრილი №15. ცოლ-ქმრული კონფლიქტურობა 68
ცხრილი №16 დედების კონფლიქტურობის ტენდენციის კავშირი საკვლევ ცვლადებთან 68
ცხრილი №17 დედის კონფლიქტურობის ტენდენციის ურთიერთმიმართება საკვლევ ცვლადების საშუალო მაჩვენებელთან 69
ცხრილი №18 მამების კონფლიქტურობის ტენდენციის კავშირი საკვლევ ცვლადებთან 69
ცხრილი №19 მამის კონფლიქტურობის ტენდენციის ურთიერთმიმართება საკვლევ ცვლადების საშუალო მაჩვენებელთან 70
ცხრილი № 20 შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა 71
ცხრილი №21 მოზარდი შვილების კეთილდღეობის კავშირი საკვლევ ცვლადებთან 71
ცხრილი №22 შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის ურთიერთმიმართება საკვლევ ცვლადების საშუალო მაჩვენებლებთან 72
ცხრილი №23 დედის დემოგრაფიული მონაცემების ურთიერთმიმართება მოზარდის მხარდაჭერის განცდასა და კეთილდღეობის დონესთან. 73
ცხრილი №24 მამის დემოგრაფიული მონაცემების ურთიერთმიმართება მოზარდის მხარდაჭერის განცდასა და კეთილდღეობის დონესთან 75
ცხრილი №25 შვილის დემოგრაფიული მონაცემების ურთიერთმიმართება მის მხარდაჭერის განცდასა და კეთილდღეობის დონესთან 76
ცხრილი № 26 დედის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის გავლენა საკვლევ ცვლადებზე 79
ცხრილი№27 მამის კონფლიქტურობის ტენდენციის გავლენა საკვლევ ცვლადებზე 80
ცხრილი № 28 კვლევის პროცესში გამოვლენილი ვარაუდების რეგრესიული ანალიზი 82
ცხრილი № 29 კვლევის პროცესში გამოვლენილი ვარაუდების გადამოწმება 83
ცხრილი № 30 . დედის ოჯახში ფუნქციონირების მედიაციური როლი 85

ცხრილი № 31 . კვლევის პროცესში გამოვლენილი მედიაციური ეფექტის ვარაუდების გადამოწმება 86
ცხრილი № 32. მამის ოჯახში ფუნქციონირების მედიაციური როლი 87
ცხრილი №33 კვლევის პროცესში გამოვლენილი მედიაციური ეფექტის ვარაუდების გადამოწმება, ... 88
ცხრილი №34 ცოლ-ქმრის აღზრდის სტილის მიმართება მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობასთან 89

აბსტრაქტი

სადოქტორო ნაშრომის კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლისა და მოზარდი შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის კავშირზე ზეგავლენის უნარიანი ცვლადების დადგენა და მათი მოდერაციული და მედიაციური ანალიზი: რა შემთხვევაში იცვლება ოჯახში, ცოლ-ქმარს შორის არსებული კონფლიქტის მაჩვენებლისა და შვილის კეთილდღეობას შორის არსებული კავშირი. დამატებით, კვლევაში შესწავლილ იქნა ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლისა და მოზარდი შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის კავშირზე ზეგავლენის უნარიანი, კვლევის პროცესში იდენტიფიცირებული ცვლადების კულტურული თავისებურება. საკვლევ ამოცანებზე პასუხის გასაცემად ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, სადაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მცხოვრებმა ოჯახებმა: ცოლ-ქმარმა და მოზარდობის ასაკში მყოფმა მათმა შვილებმა.

კვლევის პროცესში შემუშავდა ე.წ. სკრინინგ ინსტრუმენტი, რომელიც იკვლევს ცოლ-ქმარს შორის არსებული კონფლიქტის მაჩვენებლისა და შვილის კეთილდღეობას შორის არსებული კავშირს და ამ კავშირზე გავლენისუნარიან ცვლადებს (ცოლ-ქმრის მიერ ფინანსური მდგომარეობისა და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმა; ცოლ-ქმრის ოჯახის ფუნქციონირება და აღზრდის სტილი და ასევე, ოჯახის წევრების დემოგრაფიული მონაცემები).

კვლევა ჩატარდა რამდენიმე ეტაპად. პირველ რიგში იდენტიფიცირდა ცოლ-ქმრული კონფლიქტისა და მოზარდთა ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის კავშირზე გავლენის უნარის მქონე ცვლადები; მეორე ეტაპზე, შემუშავდა იდენტიფიცირებული ცვლადების საკვლევი ინსტრუმენტი და მესამე ეტაპზე კი, გაანალიზდა აღნიშნული ცვლადების მედიაციური და მოდერაციული ბუნება.

კვლევის მოლოდინით, ცოლ-ქმრული კონფლიქტის მოზარდის ფსიქოსოციალურ კეთილდღეობაზე ასახვის პროცესში ცოლ-ქმრის: ფინანსური მდგომარეობის აღქმას, ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდასა და მშობლის აღზრდის სტილს უნდა ჰქონოდა მოდერატორული, ხოლო მშობლის ოჯახის ფუნქციონირების მაჩვენებელს

კი მედიაციური როლი. საკვლევი ცვლადების მედიაციური და მოდერაციული ანალიზის შედეგად, მშობლის მიერ ფინანსური მდგომარეობის აღქმა, მშობლებისა და მოზარდების ფსიქო- სოციალური მხარდაჭერის აღქმა და ცოლ-ქმრულ ოჯახის ფუნქციონირების დონემ შეიძინა მედიატორის როლი. ხოლო აღზრდის სტილს კი მოდერატორული და მედიაციური როლი არ აღმოაჩნდა. იდენტიფიცირდა მხოლოდ ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლისა და მოზარდი შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის კავშირზე ზეგავლენის უნარიანი მედიაციური ცვლადები, რომელთაგან ყველაზე დიდი ეფექტის მქონე აღმოჩნდა ოჯახის ფუნქციონირების მაჩვენებელი და მისი ცვლილება. კვლევის პროცესში ვერ იდენტიფიცირდა მოდერატორული როლის მქონე ცვლადები, რომელიც ან ამძაფრებს ან ასუსტებს ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონეზე ასახვას.

კვლევის სიახლეს წარმოადგენს ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლისა და მოზარდი შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის კავშირზე ზეგავლენის უნარიანი ცვლადების (ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის, ფინანსური მდგომარეობის აღქმა და ოჯახში ფუნქციონირება) იდენტიფიცირებული მედიაციური ბუნება. რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართულ საზოგადოებაში ოჯახური და ცოლ-ქმრული ურთიერთობების თავისებურების გავლენისუნარიანობას მისი წევრების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე.

კვლევით დადგინდა, რომ მშობლების ფინანსური მდგომარეობა, მათივე და მათი შვილის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდა და მშობლების ოჯახის ფუნქციონირების ცვლილება, საქართველოში თან სდევს ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლის მატებას და ასახვას პოვებს მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის გაუარესებაში. რაც შეეხება აღზრდის სტილს, რომელმაც კვლევაში მედიაციური და მოდერაციული როლი ვერ შეიძინა, შეიძლება დავუკავშიროთ, კულტურულ თავისებურებას და სამომავლო კვლევის ინტერესად განვსაზღვროთ.

ნაშრომის მეცნიერული ღირებულებას წარმოადგენს, ის რომ ეს არის პირველი მცდელობა, მეცნიერულად დასაბუთდეს ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლისა და მოზარდი შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის კავშირზე ზეგავლენის უნარიანი ცვლადების მედიაციური და მოდერაციული როლი. რომელიც ოჯახის ფსიქოლოგიას, როგორც თერაპიულ/პრაქტიკულ მიმართულებას მეტ ემპირიულ საფუძველს შეუქმნის.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას კი კვლევის პროცესში სკრინინგ ინსტრუმენტის შემუშავება წარმოადგენს, რომელიც მომავალში იქნება კარგი დამხმარე საშუალება ფსიქოთერაპევტ/ოჯახის მკვლევრისთვის ოჯახური თერაპიის დაგეგმვამდე იკვლიოს და გამოყოს მოზარდის კეთილდღეობაზე მოქმედი მაჩვენებლები, რომელთა ცვლილებითაც შეძლებს მოზარდის კეთილდღეობაზე მიზანმიმართულ ზრუნვას.

საკვანძო სიტყვები: *ოჯახი, ცოლ-ქმრული კონფლიქტი, მოზარდი შვილები, მედიაცია, მოდერაცია*

Abstract

The main interest of the doctoral thesis is to determine the variables capable of influencing the relationship between the rate of marital conflict and the psycho-social well-being of adolescent children and their moderation and mediation analysis. The research is interested in determining in which case the relationship changes between marital conflict and the well-being of the child in the family. The research inquiry also encompassed an examination of the cultural specificity of the variables identified in the research process and how similar the roles of the variables discussed in our study were to those analyzed in the reviewed literature. To satisfy the research interest, a quantitative study was conducted in which a husband, a wife, and their teenage children living in Georgia participated.

During the research process, a so-called screening tool was developed that examines the relationship between the level of marital conflict and child's well-being and variables influencing this relationship (spousal perceptions of financial status and psycho-social support; family functioning and parenting style; and demographics of family members).

To achieve the research objectives, the research was conducted in several stages. First, variables capable of influencing the relationship between marital conflict and adolescents' psychosocial well-being were identified. In the second stage, the research tool (questionnaire) for the identified variables was developed, and then the mediating and moderating nature of the mentioned variables was analyzed.

According to the research expectations, during the reflection of the marital conflict on the psychosocial well-being of the adolescent, the spouse's financial situation, the feeling of psycho-social support, and the parenting style should have a moderating role, and the indicator of the functioning of the parent's family should have a mediating role. However, parenting style did not have a moderating or mediating role in any case. Parents' perception of financial situation, perception of parents' and adolescents' psycho-social support, as well as the level of marital family functioning, acquired the role of mediator. As a result of the research, only mediating variables were identified, of which the family functioning index and its change were found to have the greatest effect. However, in the process of research, variables with a

moderating role could not be identified, which either strengthens or weakens the reflection of marital conflict on the level of psychosocial well-being of adolescents.

The novelty of the study is the mediating role of variables capable of influencing the relationship between the index of marital conflict and the psycho-social well-being of adolescent children in our society, which once again emphasizes the ability to influence the peculiarities of marital relations in Georgian society on various aspects of the lives of its members.

The research found that the parents' financial situation, the feeling of their and their children's psycho-social support and the change in the functioning of the parents' family in Georgia derives from the family conflict index and is reflected in the deterioration of the adolescent's psycho-social well-being. As for the parenting style, which did not acquire a mediating and moderating role in the research, it can be related to the cultural peculiarity and defined as the interest of future research.

The scientific value of the paper is that research of similar purpose has not been conducted in Georgia so far, and there was no scientific justification for the mediating and moderating roles of variables capable of influencing the relationship between the independent and dependent variables of the study, which would create a more empirical basis for family psychology as a therapeutic practical direction.

The practical value of the paper is the screening tool developed in the research process, which in the future will be a good supportive tool for the psychotherapist or family researcher before planning family therapy in order to identify variables affecting the adolescent's well-being.

Keywords: family, marital conflict, adolescent children, mediation, moderation

შესავალი

ოჯახი წარმოადგენს მომავალი თაობის სოციალიზაციისა და მათთვის ღირებულებების, რწმენებისა და იდეალების გაზიარების წყაროს. ოჯახი ხელს უწყობს ბავშვის იდენტობის ჩამოყალიბებას; სოციალიზაციის პროცესში, უზიარებს საზოგადოებაში არსებული კულტურის ღირებულებებს და მოლოდინებს (Patchin, 2006); სოციალიზაციის პროცესში, შვილის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნავს და წარმოადგენს ხიდს ბავშვსა და საზოგადოებას შორის (Günindi et al., 2012).

შვილების კეთილდღეობასა და ქცევითი მიდრეკილებების ჩამოყალიბებაში ცოლ-ქმრული კონფლიქტის მნიშვნელობის შესახებ არსებული კვლევები (Amato & Keith, 1991; Caceres-Delpiano & Giolito, 2012; Estevez, 2019; Patchin, 2006; Pruett & Barker, 2009) და თეორიები (Bowlby, 1958; Davies & Cummings, 1994; *Introduction to the Eight Concepts*, n.d.) ხაზს უსვამენ, რომ ბავშვთა კეთილდღეობა დამოკიდებულია, ცოლქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებელზე (რამდენად დაბალანსებულია მათი ურთიერთობა და ან რამდენად მაღალია კონფლიქტურობის რისკი) და მნიშვნელოვანი სხვაობაა ცოლ-ქმრული კონფლიქტების მაღალი მაჩვენებლების მქონე და დაბალანსებული ურთიერთობის მქონე ოჯახის ბავშვთა კეთილდღეობას შორის. პატჩინის (Patchin, 2006) და კერიგის (Kerig, 1998) მიხედვით, მშობლების ურთიერთობა დიდ როლს თამაშობს ბავშვისთვის საზოგადოებაში მისაღები და პრობლემურ სიტუაციაში მოქცევის სწავლებაზე. ოჯახში ცოლ-ქმრული კონფლიქტი გვევლინება შვილების სტრესის წყაროდ, ამცირებს შვილი/ების კეთილდღეობას და ზრდის ემოციური და ქცევითი პრობლემების რისკს. მეცნიერები (Kerig, 1998; Patchin, 2006) თვლიან, რომ ეს პროცესი ასოცირდება შვილებში ემოციური და ქცევითი პრობლემების განვითარებასთან.

ვანდევოტერი და ლენსფორდი (Vandewater & Lansford, 1998) აღნიშნავენ, რომ ცოლ-ქმრული კონფლიქტი გავლენას ახდენს შვილის კეთილდღეობის სამ ასპექტზე: 1. ინტერნალიზებული ქცევა (დეპრესია, აშლილობა და სხვ.); 2. ექსტერნალიზებული ქცევა (EPB)(აგრესია, დელიქვენტობა და სხვ.) და 3. ინტერპერსონალური ურთიერთობის სირთულეები (სოციალური იზოლაცია, განსხვავებულობა და სხვ.),

რაც მოზარდობის ასაკში მეტად იჩენს თავს (Vandewater & Lansford, 1998). ალელიშვილისა და მისი კოლეგების (ალელიშვილი et al., 2019) აზრით, ბავშვის კეთილდღეობა არის მდგომარეობა, რომელიც მოიცავს კმაყოფილების განცდას, როდესაც ბავშვი თავს გრძნობს დაცულად, ჩართულია სოციალურ აქტივობებში, აქვს თანატოლებთან და უფროსებთან (მშობელი, მასწავლებელი) კარგი ურთიერთობა (ალელიშვილი et al., 2019).

პრუეტს და პარკერს (Pruett & Barker, 2009) კი მიაჩნია, რომ ცოლქმრული კონფლიქტი და განქორწინება ყველა შემთხვევაში არ ისახება შვილების კეთილდღეობაზე, თუმცა, მნიშვნელოვნად ზრდის კონფლიქტით გამოწვეული უარყოფითი შედეგების განვითარების რისკს და საფრთხის წინაშე აყენებს შვილისა და ოჯახის სხვა წევრების ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობას. ამ მოსაზრებას ამყარებს მაინერის (Miner & Schofield, 2016) კვლევა, რომლის მიხედვით, ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებელი ყველა ბავშვზე ერთნაირ გავლენას არ ახდენს. ზოგი შვილი ახერხებს მშობელთა კონფლიქტისა და მშობელთა დაშორებით გამოწვეული სტრესის დაძლევას, ზოგიერთ მათგანს კი ფსიქო-სოციალური სირთულეები უვითარდება. მაინერის (Miner & Schofield, 2016) აზრით, იმის გასაგებად თუ რა განსხვავებაა კონფლიქტის მაღალი, საშუალო და დაბალი მაჩვენებლის ოჯახის შვილებს შორის ოჯახში ცოლ-ქმრული კონფლიქტით გამოწვეული სტრესისა და ფსიქოსოციალური სირთულეების დაძლევაში, აუცილებელია შევისწავლოთ ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლისა და შვილის კეთილდღეობის კავშირზე გავლენის უნარიანი ცვლადები. ვიპოვოთ ის მახასიათებლები, რომლებიც შეიძლება აშუალებდნენ, ზრდიდნენ ან ამცირებდნენ ამ ორ ცვლადს შორის კავშირს, კონკრეტული საზოგადოებების მიხედვით (Miner & Schofield, 2016). ავტორების (Gafoor & Kurukkan, 2014) აზრით, ცოლ-ქმრული კონფლიქტების მაჩვენებლისა და შვილის კეთილდღეობის კავშირზე ზეგავლენის უნარიანი ცვლადები მეტ - ნაკლებად საერთოა ყველა კულტურისათვის, თუმცა, მათი მოქმედების სიძლიერე დამოკიდებულია იმ კულტურულ და სოციალურ კონტექსტზე, რომელშიც ცხოვრობს ოჯახი.

შვილის კეთილდღეობის მხარდასაჭერად გაუმჯობესებული ცოლ-ქმრული ურთიერთობები მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს (Patchin, 2006) და ოჯახის შიდა რესურსების გარდა, არსებობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობაც, ჩაერთოს და მხარი დაუჭიროს ოჯახს. საქართველოს ბავშვთა უფლებათა კოდექსის (2019) (ბავშვის უფლებათა კოდექსი | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", n.d.), 24-ე მუხლის მიხედვით, მშობელი ვალდებულია იზრუნოს ბავშვზე და საჭიროებისამებრ, მიიღოს მონაწილეობა შვილის მხარდამჭერ ღონისძიებებში, რასაც სახელმწიფო სთავაზობს მას. ამისათვის კი სახელმწიფო, კანონის მიხედვით, ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, უნდა ქმნიდეს ოჯახის მხარდამჭერ ღონისძიებებს. დღეისათვის, საქართველოში ოჯახის მხარდამჭერი და პრევენციული პროგრამების რაოდენობა და მათზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია (სამაგლიშვილი & ნამიჭეიშვილი, 2014). ასევე, მწირია ბავშვთა კეთილდღეობაზე მშობელთა შორის კონფლიქტით გამოწვეული გავლენების კვლევები და ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ სულ უფრო მეტი ბავშვის კეთილდღეობა დგებოდეს რისკის ქვეშ (Miner & Schofield, 2016). ეს კი მათზე ზრუნვის პრიორიტეტულობასა და დაგეგმილი ღონისძიების ეფექტიანობას აყენებს ეჭვქვეშ.

ამ გამოწვევების შესასწავლად დაიგეგმა კვლევა.

კვლევას მიაჩნია, რომ მოზარდის დაბალი კეთილდღეობა არ არის უპირობოდ დაკავშირებული ცოლ-ქმრულ კონფლიქტთან, ისევე, როგორც ცოლქმრული კონფლიქტი პირდაპირ არ პოვებს ასახვას მოზარდის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე. როგორც ავტორები (Gafoor & Kurukkan, 2014; Miner & Schofield, 2016) თვლიან, ამ პროცესში არსებობენ ცვლადები, რომელიც ამ კავშირს აშუალებენ და/ან ამძაფრებენ. შესაბამისად, ცოლქმრული კონფლიქტის უარყოფითი შედეგების პრევენციასა და საზიანო შედეგებთან გასამკლავებლად, მნიშვნელოვანია ამ გავლენის უნარიანი ცვლადების იდენტიფიცირება და მათი კვლევა, როგორც ერთმანეთთან დამოკიდებულებაში, ისე ცოლქმრული კონფლიქტისა და მოზარდის ფსიქოსოციალური კეთილდღეობის მაჩვენებლების მიმართ.

ცოლქმრული კონფლიქტისა და მოზარდი შვილების ფსიქო-სოციალური კონფლიქტის კავშირზე გავლენის უნარიანი ცვლადების ძიებისას, მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნას ურთიერთობები მშობლებს შორის (მათი კონფლიქტურობის მაჩვენებელი) და ის გარემოებები, რომლებიც სამეცნიერო კვლევების (Guevara et al., 2021; Vandewater & Lansford, 1998; ალელიშვილი et al., 2019) მიხედვით, შესაძლოა თამაშობდნენ როლს მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის გაუარესება-გაუმჯობესებაში. კვლევის პროცესში სავარაუდო მიზეზის აღმოჩენა გაუმარტივებს ოჯახის მკვლევარს, თერაპევტს აირჩიოს თერაპიული მიმართულება და მხარი დაუჭიროს მოზარდის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობას.

ნაშრომი მიზნად ისახავს ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლისა და მოზარდი შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის კავშირზე ზეგავლენის უნარიანი ცვლადების დადგენასა და მათ მოდერაციულ და მედიაციური ანალიზს. კვლევითი ინტერესს წარმოადგენს დადგენა იმისა, რა შემთხვევაში იცვლება ოჯახში, ცოლ-ქმარს შორის არსებული კონფლიქტის მაჩვენებლისა და შვილის კეთილდღეობას შორის არსებული კავშირი.

კვლევა ვარაუდობს, რომ :

1.ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლის ზრდა კავშირშია შვილების კეთილდღეობის დონის შემცირებასთან. ცოლქმრული კონფლიქტის მაღალი მაჩვენებლის მქონე ოჯახის მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა, ცოლქმრული კონფლიქტის დაბალი მაჩვენებლის მქონე ოჯახის მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობასთან შედარებით დაბალია;

2.ცოლ-ქმრული კონფლიქტის მაღალი მაჩვენებლის ასახვა მოზარდთა ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე, დამოკიდებულია ცოლქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლისა და შვილთა ფსიქოსოციალური კეთილდღეობის კავშირზე ზეგავლენის უნარიანი ცვლადების მაჩვენებელზე.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება რვა თავისგან:

პირველ თავში განხილულია ცოლ-ქმრული კონფლიქტი, მისი მიზეზები, შედეგები და შვილის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე ასახვის თემაზე არსებული თეორიული და კვლევითი ნაშრომები;

მეორე თავში საუბარია, ცოლ-ქმრული კონფლიქტისა და შვილის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობის კავშირზე გავლენისუნარიან, კვლევით დადასტურებულ ცვლადებზე;

მესამე თავში დასმულია კვლევის საკითხი, განხილულია თეორიული ჩარჩო, ;

მეოთხე თავში განსაზღვრულია საკვლევი საკითხი, კვლევის მიზნები და ამოცანები;

მეხუთე თავში აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია. ამავდროულად, დასაბუთებულია შერჩეული მეთოდების კვლევის მიზნებთან შესაბამისობა;

მეექვსე თავში განხილულია კვლევის მოსამზადებელი სამუშაოები და ჩატარებული კვლევების პროცედურების ყველა საფეხური;

მეშვიდე თავი სრულად ეძღვნება სადისერტაციო კვლევის შედეგების აღწერას და ანალიზს;

ნაშრომის ბოლოს, მერვე თავში წარმოდგენილია კვლევის ძირითადი დასკვნები, მისი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება და სამომავლო კვლევითი გეგმებთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

კვლევა ჩატარდა სამ ეტაპად. პირველ ეტაპზე სიღრმისეულად იქნა შესწავლილი და იდენტიფიცირებული ცოლ-ქმრული კონფლიქტისა და მოზარდის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე გავლენისუნარიანი ცვლადები. მომდევნო ეტაპზე შეიქმნა ინსტრუმენტი, კვლევის პირველ ეტაპზე იდენტიფიცირებული ცვლადების

სიძლიერის გასაზომად და მესამე ეტაპზე, კი ჩატარდა კვლევა საქართველოში მცხოვრებ ცოლ-ქმარსა და მათ მოზარდ შვილებთან, რა დროსაც გაანალიზდა ცოლ-ქმრული კონფლიქტის მოზარდი შვილების ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე, კვლევით იდენტიფიცირებული გავლენისუნარიანი ცვლადების მედიაციური და მოდერაციული ბუნება.

კვლევის სამივე ეტაპზე გამოყენებულ იქნა კვლევის რაოდენობრივი მეთოდი, კერძოდ, პირისპირი ინტერვიუ კვლევის პროცესში შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. ცოლ-ქმრული კონფლიქტი: მიზეზები და შედეგები

ოჯახი წარმოადგენს საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს შიდა შემუშავებული წესებითა და გადანაწილებული როლებით (Upali, 2013). ოჯახური ურთიერთობები გულისხმობს ურთიერთსიყვარულს, მეგობრულობას, შეურაცხყოფას, მეტოქეობა/კონკურენციას, უკმაყოფილებას, იმედგაცრუებებს, პრეტენზიებს, ზრუნვას, წუხილს და სხვ. თითოეულ ოჯახში ამ დამოკიდებულებების სხვადასხვაგვარი შემადგენლობაა და მათი კომპლექსური გადანაწილება, თავის მხრივ, განაპირობებს ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტის არსებობასა თუ თანაცხოვრებისას წამოჭრილი გამოწვევების ეფექტურად დაძლევის უნარს (Canary et al., 1995).

ოჯახის ცვლილებების მოდელის მიხედვით, (Kâgitçibaşi, 1990) ოჯახში მისი წევრების ურთიერთ დამოკიდებულობა და დამოუკიდებლობა იხსნება სოციალურ-კულტურული და ეკომონომიკური სტატუსით. არსებობს სამი ოჯახური ურთიერთობის ტიპი:

1) ტოტალურად ურთიერთდამოკიდებული ოჯახის მოდელი - სადაც ურთიერთდამოკიდებულება ოჯახური თანაცხოვრების მნიშვნელოვანი წინაპირობაა (ახასიათებთ აღმოსავლურ საზოგადოებებს);

2) ოჯახის დამოუკიდებელი მოდელი - სადაც ავტონომიურობა წამყვანი ორიენტირია როგორც ოჯახის წევრებს შორის, ისე ბავშვთან ურთიერთობაში(მეტად ვხვდებით დასავლურ კულტურებში) და

3) ოჯახის ემოციურ/ფსიქოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების მოდელი - რომელიც ერთგვარი სინთეზია, სადაც არსებობს მატერიალური დამოუკიდებლობა (საკუთარი შემოსავალი, სამეგობრო წრე და ა.შ.), თუმცა, მიკუთვნილობის განცდა და ემოციური ურთიერთდამოკიდებულება წამყვან როლს თამაშობს შვილებთან

დამოკიდებულებაში. მაშინაც კი, როდესაც ოჯახის წევრების (თუნდაც, ცოლ-ქმრის) დამოუკიდებლობა მიღწეულია და არსებობს ავტონომიურობის საფუძველი (ფინანსები და სხვ.), მაინც არსებობს კონტროლის და ურთიერთდამოკიდებულების განცდა, დამოუკიდებლობის მიღწევა არ გულისხმობს განცალკევებას და ოჯახის წევრებისგან გამოყოფა არ არის მიზანი (დამახასიათებელია აზიური ქვეყნებისთვის) (Kagitcibasi, 2002).

სხვადასხვა კულტურაში ოჯახში არსებული ურთიერთობები განსხვავებულ ხასიათს ატარებს. თუმცა, ყველა საზოგადოებაში ცოლ-ქმრული კონფლიქტი წარმოადგენს ოჯახის წევრების კეთილდღეობის შემამცირებელ , მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს. ცოლ-ქმრული კონფლიქტი ეს არის დაპირისპირება, რომელიც პიროვნებათშორისი კონფლიქტის სახეა და ეფუძნება , ამ შემთხვევაში, ცოლ-ქმარს შორის არსებულ ურთიერთგამომრიცხავ, შეუთავსებელ ინტერესებს, მიზნებსა და დამოკიდებულებებს (Tasew & Getahun, 2021). აღნიშნული დაპირისპირება არ არის აუცილებელი იყოს გამოხატული, აშკარა და ან გაცხადებული. ხშირად კონფლიქტის მიზეზები გაუაზრებლად რთავს მხარეებს წინააღმდეგობაში, ზოგჯერ კი მათ ჯერ კიდევ არ გაჩენით კონფლიქტი და მათი დაპირისპირება მხოლოდ კონფლიქტში ჩართვისკენ მიმართულ ტენდენციას გულისხმობს (Bradbury & Fincham, 1991).

ესტევეზის (Estevez, 2019) მიხედვით, ოჯახური კონფლიქტი სხვა სახის კონფლიქტებისგან განსხვავდება, რადგან მისი წევრები მეტად არიან ერთმანეთთან ემოციურად მიჯაჭვულები, რაც ზრდის მათი კონფლიქტში ჩართვის სისწრაფეს. და ასევე, პირიქით, ოჯახის წევრების ემოციური მიჯაჭვულობა ხშირად ეხმარება მათ, მიიღონ განსხვავებული აზრი, გადაჭრან ყოველდღიური საკითხები და ამით დაძლიონ კონფლიქტი.

კონფლიქტი ყველა ოჯახის განუყოფელი ნაწილია და მისი მიზეზების გამოყოფა რთული, თუმცა, შედეგების პროგნოზირებისა და პრევენციისთვის, აუცილებელია. ზოგ შემთხვევაში ოჯახი წარმატებით ახერხებს კონფლიქტის დაძლევას, ზოგჯერ კი ოჯახის წევრებზე კონფლიქტის უარყოფითად ასახვა გარდაუვალი ხდება. ცოლ-

ქმრული კონფლიქტი და უთანხმოება შვილების სტრესის წყაროა და ზრდის მათი ემოციური და ქცევითი პრობლემების განვითარების რისკს (Kerig, 1998).

მეცნიერები (Argyle et al., 2011; Mosmann & Falcke, 2011) ცოლ-ქმრული კონფლიქტის სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ: შვილების აღზრდის საკითხები; დრო, რომელსაც წყვილი ერთად ატარებს; ფული; საოჯახო საქმეების განაწილება; სექსი და სამართლებრივი საკითხები; ერთმანეთის მეგობრები და ნათესავები; კომუნიკაციის ხარისხი და სხვა. დომინიკის (Dominick, 2018) აზრით, კონფლიქტი ჩნდება მაშინ, როცა: ოჯახის წევრებს აქვთ განსხვავებული ხედვები და/ან ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები; როდესაც ცუდად და/ან არ ესმით ერთმანეთის და აკეთებენ მცდარ დასკვნებს. სრულიად ნორმალურია, რომ ოჯახის წევრებს ჰქონდეთ განსხვავებული აზრი, თუმცა, როდესაც ამას მივყავართ დაუძლეველ კონფლიქტამდე, ურთიერთობა თავისთავად უარესდება და იწვევს სტრესის, დაძაბულობის და შფოთვის დიდი რისკს (Estevez, 2019).

ოლსონის (Olson & Lavee, 1989) მიხედვით, ცოლ-ქმრული კონფლიქტი მათ შორის არსებულ კოჰესიურობა/შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის დისბალანსთან არის დაკავშირებული. ოლსონთან კოჰესიურობა გულისხმობს ოჯახის წევრებს შორის კავშირის სიმძაფრეს, ადაპტაციურობა კი ოჯახის უნარს, მოარგოს მისი სტრუქტურა ოჯახის საჭიროებებს. როდესაც ურთიერთობები, როლები და წესები ეხმაურება სიტუაციურ და ან განვითარების საჭიროებებს. დისბალანსი განსაზღვრულია კოჰესიურობის/შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის ძალიან მაღალი და ძალიან დაბალი დონით, როდესაც, (თუნდაც შეთანხმებით), როლები მუდმივად ცვალებადია, არსებობს გამოკვეთილი ლიდერი და ან პირიქით, არც იცვლება როლები და არც ლიდერია ოჯახში ვინმე. ეს დისბალანსი იწვევს დისკომფორტს, წარმოქმნილი დისკომფორტი კი ხდება კონფლიქტის წყარო, რომლის სიმწვავეც განსაზღვრავს ოჯახის ფუნქციურობის ცვლილებას; მშობელი-შვილის ურთიერთობის სტილს; აღზრდის სტილს; მხარდაჭერის ხარისხს და ეს ყველაფერი თავის მხრივ, გავლენას ახდენს შვილების კეთილდღეობაზე. შესაბამისად, ავტორის მიხედვით, ოჯახისა და მისი წევრებს კეთილდღეობისთვის საჭიროა ცოლ-ქმარს შორის არსებობდეს საშუალო დონის შეჭიდულობა და ადაპტაციურობა, რომელიც დააბალანსებს არსებულ

როლებს და ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესს მეტად მოქნილს გახდის (Olson, 2000).

ოჯახური კონფლიქტის შედეგად ოჯახური ცხოვრების ხარისხის გაუარესება (ეკონომიკური, ფსიქო-სოციალური მდგომარეობა) ქმნის უარყოფით ატმოსფეროს, რაც უარყოფითად აისახება შვილის კეთილდღეობაზე (Maccoby & Martin, 1983) შვილის კეთილდღეობის ხარისხის შემცირება კი, ხშირად იწვევს შვილის ქცევით პრობლემებს (Emery, 1982). ნებისმიერი მიზეზით წარმოშობილი ცოლ-ქმრული კონფლიქტი მნიშვნელოვნად ამცირებს ოჯახის ჰარმონიულობას. ცოლ-ქმარს შორის იცვლება შეჭიდულობა, ადაპტაციურობა და კომუნიკაცია. შეჭიდულობის, ადაპტაციურობისა და კომუნიკაციის დისბალანსი, ქმნის წყვილებს შორის დისკომფორტს. წარმოქმნილი დისკომფორტი ხდება კონფლიქტის წყარო, რომლის სიმწვავეც განსაზღვრავს ოჯახის ფუნქციურობის ცვლილებას, მშობელი-შვილის ურთიერთობის სტილს, ზოგ შემთხვევაში კი, აღზრდის სტილს, მხარდაჭერის ხარისხს და ამით, გავლენას ახდენს შვილების კეთილდღეობაზე (Olson, 2000).

1.2. მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა და მასზე მოქმედი ფაქტორები

მოზარდთა კეთილდღეობაზე საუბრისას აუცილებელია ვახსენოთ ის ოჯახის კეთილდღეობის ჭრილში. რაც ნიშნავს, რომ შვილის კეთილდღეობაზე ზრუნვა არის ზრუნვა ოჯახის სოციალურ და ეკონომიკურ გაძლიერებაზე, მშობლების დახმარება კრიზისის მართვასა და პრობლემის გადალახვა დაბალანსებაში (შატბერაშვილი, 2011).

მოზარდებს, ისევე, როგორც ყველა სხვა ასაკის ადამიანს სურს კეთილმოწყობილ გარემოში ცხოვრება. კეთილდღეობის განსაზღვრა ინდივიდუალურია, ისევე, როგორც მისი დაკმაყოფილების გზები. კეთილდღეობა, რომელიც მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უკავშირდება, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოციალურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ გარემოსთან, რომელსაც ან შეუძლია ან არ შეუძლია დაუკმაყოფილოს მოზარდს მისი საჭიროებები (გაბუნია, 2010).

მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი განმაპირობებელია ოჯახი და ცოლ-ქმრული ურთიერთობები. ოჯახში, რომელშიც ჰარმონიული ატმოსფეროა და მშობლები არ კონფლიქტობენ, ბავშვს მეტი შანსი აქვს იგრძნოს თავი კარგად, მაშინ, როცა ცოლ-ქმრული კონფლიქტები შვილის უარყოფითი ქცევის წინაპირობაა და მნიშვნელოვნად უქმნის ბავშვის განვითარებას პრობლემას. თუ ოჯახური იდილია ირღვევა, ბავშვის განვითარების საფეხურებს პრობლემა ექმნება და ფერხდება (Vandewater & Lansford, 1998).

მოზარდის კეთილდღეობა გულისხმობს მისი ცხოვრების ხარისხს, ის მრავალ განზომილებიანი კონსტრუქტია და მოიცავს ფსიქიკურ/ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ და სოციალურ განზომილებებს. კეთილდღეობის დეფინიციაში მოაზრებულია მატერიალური მდგომარეობა, თანატოლებთან ურთიერთობა, განვითარების დონე და შესაძლებლობები. მოზარდის კეთილდღეობის ალტერნატიული განსაზღვრება აქცენტს ბავშვის ყოვლისმომცველ სუბიექტურ კეთილდღეობაზე აკეთებს. OECD-ს მიერ, 2009 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში ჩატარებული ბავშვთა კეთილდღეობის ხარისხის კვლევის შედეგად გამოიყო 6 განზომილება და კეთილდღეობის ინდიკატორი. ესენია: მატერიალური კეთილდღეობა, საცხოვრებელი და გარემო პირობები, განათლება, ჯანმრთელობა, სარისკო ქცევა და სასკოლო ცხოვრების ხარისხი (*Compare Child Wellbeing Across the OECD, Doing Better for Children*, 2009).

სელიმანის (Seligman, 2011) კეთილდღეობის თეორია (PERMA), კეთილდღეობას განიხილავს როგორც ხუთ ერთმანეთთან დაკავშირებულ განზომილებებს, რომელთა შორისაც არსებობს პოზიტიური კავშირი და ერთმანეთის გაძლიერების პოტენციალი. თეორია (PERMA)-ს მიხედვით, კეთილდღეობა გულისხმობს:

- პოზიტიურ ემოციას (positive emotion) - წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე ოპტიმისტურ ხედვასა და ადამიანის განცდებზე ფოკუსირებას (ბრაზი, სიხარული და სხვ.);

• ჩართულობას (engagement)- ყოველდღიურ მიმდინარე მოვლენებში ჩართულობა, მიზნის მისაღწევ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა და უკუკავშირს მუდმივი მიღება, როდესაც დროის აღქმა ნაწილობრივ ქრება;

• ურთიერთობებს (Relationships)- როდესაც ადამიანი თავს მხარდაჭერილად, სასურველად და დაფასებულად გრძნობს, ის გარშემო მყოფებისთვის მნიშვნელოვანია, აქვს კარგი ურთიერთობები, რომლებსაც დადებითად აფასებს;

• საზრისს (meaning) - საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვნების განცდა. განცდა იმის, რომ მისი არსებობა გარემოზე გავლენას ახდენს, იქნება ეს რელიგია, სამსახური, სკოლა თუ ოჯახი.

• მიღწევებს (accomplishment)- ადამიანები მიილტვიან წარმატებისათვის ოჯახში, ჰობიში, სამსახურში, სწავლაში. მიღწევები მათ სჭირდებათ განურჩევლად იმისა, მიჰყავს თუ არა ადამიანები პოზიტიურ ემოციამდე, მნიშვნელოვნების განცდასა და კარგ ურთიერთობებამდე.[1]

კეთილდღეობა არის ადამიანის რწმენა, რომ ცხოვრება იყო და არის კარგი. მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა მოიცავს კმაყოფილების განცდას, როცა ბავშვი თავს გრძნობს მშვიდად, უსაფრთხოდ; ჩართულია სოციალურ აქტივობებში, ჰყავს მეგობრები (ალელიშვილი et al., 2019) და კარგი ურთიერთობა აქვს უფროსებთან (მშობელი, მასწავლებელი) (ალელიშვილი et al., 2019).

მოზარდობის ასაკში ფსიქო-სოციალური კეთილდღეობას განსაზღვრავს ბევრი ფაქტორი, თუმცა, უმეტესად დაკავშირებულია ოჯახურ ურთიერთობებთან, ფინანსებთან, მხარდაჭერის არსებობასთან და ზოგადად მის გარშემო არსებულ კეთილგანწყობილ გარემოსთან, რომელიც მოზარდს აძლევს თვითრეალიზაციისა და განვითარების შესაძლებლობას (Guevara et al., 2021).

[1] Positive Psychology Center, PERMA Theory of Well-being and PERMA Workshops, ხელმისაწვდომია: https://ppc.sas.upenn.edu/learn-more/perma-theory-well-being-and-perma-workshops წვდომის თარიღი 10.05.2022

თავი II . ცოლ-ქმრული კონფლიქტისა და მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის ურთიერთმიმართება

ავტორების (Gafoor & Kurukkan, 2014) მიხედვით, ცოლ-ქმრული კონფლიქტების მაჩვენებლისა და ბავშვის კეთილდღეობის კავშირზე ზეგავლენის უნარიანი იდენტიფიცირებული ცვლადები მეტ-ნაკლებად საერთოა ყველა საზოგადოებისთვის, თუმცა, მათი მოქმედების სიძლიერე დამოკიდებულია იმ კულტურულ და სოციალურ კონტექსტზე, რომელშიც ცხოვრობს ოჯახი.

2.1. ოჯახის ფუნქციონირება

ოჯახი ერთიანი მთლიანი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ორგანიზმია რომელსაც სხვადასხვა თვისებებთან ერთად შემდეგი ფუნქციები აქვს: განათლება, კვლავწარმოება, სოციალური უზრუნველყოფა და ოჯახის წევრების ფსიქო - სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. გარდა ამისა, ქცევის კონტროლი, პრობლემის გადაჭრის უნარი და ემოციური უკუკავშირი. ოჯახის ჯანსაღი ფუნქციონირება განსაზღვრება, როგორც უნარი დააკმაყოფილოს მისი წევრების მოთხოვნილებები და გააჩნდეს პრობლემების გადაჭრის უნარი (Günindi et al., 2012).

ოჯახები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ოჯახის ფსიქოლოგიური, სოციალური გარემოსა და წევრებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილების მიხედვით. ოჯახი, სოციალიზაციის პროცესში უზიარებს მის წევრებს ფსიქო-სოციალურ გარემოს და შედეგად, სხვადასხვა ოჯახში განსხვავებულად ჩამოყალიბებულ ადამიანს ვხვდებით, ორივე შემთხვევაში ოჯახის ლიდერები, მშობლები, შვილების სოციალიზაციის მთავარი წყაროა და გარკვეულ წილად, პროცესის სიჯანსაღეზე არიან პასუხისმგებელნი (Parsons, 2013).

ოჯახში მშობლების პრობლემების გადაჭრის და კონფლიქტის დაძლევის უნარი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფუნქციას, იმდენად რამდენადაც მშობლები არიან შვილების ქცევითი მოდელები, შვილები მათგან სწავლობენ როდის და როგორ უნდა მოიქცნენ კრიტიკულ სიტუაციაში. მათი სამომავლო ქმედება, კონფლიქტური

სიტუაციის მართვის შემთხვევაშიც, მშობლებისგან არის დასწავლილი (Günindi et al., 2012).

ეპშტეინმა და მისმა კოლეგებმა (Epstein et al., 1983) გამოყვეს ოჯახის ფუნქციონირების მახასიათებლები, რომლებიც განასხვავებს ჯანსაღ ოჯახს არაჯანსაღისგან:

- პრობლემის გადაჭრის უნარი - გაუმკლავდეს ყოველდღიურ გამოწვევებს;
- კომუნიკაცია - ინფორმაციის გაცვლა და ურთიერთობების პატივისცემა;
- როლები - საოჯახო საქმეებზე პასუხისმგებლობების განაწილება და მათი შესრულება;
- ემოციური რეაგირება - მიმდინარე დადებით და უარყოფით მოვლენებზე;
- ემოციური ჩართულობა - ერთმანეთის ყოველდღიურობით დაინტერესება;
- ქცევის კონტროლი - არსებული ქცევის სტანდარტი, მისაღებ და მიუღებელ ქცევათა რიგი.

ქართული ოჯახების კვლევისას, აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე ოჯახში გადანაწილებული როლები მნიშვნელოვნად შეიცვალა და დღეს მამა მეტად ჩართულია საოჯახო საქმეებში, ვიდრე ეს იყო უწინ. ამაზე იმოქმედა საზოგადოებაში არსებული დასაქმების დაბალი მაჩვენებლის მიუხედავად, ქალის ადაპტურობამ დასაქმდეს და გაინაწილოს „შემომტანის„ ფუნქცია (Sumbadze, 2006).

მაინერი (Miner & Schofield, 2016) თვლის, რომ მშობელთა კონფლიქტის დროს ოჯახის ფუნქციონირების ცვლილება-უცვლელობა განაპირობებს ცოლ-ქმრული კონფლიქტის გავლენას შვილთა კეთილდღეობაზე. მისი აზრით, თუ ოჯახის ფუნქცია არ შეცვლილა და ის ისევ ახერხებს ბავშვის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ცოლ-ქმრული კონფლიქტი შვილებზე უარყოფითად აისახოს.

2.2. აღზრდის სტილი

მშობლები დიდ გავლენას ახდენენ ადამიანის ცხოვრებაზე, მისი განვითარების პროცესზე. აღზრდა აერთიანებს ყველა იმ ღონისძიებას, რაც შვილის მხარდასაჭერად და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი (Gafoor & Kurukkan, 2014). აღზრდა შეიძლება განისაზღვროს, როგორც საქმიანობა, რაც ეხმარება შვილებს

განვითარებაში და რომელსაც აქვს ორი განზომილება: მშობლის პასუხისმგებლობა და მშობლის მომთხოვნობა. პასუხისმგებლობაში იგულისხმება მშობლის სითბო, მხარდაჭერა და ან მიმღებლობა; ხოლო მომთხოვნობაში კი ქცევითი კონტროლი, დისციპლინა და მორჩილებისკენ მითითება (Gafoor & Kurukkan, 2014).

აღზრდის სტილი განაპირობებს იმ გავლენას, რასაც მშობელი ახდენს შვილზე, მისი სოციალიზაციის პროცესში. გაფორდმა და კურუკანმა (Gafoor & Kurukkan, 2014) თავიანთ ნაშრომში გაანალიზეს აღზრდის სტილსა და ბავშვის განვითარების მაკავშირებელი კვლევები და შეაჯამეს, რომ აღზრდის სტილები განსხვავდება მომთხოვნობასა და გაცემული სითბოს მიხედვით.

ოჯახური გარემო ასწავლის ბავშვს საზოგადოებაში მისაღებ ქცევას, იმას, თუ როგორ უნდა მოიქცეს პრობლემურ სიტუაციაში. კონფლიქტური გარემო და სუსტი აღზრდის სტილი, რაც გულისხმობს ან ძალიან სიმკაცრეს და ან მეთვალყურეობის არ არსებობას, ამცირებს ბავშვის კეთილდღეობას და ზრდის EBP და IBP ალბათობას (Patchin, 2006).

აღზრდის სტილის განსაზღვრებისას არნოლდმა (Arnold et al., 1993) გამოყო აღზრდის სამი მიმართულება :სიზარმაცე (დისციპლინის სიმცირე); ჰიპერაქტიურობა (ავტორიტარული დისციპლინა, აგრესია და სხვ.) და ზედმეტი სიტყვიერება (ბევრი საუბარი, ზედმეტი მითითება, საყვედური). სამივე მიმართულებით მაღალი მაჩვენებელი, ავტორის აზრით, ასოცირდება აღზრდის პრობლემურ სტილთან, რამეთუ, ეფექტიანი უკუკავშირი გულისხმობს დროულობას, სისტემატურობას, ზომიერ ინტენსივობას და ზომიერ სიმკაცრეს.

მურის და მისი კოლეგების (Moore et al., 2011) კვლევაში აღმოჩნდა, რომ მშობელი შვილის ურთიერთობა იმ ოჯახებში უკეთესია, სადაც მშობლები ქორწინებაში არიან) და არიან განათლებულები.

დომინიკის (Dominick, 2018) აზრით, მშობელთა ურთიერთობის ხარისხსა და შვილების ფსიქო-სოციალური მდგომარეობის კავშირზე გავლენას ახდენს აღზრდის სტილი; მშობელი- შვილის ურთიერთობა, მშობელი შვილის მიჯაჭვულობა, შვილის ემოციური უსაფრთხოება, შვილის კოგნიციები და ატრიბუციები შუამავალ როლს

თამაშობს. საპირისპირო აზრი აქვთ ავტორებს (Weaver & Schofield, 2015), რომლებიც ეთანხმებიან მოცემულობას, რომ აღზრდის სტილი მოქმედებს ბავშვის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე, თუმცა, აღზრდის სტილს განიხილავენ, როგორც დამოუკიდებელ, დისპოზიციურ ცვლადს და თვლიან, რომ ის არ არის დამოკიდებული ოჯახში მიმდინარე პროცესებზე და შეიძლება არ იცვლებოდეს ცოლ-ქმრული კონფლიქტის შემთხვევაში,

მაკკობისა და მარტინის (Maccoby & Martin, 1983) კვლევა, ასევე, ადასტურებს, რომ მშობლების განცდები შვილების კეთილდღეობაზე აისახება. თუმცა, აკონკრეტებენ, რომ აღნიშნული უარყოფითი შედეგები იმ შემთხვევაში იჩენს თავს, თუ მშობლის განცდა, ტრავმა და ან კონფლიქტები ცვლის მის აღზრდის სტილს, ხდებიან მეტად მომთხოვნები, ავტორიტეტულები და ან უგულებელყოფენ შვილს. როდესაც მშობელი სენსიტიურია, ეხმაურება ბავშვის საჭიროებებს და მხარს უჭერს მას, მცირდება ცოლ-ქმარს შორის არსებული კონფლიქტის ნეგატიური ასახვა ბავშვზე. მშობელი შვილის ურთიერთობა აძლევს ბავშვს სტაბილურობის განცდას, დაცულობას და ამცირებს სხვა გარემოებების უარყოფით შედეგს. ეს კი დამოკიდებულია კულტურულ და პიროვნულ მახასიათებელზე (Miner & Schofield, 2016).

2.3. ოჯახის ფინანსური მდგომარეობა

ოჯახის კეთილდღეობა, თავის მხრივ, დამოკიდებულია მის ფინანსურ მდგომარეობაზე. ოჯახის სოციალური და ფინანსური მდგრადობა, ასევე კავშირშია ოჯახში მიმდინარე პროცესების ხელშეწყობასა და თუ გამწვავებაში. მურისა და მისი კოლეგების კვლევაში (Moore et al., 2011) ნაკვლევი იყო 6-17 წლის მშობლებთან მცხოვრები ბავშვების ფსიქო-სოციალური მდგომარეობები, მათი მშობლების ურთიერთობის ხარისხის მიხედვით. კვლევაში აღმოჩნდა, რომ მშობლების ურთიერთობის ხარისხის გარდა, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებდა შვილების სოციალურ კომპეტენციას. რაც უფრო ბედნიერი იყო ურთიერთობა მშობლებს შორის, მეტად მაღალი იყო შვილების სოციალური კომპეტენცია. ოჯახის შემოსავალი ამ შემთხვევაში მხოლოდ ამძაფრებდა ან ასუსტებდა მშობელთა ურთიერთობის გავლენას შვილის ფსიქოსოციალურ

მდგომარეობაზე. რაც უფრო მაღალი იყო ოჯახის შემოსავალი, მით ნაკლები იყო ცოლქმრული კონფლიქტი და მაღალი კონფლიქტური მაჩვენებლის შემთხვევაშიც კი, შვილებს იშვიათად ჰქონდათ დაბალი ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა.

მაინერი და მისი კოლეგა (Miner & Schofield, 2016) თავის ნაშრომში მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ოჯახის შემოსავალი განაპირობებს ცოლქმრული კონფლიქტის შვილების ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე ასახვის ხარისხს. მათი კვლევით, აღმოჩნდა, რომ მაღალ შემოსავლიანი ოჯახის შვილების კეთილდღეობის მაჩვენებელი არ ზიანდება ცოლ-ქმრული კონფლიქტით და/ან მათი დაშორებით, მათთან შედარებით, ვისაც აქვს ცუდი ფინანსური გარემო პირობები, დაბალი ხელმისაწვდომობა განათლებაზე და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასეთი ოჯახის შვილები, მეტად არიან მიდრეკილნი გამოამჟღავნონ დეპრესიული სიმპტომები.

საქართველოში ფინანსური მდგომარეობა გვევლინება, ასევე, ცოლ-ქმრული კონფლიქტის ერთ-ერთ მიზეზად. უთანხმოებას ზრდის საჭიროებების დაკმაყოფილების რესურსების არ ქონა, ხელმისაწვდომობის ნაკლებობა და უსაფრთხოების განცდის რღვევა. ეს კი თავის მხრივ მიზნების დასახვას, მიღწევებსა და ზოგად კეთილდღეობაზე აისახება (ბავშვის აღზრდის პრაქტიკა საქართველოში, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, 2020).

მკვლევართა (Mistry & Elenbaas, 2021) მიხედვით, ფინანსური მდგრადობა და უზრუნველყოფა სუბიექტური ფაქტორია და ოჯახის ფინანსური მდგომარეობის აღქმა განისაზღვრება არა საკუთრივ შემოსავლის ოდენობით, არამედ, მისდამი ოჯახის წევრების დამოკიდებულებით. შედეგად, რაც უფრო დაბალია არსებული ფინანსური მდგომარეობის აღქმა, მით ნაკლებია ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონე. ფინანსური მდგომარეობის აღქმა შეიძლება იყოს დამოუკიდებელი ცვლადი, როგორც დამცავი ან რისკ ფაქტორი და ან გარემო პირობებზე დამოკიდებული ცვლადი, რითაც აშუალებდეს ცოლ-ქმრული კონფლიქტისა და მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონეს (Weaver & Schofield, 2015).

2.4. ფსიქო-სოციალური-მხარდაჭერა

ოჯახის წევრების ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდა; შვილის რწმენა. მშობელთა მხარდაჭერაზე; ურთიერთობის დადებითი ემოციების გაცვლა, კომუნიკაცია და კონფლიქტის გადაჭრის მშობელთა უნარი დადებით კავშირშია შვილის კეთილდღეობასთან. ხოლო აგრესია, დაძაბულობა და ძალადობა ასოცირდებოდა შვილების შინაგან და გარეგან უარყოფით გამოვლინებებთან (EPB, IPB) (Dominick, 2018). აღმოჩნდა, რომ მოზარდები, ვისაც აქვს სოციალური მხარდაჭერა და საზოგადოებაში პოზიტიური კავშირები, ნაკლებად ექვემდებარებიან ცოლ-ქმრული კონფლიქტის უარყოფით გავლენას (Dominick, 2018).

მშობლების კონფლიქტი უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე და აღნიშნული გავლენის ხარისხი კი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მშობლების და შვილების ურთიერთობაზე და არსებულ ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერაზე. მოზარდი შვილის მხარდასაჭერად, არსებობს ცოლ-ქმრული კონფლიქტის პრევენციული და ინტერვენციული ღონისძიებები. ისინი აკეთებენ სისტემურ და უშუალო ფოკუსირებას წყვილების ურთიერთობაზე, კრიტიკულ სიტუაციებში მათი კონფლიქტთან გამკლავების უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე პრევენციის სხვადასხვა დონეზე, ბავშვისთვის განმავითარებელი გარემოს შექმნითა და მშობლებისა და შვილებისათვის კონფლიქტურ სიტუაციასთან გამკლავების სტრატეგიების გამოსამუშავებლად (Dominick, 2018).

ცოლ-ქმრული კონფლიქტის დროს, მშობლები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას ბავშვის განვითარებას, ხდებიან დეპრესიულები, ვეღარ უჭერენ მათ მხარს ისე როგორც ადრე (Miner & Schofield, 2016). მაინერის (Miner & Schofield, 2016) აზრით, სწორედ მშობელი - შვილის მხარდაჭერითი ურთიერთობა, და შვილების ცხოვრებაში ჩართულობის დონე აშუალებს/მოდერაციას უწევს იმას, თუ როგორ აისახება მშობლების კონფლიქტი შვილების კეთილდღეობაზე.

პრუეტი და ბარკერი (Pruett & Barker, 2009) აღნიშნავენ, რომ როდესაც მშობლებს აქვთ კონფლიქტი ერთმანეთთან, კონფლიქტს ვერ უმკლავდებიან, არ მიმართავენ

სპეციალისტებს, თუმცა, ბავშვს აქვს ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა მშობლებისგან და ან სხვა ადამიანისგან; ჰყავს ვინმე, ვინც თბილად და მზრუნველად ექცევა მას, მცირდება განქორწინების უარყოფითი შედეგების რისკი (Pruett & Barker, 2009).

ქართულ ოჯახებზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი საზოგადოება მეტად ურთიერთდამოკიდებულია, ვიდრე დამოუკიდებელი და ოჯახში, როგორც მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, წამყვან როლს თამაშობს ნათესაური კავშირები, სამეგობრო წრე და ურთიერთობები, რომელიც წარმოადგენს ცხოვრებისეულ გამოწვევებთან გამკლავების რესურსს (Sumbadze, 2006).

2.5. სქესი, ასაკი, განათლება და სხვა ფაქტორები

მეცნიერთა (Dominick, 2018; Kerig, 1998; Miner & Schofield, 2016; Moore et al., 2011; Pruett & Barker, 2009) აზრით, ის, თუ რამდენად აისახება შვილზე ცოლქმრული კონფლიქტის უარყოფითი შედეგები, მათ შორის დამოკიდებულია: შვილის სქესზე, ასაკზე, განათლებაზე, ეთნიკურობასა და მშობელი-შვილის ურთიერთობის ხარისხზე.

კერიგმა (Kerig, 1998) იკვლია მშობლების კონფლიქტის შვილების კეთილდღეობის ასახვის გამაშუალებელი და მოდერაციული ცვლადები და აღმოაჩინა, რომ ამერიკულ საზოგადოებაში ბავშვების სქესი განაპირობებდა მშობელთა კონფლიქტისადმი შვილების მოწყვლადობას. მაგ: მშობელთა კონფლიქტი ბიჭებზე მეტად უარყოფით გავლენას ახდენდა, მეტი ალბათობით გამოხატავდნენ EBP (გარეგანი ქცევითი გამოხატულებები, აგრესია, დევიაცია), ხოლო IBP (შინაგანი ქცევითი გამოხატულებები, დეპრესია, შფოთვა) კი გოგოებს მეტად ხშირად უვლინდებოდათ. გარდა ამისა, გოგოები, რომლებიც არ გამოხატავდნენ უკმაყოფილებას და თვლიდნენ, რომ შეეძლოთ ეს კონფლიქტი განემუხტათ, ნაკლებად ექცეოდნენ მისი უარყოფითი ზეგავლენის ქვეშ (EPB, IPB). ასევე, ბავშვების მიერ მშობლების ჩხუბის აღქმა, როგორც პერმანენტული და გადაუჭრელი, იყო მედიაციური ცვლადი მშობლების კონფლიქტსა და ბიჭების გარეგნულად გამოხატული ქცევით პრობლემებს შორის, იგულისხმება დევიაციური ქცევები, აგრესიული გამოხატულებები და ზოგჯერ ანტისოციალური ქმედებებიც კი.

პრუეტმა და ბარკერმა (Pruett & Barker, 2009) თავის ნაშრომში განიხილეს რა ასაკში არის ყველაზე ნაკლებად საზიანო შვილებისთვის მშობლების განშორება. პასუხი საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ისინი ასკვნიან, რომ ბავშვების სხვადასხვა ასაკში მშობლების განქორწინება და კონფლიქტი სხვადასხვა რისკის მატარებელია და ამიტომაც, განქორწინების პროცესი და ოჯახური ურთიერთობები განქორწინებამდე და მის შემდეგ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბავშვების ასაკი. ნაშრომში სახელწოდებით „განქორწინების შვილები: ახალი ტენდენციები და დილემები“ მათ განიხილეს სხვადასხვა ასაკში მშობლების განქორწინებასთან ადაპტაციის განსხვავებული თავისებურებები. კერძოდ:

<u>ჩვილობა და ადრეული ბავშვობა.</u> 6 წლამდე ასაკის მცირეწლოვან ბავშვებზე განქორწინების გავლენის შემსწავლელი კვლევები არაერთგვაროვანია ბავშვებში გამოწვეული სირთულეების ტიპების მიხედვით. მაგრამ, ყველა თანხმდება, რომ ამ სირთულეების გავლენა საკმაოდ ხანგრძლივია. ცნობილია, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვი მეტად მგრძნობიარეა და სწორედ ამ ასაკში ხდება მისი შემეცნებითი განვითარება, რა დროსაც ცოლქმრული კონფლიქტი და განშორება უარყოფითად აისახება შვილის შემეცნებითი უნარის განვითარებაზე (Pruett & Barker, 2009).

<u>შუა ბავშვობა.</u> 6-იდან 12 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში მშობლების განქორწინებით გამოწვეული სტრესი უარყოფით გავლენას ახდენს მათ აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურ ცხოვრებაზე. ბავშვების (რომლებიც განქორწინებას განიცდიან) დაახლოებით მესამედს აქვთ შეფერხებები კითხვაში, მართლწერასა და მათემატიკაში. გარდა ამისა, მათი თანატოლი დაქორწინებული მშობლების შვილებთან შედარებით,ახასიათებთ პრობლემური ქცევითი გამოვლინებები მშობლების დაშორებიდან პირველი 2 წლის განმავლობაში (Pruett & Barker, 2009).

<u>მოზარდობა (11-17).</u> უფროს მოზარდებს უფრო მეტად ესმით რა ხდება მშობლებს შორის და რა არის მშობლების განქორწინების მიზეზი, ისინი მეტად იმედგაცრუებულები არიან, მეტად გრძნობენ თავს უძლურად და ხშირად ახასიათებთ ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარების ტენდენცია, ადრეული სექსუალური ურთიერთობები, აგრესიული და დანაშაულებრივი ქცევით თავიანთი აღშფოთების

გამოხატვის ტენდენცია. სიტუაციას აუარესებს ის, როდესაც მშობლები ღიად აკრიტიკებენ ყოფილ მეუღლეს, განიხილავენ საკუთარ პირადულობას და ზრდიან შვილების პასუხისმგებლობას საშინაო მოვალეობებზე. მოზარდებს, რომლებიც განიცდიან მშობლების განქორწინებას, უფრო სავარაუდოა ჰქონდეთ ფსიქოლოგიური სტრესი, უფრო დაბალი თვითშეფასება და ასევე, სირთულეები და კონფლიქტი რომანტიკულ ურთიერთობებში ვიდრე ქორწინებაში მყოფი მშობლების შვილ მოზარდებს. ასევე, ადრეულ ასაკში გამოვლენილმა აკადემიურმა პრობლემებმა და სკოლიდან წასვლამ და სამომავლო გეგმების ვერ ჩამოყალიბებამ შეიძლება მოზარდობის ასაკში გახდეს დანაშაულებრივი ქმედების მაპროვოცირებელი (Pruett & Barker, 2009).

ბავშვის კეთილდღეობაზე გავლენას ახდენს ასევე შემდეგი მახასიათებლები: მშობლების განათლება, (Moore et al., 2011); მშობელი-შვილის ურთიერთობა, მშობელი- შვილის მიჯაჭვულობა, შვილის ემოციური უსაფრთხოება, შვილის კოგნიციები და ატრიბუციები და შედეგად, შვილის რეაქცია ტრავმაზე (Dominick, 2018), ბავშვის ასაკი (Dominick, 2018), მშობლის სქესი, ეთნიკურობა (Dominick, 2018) და ბავშვის ცხოვრებაში ჩართულობა (Miner & Schofield, 2016).

შეჯამება

თეორიული ჩარჩოსა და განხილული ლიტერატურის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცოლ-ქმრული კონფლიქტის მოზარდ შვილების ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე ასახვის ხარისხი მნიშვნელოვნად არის რამდენიმე ცვლადზე: ფინანსური შემოსავალი, ოჯახის ფუნქციონირება, აღზრდის სტილი და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის არსებობა.

თუ ცოლ-ქმარი ვერ უმკლავდება კონფლიქტს და ამ დროს ოჯახის წევრები თვლიან, რომ აქვთ დაბალი ფინანსური შემოსავალი; ბავშვს არ აქვს ჯანსაღი ურთიერთობა მშობელთან; მშობელი არ ერთვება მის ცხოვრებაში; არ უჭერს მხარს და არ ზრუნავს მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე; ოჯახში როლები გადანაწილებულია არათანაბრად და ოჯახის წევრები არ ცვლიან პოზიტიურ ემოციებს, მნიშვნელოვნად იზრდება ბავშვის კეთილდღეობის გაუარესების, ქცევითი და ემოციური

პრობლემების აღმოცენების რისკი. ჩამოთვლილ ფაქტორებზე, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მშობელი-შვილის ურთიერთობა; მშობელი - შვილის მიჯაჭვულობა; შვილის ემოციური უსაფრთხოება; შვილის კოგნიციები და ატრიბუციები. აღნიშნული საკითხი საჭიროებს კვლევას კონკრეტულ კულტურულ გარემოში და წარმოადგენს მოზარდების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის მხარდასაჭერ რესურსს.

ცოლ-ქმრული კონფლიქტი პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას ახდენს მოზარდის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე. ეს პროცესი, თავის მხრივ, განიცდის სხვა დამოუკიდებელი ფაქტორების გავლენას. გამოდის რომ, არსებობს ფაქტორები, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცოლ-ქმრული კონფლიქტის მის კეთილდღეობაზე ასახვის პროცესში (ზოგი აშუალებს, ზოგი ამძაფრებს და ან ასუსტებს პროცესს), ეს ფაქტორები ძირითადად საერთოა, თუმცა, სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებული როლი აკისრიათ და მოზარდთა კეთილდღეობაზე ზრუნვის ეფექტურობისთვის უნდა იქნეს ნაკვლევი კულტურულ კონტექსტში.

რელევანტური ლიტერატურულის და კვლევების მიმოხილვის შედეგად იდენტიფიცირდა ცოლ-ქმრული კონფლიქტისა და მოზარდი შვილების ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობის კავშირზე ზეგავლენის უნარიანი ცვლადები:

- აღზრდის სტილი - განაპირობებს ბავშვის თვითრეგულაციას, მიზნების მიღწევადობას, თვითშეფასებასა და მოზარდობის კეთილდღეობას და შეიძლება იცვლებოდეს ოჯახში არსებული სიტუაციის მიხედვით, და ან წარმოადგენდეს საზოგადოებისთვის დამახასიათებელ კულტურულ თავისებურებას.
- ოჯახის ფუნქციონირება - ფუნქციები და მათი შესრულება არ/შესრულება მისი წევრების ფსიქოსოციალურ კეთილდღეობაზე ისახება და თავის მხრივ დამოკიდებულია ცოლ-ქმარს შორის არსებულ ურთიერთობასა და კონფლიქტის არსებობაზე
- ფინანსური მდგომარეობის აღქმა - ცოლ-ქმრის მიერ ოჯახის ფინანსური მდგომარეობის აღქმა შეიძლება ასუსტებდეს და ან აძლიერებდეს ოჯახში მიმდინარე პროცესებს დამოუკიდებლად და/ან დამოკიდებული იყოს ოჯახში მიმდინარე პროცესებზე და აშუალებდეს ცოლ-ქმრული კონფლიქტის ბავშვზე ასახვის ხარისხს;

- ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმა - ოჯახის შიგნით და გარეთ წარმოადგენს რესურსს ცოლ-ქმრული კონფლიქტის უარყოფით შედეგებთან გასამკლავებლად. მხარდაჭერის განცდა შეიძლება გამომდინარეობდეს ოჯახში არსებული ატმოსფეროდან და ან წარმოადგენდეს დამოუკიდებლად არსებულ დამცავ მექანიზმს.
- დემოგრაფიული მონაცემები - ცოლ-ქმრული კონფლიქტის შემთხვევაში, შვილის კეთილდღეობაზე ასახვის რისკ და დამცავ ფაქტორებში განიხილება ოჯახის დემოგრაფიული მონაცემები (სქესი, ასაკი, განათლება).

იდენტიფიცირებულ ცვლადებს სხვადასხვა კვლევებით განსხვავებული როლი აქვთ. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კვლევის მეორე ეტაპზე შემუშავდა საკვლევი ინსტრუმენტის დებულებები, რომელთა კვლევისთვის ვარგისიანობის შესამოწმებლად ჩატარდა საპილოტე კვლევა. საპილოტე კვლევამ გაზომა შემუშავებული საკვლევი ინსტრუმენტის დებულებების სანდოობა და ვალიდობა. ეს კი, კვლევის მესამე ეტაპზე, ცოლ-ქმრული კონფლიქტის მაჩვენებლისა და მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის კავშირზე ზეგავლენის უნარიანი ცვლადების, ქართულ რეალობაში, ურთიერთმიმართების ბუნების კვლევაში დაგვეხმარა.

თავი III. თეორიული მოდელი

ოჯახის შესახებ არსებობს ბევრი თეორია, რომელიც სხვადასხვა მიდგომებს გვთავაზობს ოჯახების შესასწავლად, ჩვენი კვლევის თეორიულ ჩარჩოდ აღებულ იქნა ოჯახის შემსწავლელი სამი მნიშვნელოვანი თეორია: ოჯახი სისტემების თეორია (*Introduction to the Eight Concepts*, n.d.) მიჯაჭვულობის თეორია (Bowlby, 1958) და ემოციური უსაფრთხოების თეორია (Davies & Cummings, 1994), რომელიც ჩვენი აზრით, ურთიერთშემავსებელია და კარგად ხსნის კვლევაში დასმულ საკითხს.

ოჯახის სისტემების (*Introduction to the Eight Concepts*, n.d.) თეორიის მიხედვით ოჯახი არის მიკრო დონის სისტემა და განიხილება, როგორც რთული, დინამიკური და ინტეგრირებული მთლიანობა, რომელშიც თითოეული წევრი ახდენს გავლენას ყველა სხვა წევრზე. მშობლების (დედ-მამის) ურთიერთობა ხშირად განიხილება, როგორც ოჯახისა და მისი წევრების კეთილდღეობის განმაპირობებელი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ოჯახის ფუნქციონირების ყველა ასპექტზე. შესაბამისად, მათი უნარი გაუმკლავდნენ სტრესს და კონფლიქტს, დაუჭირონ ერთმანეთს მხარი და შექმნან ემოციურად უსაფრთხო გარემო, წარმოადგენს შვილების განვითარებისა და კეთილდღეობის წინაპირობას. შესაბამისად, თეორიის თანახმად, ბავშვის კეთილდღეობა და განვითარება დაკავშირებულია ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობის სიჯანსაღესთან.

ოჯახის სისტემების თეორიაში, ოჯახის სისტემების გამართულად მუშაობისთვის აუცილებელია ცოლ-ქმარს ჰქონდეს ახლო და უკონფლიქტო ურთიერთობები, რომელთა მნიშვნელოვნების მხარდასაჭერად კვლევა ეყრდნობა ბოულბის (Bowlby, 1982) მიჯაჭვულობის თეორიას, სადაც მიჯაჭვულობა ძლიერი, გრძნობითი კავშირია, რომელიც ადამიანებს მათთვის ემოციურად მნიშვნელოვანი ადამიანების მიმართ აქვთ[2]. ჯონ ბოულბი იყო პირველი, ვინც მიჯაჭვულობის განსხვავებული ცნება შემოიტანა. მან მიჯაჭვულობა განმარტა როგორც "ხანგრძლივი ფსიქოლოგიური კავშირი ადამიანებს შორის". ამ თეორიის მიხედვით, ბავშვის განვითარების პროცესი

[2] დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ http://phf.org.ge/ka/resources/mijachvuloba/ წვდომის თარიღი: 16.01.2023

მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ბავშვისა და გარემოს ურთიერთობაზე. მისი აზრით, ბავშვის სოციალური, ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური შესაძლებლობების განვითარებაზე საუბრისას, აუცილებელია შევისწავლოთ, მისი მშობელთან ურთიერთობა და მიჯაჭვულობა. ბოულბიმ (Bowlby, 1982) მიჯაჭვულობა ახსნა, როგორც შვილის უსაფრთხოების, სანდო ბაზა", რაზეც იგება მისი სოციალური განვითარების გზა. მიჯაჭვულობა გულისხმობს ემოციურ რეგულაციას, სოციალური ატრიბუციას, სოციალიზაციას და ქცევის დასწავლას. მშობელი-ბავშვის მიჯაჭვულობა ბავშვს უვითარებს სოციალურ კომპეტენციას, ხელს უწყობს მის განვითარებას და ეს პროცესი მხარდაჭერითი ურთიერთობებით, უკუკავშირებითა და მშვიდი გარემოთი ხასიათდება. გარსტეინისა და ივერსონის (Gartstein & Iverson, 2014) კვლევამ მხარი დაუჭირა ბოულბის (Bowlby, 1982) მოსაზრებას და ცხადყო, რომ ბავშვები, რომლებიც საიმედოდ არიან მიჯაჭვულები მშობლებთან, აქვს მათთან კარგი ურთიერთობა უფრო მარტივად უმკლავდებიან პრობლემებს და აქვთ თანაგრძნობის და სოციალური კომპეტენციის მაღალი დონე. ხოლო ისინი, ვისაც არ აქვს საიმედო ურთიერთობა მშობელთან გამოხატავენ მტრულ დამოკიდებულებას, სარისკო ქცევას და მიდრეკილნი არიან უფროს ასაკში ჰქონდეთ პრობლემების ექსტერნალიზებული და ინტერნალიზებული გამოხატულება. ამ ყოველივეს კი ამძაფრებს მშობლებს, ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტის არსებობა.

მიჯაჭვულობის თეორიის მსგავსად, ემოციური უსაფრთხოების თეორია (EST) (Davies & Cummings, 1994), ცდილობს ახსნას როგორ უკავშირდება მშობელთა კონფლიქტი ბავშვის ფსიქოსოციალურ ჯანმრთელობას, ის წამყვან გარემოებად შვილის უსაფრთხოების განცდას ასახელებს და თვლის, რომ როდესაც მშობელთა კონფლიქტს (ძირითადად), ახლავს ძალადობა, გადაუჭრელი საკითხები, დაძაბულობა, შფოთვა, იკარგება შვილების უსაფრთხოების განცდა და ეს აისახება მათ ქცევით და ემოციურ გამოხატულებებში.

ამ თეორიებზე დაყრდნობით, კვლევას მიაჩნია, რომ ოჯახში მშობლების ურთიერთობა, კონფლიქტი გავლენას ახდენს შვილების კეთილდღეობაზე. აღნიშნული გავლენის შემადგენელ მექანიზმებად შეიძლება განვიხილოთ მშობელი-შვილის ურთიერთობა, მშობელთა შორის კონფლიქტის დროს ბავშვის ქცევის

კონტროლის ხარისხი, ოჯახის ფუნქციონირება, ფინანსური რესურსების სუბიექტური შეფასება, მხარდაჭერისა და უსაფრთხო გარემოს აღქმა ოჯახში, რომელნიც მოდერაციული და მედიაციური ეფექტით, გავლენას ახდენს შვილების კეთილდღეობის მაჩვენებელზე

თავი IV. საკვლევი საკითხის განსაზღვრა

საქართველოში ოჯახის თერაპიული მიმართულება ახლა იკიდებს ფეხს და ვითარდება. ადაპტირებულია მხოლოდ ცალკეული ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებაც კომპლექსური გზით, თერაპიის პროცესის დროში გახანგრძლივებას გულისხმობს. ადაპტირებული საკვლევ ინსტრუმენტებში არსებული კითხვების ჯამური რაოდენობა ძალიან დიდია და თითოეული მათგანით მოპოვებული მონაცემების დამუშავების ხერხი განსხვავებული, რაც არსებული ინსტრუმენტების კომპლექსურ გამოყენებას ართულებს.

მოცემული კვლევის მიზანი იყო ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლისა და მოზარდი შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის კავშირზე გავლენის უნარიანი ცვლადების დადგენა და მათი მოდერაციული და მედიაციური ანალიზი. რა შემთხვევაში იცვლება ოჯახში, ცოლ-ქმარს შორის არსებული კონფლიქტის მაჩვენებლისა და შვილის კეთილდღეობას შორის არსებული კავშირი. მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი იყო, იდენტიფიცირებული ცვლადების მედიაციური და მოდერაციული როლის საკვლევად, შემუშავებულიყო გამოყენებისთვის მოქნილი და მარტივი კითხვარი, რომელიც დაეფუძნებოდა რელევანტურ სამეცნიერო ლიტერატურას, იქნებოდა სტანდარტიზებული და დაეხმარება მკვლევარს/თერაპევტს ერთიანი პრინციპით/ მიდგომით იკვლიოს აღნიშნული საკითხი.

ამ მიმართულებით არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცოლ-ქმრული კონფლიქტის მოზარდ შვილების ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე ასახვის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რიგ ფაქტორებზე : აღზრდის სტილი, ოჯახის ფუნქციონირება, ფინანსური მდგომარეობის და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმა და დემოგრაფიული მონაცემები.

იდენტიფიცირებული ცვლადების მედიაციური და მოდერაციული როლის საკვლევად შეიქმნა ინსტრუმენტი, რომლითაც შესაძლებელი გახდა ვიკვლიოთ

ცოლქმრული კონფლიქტურობის განსხვავებული მაჩვენებლის მქონე ოჯახის მოზარდის შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონეები.

1. განისაზღვრა რესპონდენტთა ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაღალი, საშუალო და დაბალი მაჩვენებლის დეფინიციები. ოლსენის მიხედვით (Olson, 2000; Olson & Lavee, 1989), კონფლიქტურობის მაღალი მაჩვენებლის ოჯახებში კოჰესიურობა/შეჭიდულობა და ადაპტაციურობა არ არის დაბალანსებული (ან მაღალია ან დაბალი), ხოლო ოჯახებს, სადაც საშუალო მაჩვენებელია (შეჭიდულობასა და ადაპტაციურობაში), ურთიერთობები დაბალანსებულია და აქვთ კონფლიქტურობის დაბალი მაჩვენებელი/ტენდენცია

2. ასევე, განისაზღვრა, რას ნიშნავს მოცემულ კვლევაში მოზარდი შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონე (მაღალი, საშუალო, დაბალი). კეთილდღეობის დონის განსაზღვრებისას, კვლევა დაეყრდნო სელიმანის თეორიას (Seligman, 2011), სადაც შვილის კეთილდღეობა გულისხმობს გარშემომყოფებთან პოზიტიური ურთიერთობას; მისთვის საინტერესო აქტივობებში ჩართვას; წარმატებულობის განცდას და სხვ.

ცოლ-ქმრული კონფლიქტის სხვადასხვა მაჩვენებლის მქონე ოჯახის მოზარდი შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონეებში განსხვავების აღმოჩენის შემთხვევაში, განისაზღვრება ცოლ-ქმრული კონფლიქტისა და მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის კავშირზე გავლენის უნარიანი ცვლადების: ოჯახის ეკონომიკური შემოსავლის, აღზრდის სტილის, ოჯახის ფუნქციონირებისა და არსებული ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის მოდერაციული და მედიაციური როლი.

4.1. კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანი იყო ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლისა და მოზარდი შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის კავშირზე ზეგავლენის უნარიანი ცვლადების დადგენა და მათი მოდერაციული და მედიაციური ანალიზი. კვლევითი ინტერესს წარმოადგენდა იმის დადგენა, რა შემთხვევაში იცვლება ოჯახში, ცოლ-ქმარს შორის არსებული კონფლიქტის მაჩვენებლისა და შვილის კეთილდღეობას შორის არსებული კავშირი.

კვლევა ვარაუდობდა, რომ :

4.ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლის ზრდა კავშირშია შვილების კეთილდღეობის დონის შემცირებასთან. ცოლქმრული კონფლიქტის მაღალი მაჩვენებლის მქონე ოჯახის მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა, ცოლქმრული კონფლიქტის დაბალი მაჩვენებლის მქონე ოჯახის მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობასთან შედარებით დაბალია.
5.ცოლ-ქმრული კონფლიქტის მაღალი მაჩვენებლის ასახვა მოზარდთა ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე დამოკიდებულია ცოლქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლისა და შვილთა ფსიქოსოციალური კეთილდღეობის კავშირზე ზეგავლენის უნარიანი ცვლადების მაჩვენებელზე.

კვლევის ვარაუდის შესამოწმებლად, გახორციელდა შემდეგი ეტაპები:

<u>თავდაპირველად</u>, სამაგიდე კვლევის ეტაპზე (dask research) - ცოლ-ქმრული კონფლიქტისა და მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის კავშირზე გავლენის უნარიან ცვლადებზე ხელმისაწვდომი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე, განისაზღვრა ცოლ-ქმრული კონფლიქტისა და მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის კავშირზე გავლენის უნარიანი ცვლადები: აღზრდის სტილი, ოჯახის ფუნქციონირება, ოჯახის ფინანსური შემოსავალი, ფსიქოსოციალური მხარდაჭერა და დემოგრაფიული მონაცემები.

<u>კვლევის მომდევნო ეტაპზე მოხდა</u> - ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლისა და მოზარდი შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის კავშირზე გავლენის უნარიანი ცვლადების მოდერაციული და მედიაციური როლის საკვლევად ინსტრუმენტის შემუშავება:

- ✓ შემუშავდა საკვლევი ინსტრუმენტის დებულებები;
- ✓ ინსტრუმენტის შინაარსობრივი ვალიდობა დადგინდა ექსპერტების მიერ;
- ✓ ჩატარდა კოგნიტური ინტერვიუები;
- ✓ ჩატარდა ინსტრუმენტის საპილოტე კვლევა (შემუშავებული ინსტრუმენტით ჩატარდა ოჯახებთან კვლევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ცოლ-ქმარმა და მათმა მოზარდმა შვილმა (მათი ასაკი მერყეობდა 11იდან 17 წლამდე)

- ✓ ინსტრუმენტი რედაქტირდა;
- ✓ მოხდა ინსტრუმენტის მახასიათებლების დადგენა/ სტანდარტიზაცია.

<u>საბოლოო ეტაპზე კი</u> ჩატარდა კვლევა 167 ოჯახზე და კვლევის პროცესში შემუშავებული საკვლევი ინსტრუმენტით განისაზღვრა ცოლ-ქმრული კონფლიქტისა და მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის კავშირზე გავლენის უნარიანი, კვლევით იდენტიფიცირებული ცვლადების მედიაციური და მოდერაციული როლი.

თავი V. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნების გათვალისწინებით და საკვლევი განზომილებების არსებული ინსტრუმენტებით კვლევის სირთულიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში დაიგეგმა და ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად, შემუშავდა საკვლევი ინსტრუმენტი.

კვლევა ჩატარდა კვლევის რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით, კვლევის ფარგლებში შემუშავებული კითხვარით.

კითხვარი საშუალებას იძლევა განისაზღვროს ოჯახებში:

1. ცოლ-ქმრული კონფლიქტის დონე (მაღალი, დაბალი, საშუალო)

2. შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონე (მაღალი, საშუალო, დაბალი)

3. ცოლ-ქმრულ კონფლიქტსა და მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობის კავშირზე ნაგულისხმევი გავლენის უნარიანი ცვლადების (აღზრდის სტილი; ოჯახის ფინანსური მდგომარეობის აღქმა; ოჯახის წევრების ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმა და დემოგრაფიული მონაცემები) მოდერაციული და მედიაციური როლი.

სტანდარტიზებული იქნა კითხვარი: კითხვარის სტანდარტიზაციის პროცესში, ჩატარდა საპილოტე კვლევა 32 ოჯახში (32 მამა, 32 დედა და მათი 32 მოზარდი შვილი(11-17წლის) და მოზარდების შემთხვევაში საჭირო გახდა რეპილოტი - 73 მოზარდთან, რის შედეგადაც განისაზღვრა ინსტრუმენტის დამაკმაყოფილებელი ფსიქომეტრული მახასიათებლები.

კვლევის მეორე ეტაპზე, ჩვენს მიერ სტანდარტიზებული კითხვარით ჩატარდა რაოდენობრივი ინტერვიუ 167 ოჯახში (ოჯახში - ცოლ-ქმართან და მათ მოზარდობის ასაკში მყოფ შვილთან). რაოდენობრივი გამოკითხვის საშუალებით გამოიკვეთა ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის შვილთა ფსიქოსოციალურ კეთილდღეობაზე ასახვის პროცესში სხვადასხვა ცვლადების მოდერაციული და მედიაციური როლი.

ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლისა და შვილის კეთილდღეობის კავშირზე გავლენის უნარიანი ცვლადების ურთიერთმიმართებების, კავშირების შესასწავლად გამოვიყენეთ მედიაციური და მოდერაციული ანალიზის სტატისტიკური მეთოდი.[3]

კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დამუშავდა სოციალური მეცნიერებებისთვის შექმნილი სტატისტიკური პროგრამა SPSS-ში და PROCESS by Andrew F. Hayes (Procedure for SPSS Release 2.16.1, მოდელი 4 და 1-ს მეშვეობით.

კვლევის მონაწილეებად მოვიაზრეთ ქართულ ენაზე მეტყველი ცოლქმარნი, რომელთაც ჰყავთ 11-17 წლის შვილი.

საველე სამუშაოების პროცესში, გათვალისწინებული იყო კვლევის პროცესის ეთიკური სტანდარტები (კვლევის დიზაინმა და ინსტრუმენტმა გაიარა სამეცნიერო კვლევის ეთიკური სტანდარტების კომისია). ორივე ეტაპზე, რესპონდენტები, ეცნობოდნენ კვლევის მიზნებს, მათ უფლებებს და ინფორმირებული თანხმობას წერილობით ადასტურებენ (იხ. დანართი № 3). აუცილებელი პირობა იყო, რომ სამივე ყოფილიყო ინფორმირებული კვლევის მიზნებზე და გაეცხადებინა თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე. კვლევაში მონაწილეობა კონფიდენციალური და ნებაყოფლობითი იყო, რაც რესპონდენტს აძლევდა საშუალებას ნებისმიერ დროს გამოთიშვოდა კვლევას და თავიდან აერიდებინა მისი ნების საწინააღმდეგო და ან იძულებითი ქმედება.

კვლევის გეოგრაფია მოიცავდა როგორც თბილისს, ისე რეგიონებს. კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო ქართულ ენაზე მეტყველი პოპულაციის ხელმისაწვდომი შერჩევა და თოვლის გუნდა. კვლევა ტარდებოდა პირისპირ ინტერვიუს ფორმატში ცდისპირებისთვის მოსახერხებელ ადგილზე.

[3]Hayes, A., F., On the Moderation of Mechanisms: A Conceptual Overview of Conditional Process Analysis, ხელმისაწვდომია : https://casaa.unm.edu/download/mobc2014/hayes.pdf,

თავი VI. ემპირიული კვლევა

6.1. საველე კვლევის პირველი ნაწილი

საბოლოო ინსტრუმენტის შემუშავებისას დავეყრდენით ჩვენს მიერ შერჩეულ თეორიულ ჩარჩოს. კვლევისთვის, საბოლოოდ შემუშავდა დებულებები, რომელთა შესაფასებლად, გამოვიყენეთ ლაიკერტის 5 ბალიანი სკალა. ლაიკერტის 5 ბალიანი სკალის გამოყენება გააადვილებდა კრონბახის ალფის გამოთვლასა და კითხვარის სანდოობის გაზომვას (Croasmun & Ostrom, 2011). დებულებები გადანაწილდა შესაბამის სკალებში და ქვესკალებში.

ვინაიდან, გვაინტერესებდა მშობლებისა და შვილების დამოუკიდებელი შეხედულებები, შევიმუშავეთ ორი კითხვარი. მათგან სრული, შვიდივე განზომილების (მშობლების დემოგრაფიული, ცოლქმრული კონფლიქტის, აღზრდის სტილის, ფინანსური მდგომარეობის, ოჯახის ფუნქციონირების, ოჯახური მხარდაჭერისა და მათი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა) საკვლევი დებულებები ეკუთვნოდა მშობლებს და შეადგენდა 79 კითხვას. ხოლო შვილის კითხვარი კი მხოლოდ სამი განზომილების: დემოგრაფიული მონაცემების, ოჯახური მხარდაჭერისა და ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის გაზომვას ისახავდა მიზნად და 27 დებულებებისგან შედგებოდა.

მშობლების კითხვარში ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად გამოყენებულია აიპიესის (IPS) მიერ 2011-2012 წელს „სხვადასხვა თაობის ადამიანები, დამოკიდებულებები, მრწამსები და ღირებულებები“ კვლევაში გამოყენებული დებულებები, რაც არ საჭიროებდა სანდოობის და ვალიდობის შემოწმებას.

კვლევის ინსტრუმენტში, კვლევის პროცესში შემუშავებული სკალები შემდეგნაირად განისაზღვრა:

- ✓ ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაღალი დონე განისაზღვრა, როგორც ადაპტაციურობისა და კოჰესიურობის/შეჭიდულობის ძალიან დაბალი ან ძალიან მაღალი მაჩვენებელი. ხოლო, ცოლქმრული კონფლიქტურობის საშუალო, დაბალანსებული დონე განისაზღვრა როგორც, კონფლიქტურობის დაბალი დონე.

განხილული ლიტერატურის საფუძველზე (Olson, 2000), სუბსკალების საკვლევად შეიქმნა 5-5 დებულება;

✓ მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა განისაზღვრა, როგორც პოზიტიური ურთიერთობებისა და ემოციების არსებობა, ჩართულობის განცდა, ცხოვრების საზრისის არსებობა და მიღწევების მაღალი მაჩვენებელი (Seligman, 2011). სუბსკალების საკვლევად შეიქმნა 3-3 დებულება;

✓ აღზრდის სტილი კვლევაში ნაგულისხმევია, როგორც მშობლების სიზარმაცე/დისციპლინის არსებობის; ჰიპერაქტიურობა/სიმკაცრისა და შვილის ცხოვრებაში მონაწილეობის განსაკუთრებული მასშტაბურობის(ზედმეტი სიტყვიერების) მაჩვენებლები (Arnold et al., 1993); სუბსკალების საკვლევად შეიქმნა 5-5 დებულება;

✓ ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის სკალა, რომელიც 5 დებულებისგან შეიქმნა, განისაზღვრა, როგორც განცდა და რწმენა ნებისმიერ დროს მიიღო მხარდაჭერა ოჯახის წევრებისგან (Miner & Schofield, 2016).

✓ ოჯახის ფუნქციონირება განვსაზღვრეთ, როგორც ცოლ-ქმრის უნარი გადაჭრან პრობლემა, ჰქონდეთ კარგი კომუნიკაცია, გადანაწილებული როლები ოჯახში, ემოციური რეაგირება, ემოციური ჩართულობა და ქცევის მაკონტროლებელი ჩარჩო (Epstein et al., 1983). სუბსკალების საკვლევად შეიქმნა 3-3 დებულება;

თითოეული საკვლევი განზომილების მაჩვენებელი გამოითვალა ლაიკერტის ხუთბალიან სკალაზე რესპონდენტების მიერ, ერთეულ დებულებაზე გაცემული პასუხების (1,2,3,4,5) და სუბსკალის დებულებებზე მიღებული პასუხებიდან საშუალო მაჩვენებლის გამოთვლით.

კითხვარში არ არის მოყვანილი რევერსული დებულებები. მიუხედავად იმისა, რომ რევერსული დებულებების გამოყენება ითვლება ვალიდობის გასაზომ კარგ საშუალებად, ის მნიშვნელოვნად ამცირებს სანდოობას. კერძოდ, იმით, რომ მსგავსი პასუხის ლოდინის შემთხვევაში, რესპონდენტებს ექმნებათ მარტივი წარმოდგენა და განწყობა, თუ როგორ გასცენ კითხვას პასუხი და რევერსული დებულებების არსებობა, ამ შემთხვევაში ართულებს პროცესს, მოითხოვს დაფიქრებას და ასევე, არსებობს, რისკი, რომ არ იყოს გათვალისწინებული (Aithal & Aithal, 2020).

6.1.1. ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურა - თვისებრივი კვლევა

შემუშავებული კითხვარის სტანდარტიზაციის პირველ ეტაპზე კითხვების ორაზროვნების, სტილის, გრამატიკული შეცდომებისა და შინაარსობრივი სირთულის დასაძლევად, კითხვარმა გაიარა თვალსაჩინოების (Face Validation) შეფასება და გაიზომა თითოეული კითხვის შინაარსობრივი ვალიდობა. სკალებად/სუბსკალებად დაყოფილი ინსტრუმენტი გაუზიარდა ოჯახის თემაზე მომუშავე ველის ექსპერტებსა და თითოეული განზომილების კვლევაში გამოცდილ აკადემიურ პერსონალს. გაზიარებულ კითხვებს თან ახლდა თეორიული შესავალი, თემის აქტუალობა, მიზნობრიობა და შემუშავებული კითხვების თეორიული საფუძველი. ამ დროს რესპონდენტების ჩართულობა გულისხმობდა ლაიკერტის 11 ბალიან სკალაზე (Bujang et al., 2022) (სადაც 1- საერთოდ არ შეესაბამება და 11- სრულიად შეესაბამება) დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია, იმის თაობაზე, რამდენად შეესაბამებოდა ჩემს მიერ შემუშავებული კითხვები იმ განზომილებებს, რომელზეც გამახვილებული იყო გაზიარებული მასალის თეორიულ ნაწილში (Aithal & Aithal, 2020; Bujang et al., 2022). კვლევის ამ ეტაპზე მონაწილეობა მიიღო 9 რესპონდენტმა, მათგან 4 იყო ოჯახში კონფლიქტის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის საკითხზე მომუშავე პრაქტიკოსი ფსიქოლოგი და 5 კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ვისი სამეცნიერო ინტერესი და საკვლევ თემატიკა იყო ოჯახი. რესპონდენტებს, მათი გამოცდილების მიხედვით გაუზიარდათ 5 სხვადასხვა განზომილების (ცოლ-ქმრული კონფლიქტი, აღზრდის სტილი, ოჯახის ფუნქციონირება, ფსიქოსოციალური მხარდაჭერა და კეთილდღეობა) საკვლევად შემუშავებული დებულებები და ჯამში მიღებულ იქნა 29 უკუკავშირი (თითო ბლოკზე 5-6- უკუკავშირი). მონაცემთა შეგროვების შემდგომ, პირველ რიგში გამოთვლილ იქნა თითოეული კითხვის საკვლევ განზომილებასთან შესაბამისობის საშუალოები, რა დროსაც განისაზღვრა, რომ 9-10-11 ქულა უნდა ყოფილიყო მაღალი. შეფასებული 64 კითხვიდან ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო კითხვამ, რომლის ვალიდურობის შეფასება შეადგენდა 8.4 ქულას 11-იდან, დანარჩენი კითხვების მნიშვნელოვანი უმრავლესობა შეფასებულია 10 და მეტი ქულით (იხ. Face Validation შეფასებების საშუალო ქულა კითხვების მიხედვით)

მას შემდეგ, რაც დაჯამდა თითოეული კითხვის Face ვალიდურობის კოეფიციენტი და გამოითვალა საშუალოები, გაანალიზდა რესპონდენტთა უკუკავშირები. რომელიც ეკუთვნოდათ ძირითადად აკადემიური სფეროს წარმომადგენლებს. გათვალისწინებულ იქნა მათი რეკომენდაციები, რომელიც ეხებოდა გრამატიკასა და ტერმინოლოგიურ ცვლილებას. ასევე, გამოიკვეთა ზოგ კითხვაზე ორაზროვნების დაძლევის აუცილებლობა. ფორმულირებული დებულებების ორაზროვნების თაობაზე რესპონდენტთა პოზიციების გასამყარებლად ან უგულებელსაყოფად მომდევნო ეტაპზე ჩატარდა კოგნიტური ინტერვიუები. კოგნიტურმა ინტერვიუმ მოგვცა საშუალება გადაგვემოწმებინა პოტენციური რესპონდენტებისთვის რამდენად გასაგებია კითხვები, ან რომელიმე კითხვა ხომ არ იყო ზედმეტი და/ან საჭიროებდა დაზუსტებას/ცვლილებას, (Willis, 2013). კოგნიტური ინტერვიუ ჩაუტარდა 11 რესპონდენტს, მათგან იყო 6 ქალი და 5 კაცი და მათი ასაკი მერყეობდა 26-37 წლებს შორის. ვალიდობის დადგენის ეს ეტაპი დაგვეხმარა გაგვერკვია რამდენად ცხადი და ერთაზროვანი იყო დებულებები, ორაზროვნებს დასაძლევად რეფორმულირებისთვის ვთხოვდი რჩევას, თუ როგორ დამეძლია აღნიშნული გამოწვევა. შედეგად დავრწმუნდით რომ, შემუშავებული კითხვები არის ცხადი, შინაარსობრივად ასახავს საკვლევ თემას და არ არის ორაზროვანი (Bujang et al., 2022).

6.1.2. ინსტრუმენტის ფსიქომეტრული მახასიათებლების განსაზღვრა - საპილოტე კვლევა

ინსტრუმენტის სტანდარტიზაციის მეორე ეტაპზე ჩატარდა საპილოტე კვლევა. საპილოტე კვლევის მიზანი იყო კვლევის პროცესში შემუშავებული კითხვარის სანდოობის და ვალიდობის განსაზღვრა. მიუხედავად იმისა, რომ საპილოტე კვლევა ვერ იძლევა მონაცემების განზოგადების საშუალებას, ვერ შეძლებს შედეგსა და ეფექტს შორის კავშირის დადგენას, მას შეუძლია გვაჩვენოს, ცვლადების ერთმანეთთან დამოკიდებულება. რაც კითხვარის გამართულობის შემოწმებისთვის საკმარისია (Bujang et al., 2022).

საპილოტე კვლევისთვის შეირჩა 31ოჯახი (წყვილი / ცოლ-ქმარი) და მათი მოზარდი შვილები. სულ 31 მოზარდი. კვლევის მონაწილე არის 93 ადამიანი. კვლევის

მონაწილეების შერჩევა იყო არაალბათური, ხელმისაწვდომი. ზუსტად იყო დაცული სამიზნე ჯგუფის მახასიათებლები (Bujang et al., 2022).

თვითადმინისტრირებად კითხვარის სანდოობის შეფასებამდე, კონვერგენტული ვალიდობის დადგენით, გავზომეთ ჩვენს მიერ შექმნილი სკალების კონსტრუქტის ვალიდობა. კონვერგენტული ვალიდობის გასაზომად, ჩვენს მიერ შემუშავებული ხუთი სკალიდან ორის შემთხვევაში (ცოლ-ქმრული კონფლიქტურობა და ოჯახის ფუნქციონირების სკალა), რესპონდენტების (ცოლ-ქმრის) საპილოტე კვლევის შედეგებს ვადარებდით მსგავს, ადაპტირებულ კითხვარებზე გაცემულ პასუხებს (ფანჯიკიძე, 2014; შანავა, 2016), რომლებიც ზომავენ მსგავს კონსტრუქტებს. აღნიშნული სკალები იქნა შერჩეული კვლევაში მათი მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე. სხვა არსებული იგივე მიზნობრიობის ინსტრუმენტები გამოსაყენებლად დიდი და დასამუშავებლად კი განსხვავებულია. გარდა ამისა, მხარდაჭერის აღქმასა და მოზარდის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე არსებული საზომი ინსტრუმენტების საკვლევი კონსტრუქტები არ ემთხვეოდა ჩვენს სკალებს, რაც აზრს მოაკლებდა წყვილში მათ კვლევას.

სულ შეავსო 29 წყვილმა (29 ცოლი და 29 ქმარი), იდეალურ შემთხვევაში, ჩვენს მიერ შედგენილ და არსებულ ადაპტირებულ (ფანჯიკიძე, 2014; შანავა, 2016) სკალებს უნდა ჰქონოდა საშუალო და მაღალი კორელაცია, რაც იქნებოდა კონვერგენტული ვალიდობის მტკიცებულება, და შესაბამისად, კონსტრუქციის ვალიდობის მაჩვენებელი. იგულისხმებოდა რომ r რომელსაც აქვს 0.4 და მეტი მაჩვენებელი, ითვლება დამაკმაყოფილებელი კორელაციის მქონედ.[4] (იხ. სკალებს შორის კორელაციური ანალიზის ცხრილი № 1)

ცხრილი № 1 სკალებს შორის კორელაციური ანალიზი

სკალა	ოჯახის ფუნქციონირება ქიტოშვილი	ცოლ-ქმრ. კონფლიქტი - ქიტოშვილი

[4] What Is Convergent Validity? | Definition & Examples, დამატებიტი ინფორმაციისთვის, იხილეთ : https://www.scribbr.com/methodology/convergent-validity/, ბოლო წვდომის თარიღი 10.07.2023

ოჯახის ფუნქციონირება - ფანჯიკიძე	.492	
ცოლ-ქმრული კონფლიქტი - შანავა		.345*

(P<0.005)

კონვერგენტული ვალიდობის გაზომვისას მიღებული კორელაცია დამაკმაყოფილებელია და იგულისხმება, რომ ვრცელ შერჩევაზე გადამოწმების შემთხვევაში, უკეთეს შედეგს მოგვცემს.

6.1.3. სანდოობა

სანდოობის გაზომვისას კი ვიხელმძღვანელეთ მოცემულობით, რომ სანდოობის მაჩვენებელი დამოკიდებულია დებულებების რაოდენობაზე სკალასა და სუბსკალაში. რაც უფრო მეტია დებულება, მით მაღალი მოთხოვნებია სანდოობის მაჩვენებლის მიმართ. დალანტის (Pallant, 2020) მიხედვით, მცირე დებულებიან სკალისთვის მინიმალური მაჩვენებელი არის 0.5 და ქომრისა და ლის (Comrey & Lee, 2013) მიხედვით, კი ფაქტორული ანალიზის შედეგად მიღებული 0.71-ზე მაღალი მაჩვენებელი საუკეთესოა, 0.63-ზე მაღალი ძალიან კარგი, 0,55- კარგი, ხოლო 0,32 კი სუსტი.

- **მშობლების კითხვარი**

კითხვარის სანდოობის გასაზომად, გამოყენებულ იქნა კრონბახის ალფა. კრონბახის ალფათი გაზომილი სანდოობა ჩვეულებრივ მერყეობს 0-1 ის ფარგლებში, არ არსებობს ქვედა ზღვარი, თუმცა რაც უფრო ახლოა მაჩვენებელი 1-თან, მით მეტია სკალის დებულებებს შორის შეთანხმებულობა. ალფა იზომება სკალის დებულებებისა და დებულებებს შორის კორელაციების მაჩვენებლებით (Gliem & Gliem, 2003) და ადგენს კითხვარის სკალის დებულებებს შორის არსებულ კავშირსა და მიმართებებს სკალის ჯამურ მაჩვენებელთან. კოეფიციენტის სიდიდე დამოკიდებულია რესპონდენტების პასუხსა და დამოკიდებულია სკალაში არსებული დებულებების სიმრავლეზე (Suhr & Shay, 2009).

მშობლებისთვის შეთავაზებული კითხვარის სანდოობის შესამოწმებლად გაანალიზდა შემდეგი სკალები და სუბსკალები:

<u>ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის</u> საზომად შექმნილი დებულებების სანდოობის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ადაპტაციურობის საზომ სუბსკალაში განსაკუთრებულად დაბალი სანდოობის მაჩვენებლის მქონე იყოს დებულება „ჩვენი შვილი/ების მოსაზრება უყურადღებოდ არასდროს რჩება“ - ,-051, რომლის სკალაში დატოვებით, სკალა კარგავდა სანდოობას და რომლის ამოღების შემდეგაც სკალის სანდოობის მაჩვენებელი იზრდებოდა .44-მდე. ამის შემდგომ სკალა ერთიანად გავზომეთ და აღმოჩნდა, რომ ერთიანი (10 დებულებიანი სკალის α იყო 0,663 და იგივე დაბალ მაჩვენებლიანი კითხვის ამოღების შემთხვევაში , იზრდებოდა ,67-მდე. კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე აღნიშნული სკალა სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელია და შესაბამისად, კითხვა რეფორმულირდა და ნაცვლად: „ჩვენი შვილი/ების მოსაზრება უყურადღებოდ არასდროს რჩება“,ფორმულირდა: „ჩვენი შვილების მოსაზრებებს, ყოველთვის ვაქცევთ ყურადღებას“. გარდა ამისა, ადაპტაციურობის საზომი სუბსკალის სანდოობის დაბალი და მთლიანობაში სკალის დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელი ავხსენით, როგორც შერჩევისა და სუბსკალის დებულებების სიმცირით, ისე, სუბსკალაში დებულებების განაწილების უზუსტობით, რის დასაზუსტებლადაც ჩატარდა ფაქტორული ანალიზი.

<u>მოზარდი შვილის ფსიქოსოციალური კეთილდღეობის</u> მაჩვენებლის გასაზომად შემუშავებული დებულებები იყო ფორმულირებული მესამე პირში და გულისხმობდა, მათი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის ცალკეულ კონსტრუქტებზე მათი შეხედულების კვლევას. მას შემდეგ რაც 3-3 დებულებიანი სუბსკალების ცალკეულმა ანალიზმა, გვაჩვენა არაერთგვაროვანი პასუხი, გაიზომა მთლიანი სკალა (15 დებულება) ერთად და სანდოობის კოეფიციენტი α=,766 აღემატებოდა 10ზე მეტ დებულებიანი სკალებისთვის განსაზღვრულ მინიმალურ ზღვარს (0,6):

<u>აღზრდის სტილის</u> სკალის სუბსკალების გადამოწმების შედეგები სამივე შემთხვევაში იყო კარგი (.668)((მცირე დებულების შემთხვევაში α>0,5-ზე და 10ზე მეტი დებულების შემთხვევაში კი α >0,6-ზე)

ოჯახის ფუნქციონირების სკალაში შემოთავაზებული სუბსკალებში დებულებების რაოდენობა მცირეა და სანდოობის კოეფიციენტი დაბალი აქვს ცალკეულ სუბსკალებს, თუმცა, სკალის ერთიანი მაჩვენებელი მაღალი სანდოობით ხასიათდება (,836)

ასევე, მაღალი სანდოობის მაჩვენებელი აღმოაჩნდა ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის გასაზომად შემუშავებულ 5 დებულებიან სკალას (.708). (იხ. მშობლების კითხვარის სანდოობის მაჩვენებელი, ცხრილი № 2).

ცხრილი № 2. მშობლების კითხვარის სუბსკალების სანდოობის მაჩვენებელი

სკალის სახელწოდება	α კოეფიციენტი	დებულებების რაოდენობა
ცოლქმრული კონფლიქტი	**,663**	**10**
კოჰესიურობა	,69	5
ადაპტაციურობა	,38	5
აღზრდის სტილი	**,668**	**15**
სიზარმაცე	,80	5
ჰიპერაქტიურობა/სიმკაცრე	,51	5
ზედმეტი სიტყვიერება	,81	5
ოჯახის ფუნქციონირება	,836	**18**
პრობლემის გადაჭრის ფუნქცია	,618	3
კომუნიკაცია	,08	3
როლები	,625	3
ემოციური რეაგირება	,467	3
ემოციური ჩართულობა	,73	3
ქცევის კონტროლი	,53	3
ფსიქო-სოციალ ური მხარდაჭერა	**,708**	**5**
მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა	**,766**	**15**
ჩართულობა	,67	3
პოზიტიური ურთიერთობები	,82	3
ცხოვრების საზრისი	,24	3

მიღწევების განცდა	,80	3
პოზიტიური ემოციები	,05	3

მას შემდეგ რაც შემოწმდა მშობლებისთვის განკუთვნილი კითხვარის თითოეული სკალა და ნაგულისხმევი სუბსკალების სანდოობა, დავრწმუნდით, რომ რაც უფრო დიდი იყო სკალაში დებულებების ოდენობა , მით მაღალი იყო მაჩვენებელი და გადავწყვიტეთ, ყველა სკალის ერთიანი სანდოობის გაზომვა, რა დროსაც კვლევის მიზნებისთვის შემუშავებულ კითხვარს მაღალი სანდოობის მაჩვენებელი აღმოაჩნდა (,842) (იხ.ცხრილი, მშობლების კითხვარის სანდოობის ჯამური მაჩვენებელი № 3)

ცხრილი № 3. მშობლების კითხვარის სანდოობის ჯამური მაჩვენებელი

ყველა სკალა ერთად

სკალების სახელწოდება	α კოეფიციენტი
ცოლქმრული კონფლიქტი (10 დებულება)	
აღზრდის სტილი (15 დებულება)	**,842**
ოჯახის ფუნქციონირება (18 დებულება)	
ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა (5 დებულება)	
ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (15 დებულება)	

- **მოზარდი შვილები**

მოზარდი შვილებისთვის განკუთვნილი კითხვარი შედგებოდა დემოგრაფიული ბლოკისა და მხოლოდ ორი სკალისგან: ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის სკალა და ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის სკალა. ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის სკალად გამოყენებულ იქნა მშობლებთან გამოყენებული სკალის ანალოგი, ხოლო ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის სკალის შემთხვევაში მშობლებთან გამოყენებული დებულებების ფორმულირებები შეიცვალა, მესამე პირში გამოყენებული დებულებები გადავიყვანეთ პირველ პირში.

31 ცოლ-ქმრის და 31 მოზარდის მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ კითხვები , რომელთაც მშობლებთან აღმოაჩნდათ სანდოობის მაღალი მაჩვენებელი, სრულიად არ იმუშავა შვილებთან (იხ. მოზარდის კითხვარის სანდოობის მაჩვენებელი, ცხრილი №

4). ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის და კეთილდღეობის საზომ სკალას ერთად და ცალ-ცალკე ჰქონდათ სანდოობის ძალიან დაბალი მაჩვენებელი (,38 და ,49) .

ცხრილი № 4, მოზარდის კითხვარის სანდოობის მაჩვენებელი

სკალის სახელწოდება	α კოეფიციენტი	დებულება
ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა	**,38**	**5**
მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა	-	
პოზიტიური ემოციები	,34	3
ჩართულობა	,43	3
პოზიტიური ურთიერთობები	,54	3
ცხოვრების საზრისი	,006	3
მიღწევები	,701	3
ორი სკალა და სუბსკალა ერთად	**,49**	**20**

ფორმულირებული დებულებები სავარაუდოდ იყო ორაზროვანი, და ან გაუგებარი მოზარდებისთვის, რაც ჩვენი კვლევის დაგეგმვის დროს ვერ გავითვალისწინეთ. კოგნიტური ინტერვიუს ფარგლებში ორაზროვნების დაძლევა მოხდა სრულწლოვნებთან ინტერვიუირებით, და მოზარდების ცალკე არ გავაკეთეთ, რაც ჩვენი კვლევის შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე დებულებიანი სკალის სანდოობის დაბალი მაჩვენებლის მქონე დებულებების გაერთიანებით და ან სკალის ერთიანად გაზომვით, სანდოობის მაჩვენებელი იზრდება, ამ შემთხვევაში არ გაზრდილა (იხ.ცხრილი № 4).

კვლევის ძირითად მიზანს მოზარდების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობისა და ცოლქმრული კონფლიქტის კავშირზე გავლენის უნარიანი ცვლადების მედიაციური და მოდერაციული ანალიზი წარმოადგენს. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია არსებობდეს ინსტრუმენტი, რომელიც მოზარდების მხარდაჭერისა და კეთილდღეობის განცდას სანდოდ გაზომავს. მოზარდებისთვის განკუთვნილი კითხვარის პირველი ვერსიის სანდოობის დაბალმა მაჩვენებელმა საჭირო გახადა იგივე განზომილებების საკვლევად შემუშავებულიყო ახალი დებულებები და

ჩატარებულიყო რეპილოტი, რომელიც ხელახლა შემუშავებული დებულებების სანდოობის გაზომვის შესაძლებლობას მოგვცემდა.

ხელახალი კითხვების შექმნისას, მათი ეფექტიანი ფორმულირებისთვის მოხდა საკვლევი კონსტრუქტების შინაარსის ლიტერატურის გადამოწმება და იგივე კონსტრუქტების საზომად შემუშავდა იგივე რაოდენობის დებულების მქონე სკალები და სუბსკალები. დებულებები იყო მარტივი, 3-5 წინადადებიანი, რომელიც ჯერ კოგნიტური ინტერვიუებით შევამოწმეთ 10 მოზარდზე, რათა გაგვერკვია მარტივად გასაგები იყო თუ არა და სწორად ესმოდათ თუ არა დებულებები. როგორც აღმოჩნდა, მოკლე წინადადებები მათთვის გასაგები და პერიფრაზირებისთვის დაძლევადი აღმოჩნდა. ამის შემდეგ შემუშავდა ელექტრონული ვარიანტი (google,doc ფორმატით) და მიზანმიმართულად გადაეგზავნათ კვლევაში მონაწილეთა ასაკობრივი ჯგუფის სკოლის მოსწავლეებს. რეპილოტის ფარგლებში მოზარდებისთვის იყო შეთავაზებული კონფიდენციალურობასთან ერთად გარანტირებული იყო ანონიმურობა. შესაბამისად, მოზარდებს პასუხის გაცემისას მეტად ჰქონდათ ანონიმურობის განცდა და როგორც აღმოჩნდა, ამან განსხვავებული შედეგები მოგვცა.

რეპილოტურ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 73-მა მოზარდმა. მათი ასაკი მერყეობდა 13-17 წლებს შორის. საპილოტე კვლევის პირველ ეტაპზე, როდესაც კონფიდენციალურად თუმცა, მშობლის ინფორმირებულობის ფარგლებში ხდებოდა კითხვარის შევსება, არც ერთ მოზარდს არ მოუნიშნავს პასუხი 1- „სრულიად არ ვეთანხმები“ და 2- „მეტ-ნაკლებად არ ვეთანხმები“. რეპილოტის შედეგებში კი, ოჯახის დაბალი ფსიქო-სოციალური მხარდაჭერისა და კეთილდღეობის განცდის ცალკეულ შემთხვევებს გადავაწყდით. სამწუხაროდ, ეს მოზარდები არ იყვნენ ისინი, ვინც საპილოტე კვლევის პირველ ეტაპზე ოჯახთან, სისტემურად იქნა შესწავლილი და შესაბამისად, ვერ მოხდა მათი მშობლების პოზიციებისა და დამოკიდებულებების გადამოწმება საკვლევი თეორიული ჩარჩოს მიხედვით. ფაქტია, რომ კითხვარების ანონიმურად შევსებამ შეიძლება მათი გულწრფელობის დონე და კვლევისთვის მეტად სანდო შედეგები მოგვაპოვებინოს. ამიტომაც, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ძირითად საველე სამუშაოზე იქნეს ეს საკითხი გათვალისწინებული და მათი ანონიმურობის განცდის უზრუნველსაყოფად გარკვეული სქემა შემუშავდეს.

ხელახლად ფორმულირებულ დებულებებთან დაკავშირებით, აღმოჩნდა, რომ ახალი კითხვარის ორივე სკალასა და სუბსკალებს როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად აქვთ სანდოობის მაღალი მაჩვენებელი (,894) (იხ. მოზარდის კითხვარის სანდოობის ჯამური მაჩვენებელი, ცხრილი № 5):

ცხრილი № 5 მოზარდის კითხვარის სანდოობის ჯამური მაჩვენებელი

სკალის სახელწოდება	α	დებულების რაოდენობა
ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა	**,764**	**5**
მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა	,91	15
პოზიტიური ემოციები	, 75	3
ჩართულობა	,715	3
პოზიტიური ურთიერთობები	,537	3
ცხოვრების საზრისი	,805	3
მიღწევები	,808	3
ორი სკალა და სუბსკალა ერთად	**, 894**	**20**

6.1.4. ფაქტორული ანალიზი

კითხვარის დებულებების ფაქტორული ანალიზისთვის გამოვიყენეთ Exploratory factor analysis- მეთოდი, რომელიც დაგვეხმარა დებულებების დაორგანიზებაში, დებულებების არსებობის მართებულობის დადგენასა და ლატენტური კითხვის გაუქმებით კითხვარის მასშტაბების შემცირებაში. ასევე, რელევანტური კითხვების დაჯგუფება და საკვლევი სკალების დაკონკრეტებაში (Suhr & Shay, 2009).

- **მშობლების კითხვარი**

<u>ცოლქმრული კონფლიქტურობის</u> მაჩვენებლის სკალის ფაქტორულმა ანალიზმა დებულებები დააჯგუფა და გამოყო სამი ფაქტორი. ნაგულისხმევი ორი სუბსკალა (კოჰესიურობა და ადაპტაციურობა), გადანაწილდა სამ ფაქტორში და საჭირო გახდა

მათი საერთო ნიშნის მიხედვით, გამაერთიანებელი ხელახალი სახელდება: კომუნიკაცია, შეჭიდულობა და ადაპტაციურობა (იხ. ცხრილი № 6). ამ სამი ფაქტორის გარდა, განცალკევებით მოხვდა ერთი დებულება - „ოჯახში წესებს ჩვენით ვქმნით და საჭიროებისამებრ, ჩვენითვე ვცვლით ხოლმე“, რომელიც იყო ადაპტაციურობის სუბსკალაში ნაგულისხმევი, თუმცა, ასე არ აღმოჩნდა. ის ამოვიღეთ.

ცხრილი № 6 ცოლ-ქმრული კონფლიქტის სკალის ფაქტორული ანალიზი

ფაქტორები და კოეფიციენტები დებულებები	1	2	3
კომუნიკაცია			
როდესაც რამე მნიშვნელოვანი ხდება, პირველი ჩემს მეუღლეს ვუზიარებ	,885		
ჩვენ ერთმანეთი ძალიან გვიზიდავს	,883		
ოჯახურ პრობლემებს ძირითადად მეუღლესთან ერთად ვწყვეტთ	,654		
შეჭიდულობა			
მნიშვნელოვან თარიღებს უმეტესად ოჯახთან ერთად აღვნიშნავთ		,849	
ძირითად თავისუფალ დროს მეუღლესთან შეთანხმებით ვატარებთ		,708	
ჩვენი შვილების მოსაზრებებს, ყოველთვის ვაქცევთ ყურადღებას		,508	
ადაპტაციურობა			
ჩვენს ოჯახში გამოკვეთილი ლიდერი არ არსებობს			,783
საოჯახო საქმეებზე პასუხისმგებლობას მეუღლეები მონაცვლეობით ვიღებთ			,603
ჩვენ მოგვწონს ერთმანეთის მეგობრები			,544

<u>აღზრდის სტილის</u> სკალის ფაქტორული ანალიზის დროს, ასევე, გვსურდა დაგვედგინა, ნაგულისხმევი სუბსკალის დებულებები რამდენად ემსახურებიან საერთო საკვლევ მიზანს. აღმოჩნდა, რომ სიზარმაცისა და ზედმეტი სიტყვიერების

საზომი სკალები ერთფაქტორიანი იყო, ხოლო ჰიპერაქტიურობა/სიმკაცრის საკვლევი სუბსკალის დებულებები კი ორ ფაქტორად გადანაწილდა. გადაწყდა მათი თემატური გაერთიანება და ახალი სახელდების შემოთავაზება - ავტორიტარულობა-დირექტიულობა (იხ. ცხრილი № 7);

ცხრილი № 7 აღზრდის სტილის სკალის ფაქტორული ანალიზი

ფაქტორები და კოეფიციენტები დებულება	1	2	3
სიზარმაცე			
ჩემი შვილის ცუდ საქციელს ნაკლებად ვაქცევ ყურადღებას	,920		
ჩემ შვილის შეცდომებზე ნაკლებად ვდარდობ, მისი საქმე თვითონ იცის	,867		
მირჩევნია ბავშვმა არ მკითხოს როგორ მოიქცეს	,716		
როცა შვილი არ მპასუხობს ტელეფონზე - „ალბათ არ ცალია“	,693		
როცა ჩემი შვილი არ ასრულებს ჩემს თხოვნას, მე მიწევს იმ საქმის გაკეთება	,603		
ზედმეტი სიტყვიერება			
როდესაც რამე მაქვს სათქმელი შვილისთვის, ყოველთვის დეტალურად რამდენიმეჯერ ვუხსნი		,670	
ჩემს შვილთან გამუდმებით მაქვს საუბრები, იმაზე თუ რა არის სწორი		,783	
მითითებას რომ ვაძლევ, ბევრჯერ ვუმეორებ, რომ არ დაავიწყდეს		,702	
მის ცხოვრებაში მიმდინარე ყველა მოვლენაზე მუდამ გამოხატავ ჩემს აზრს		,814	
ვთვლი, რომ მუდმივად უნდა ელაპარაკო, რომ ნათქვამმა „იმუშაოს“		,821	
ავტორიტარულობა/დირექტიულობა			
როდესაც ჩემი შვილი აშავებს, მე მას ვსჯი			,839
თუ სიმკაცრეში არ გავზრდი, კარგი ადამიანი არ დადგება			,94

ჩემმა შვილმა კარგად იცის, როგორი გაბრაზება ვიცი	,792
შვილი ვალდებულია შეასრულოს მშობლის ყველა მითითება	,794
როდესაც ჩემი შვილი აშავებს, მე მას ვსჯი	,640

<u>ოჯახის ფუნქციონირების</u> სკალის ცალკეული სუბსკალების ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა , რომ სუბსკალები ერთ კომპონენტიანი იყო, თუმცა, ერთიანი სკალის გადამოწმების დროს, დებულებები გაიშალა სხვადასხვა ფაქტორში და საჭირო გახდა მათი საერთო მახასიათებლის მიხედვით, ხელახალი გადანაწილება. (იხ. ცხრილი № 8):

ცხრილი № 8 ოჯახის ფუნქციონირების სკალის ფაქტორული ანალიზი

ფაქტორები და კოეფიციენტები დებულება	1	2	3	4	5	6
როლები						
მუდმივად ვუწყობთ ხელს ერთმანეთს საქმიანობაში	,802					
ყველას გვაქვს გაცნობიერებული ჩვენი წვლილი ოჯახის კეთილდღეობაში	,719					
საოჯახო საქმეები შეთანხმებულად გვაქვს გადანაწილებული	,716					
ოჯახში ჩვენს პასუხისმგებლობებს ყველა ვასრულებთ	,629					
პრობლემის გადაჭრის ფუნქცია						
ჩვენი ოჯახი ოჯახში არსებულ გამოწვევებს წარმატებით ვუმკლავდებით		,808				

შეგვიძლია ნებისმიერი ოჯახური პრობლემა გადავჭრათ ერთად	, 805			
ემოციური რეაგირება				
ოჯახში ერთმანეთის აზრს პატივს ვცემთ		,786		
გვაქვს ძალიან ღია და პოზიტიური ურთიერთობები		,748		
ოჯახის წევრებმა მუდამ ვიცით სიახლეები ერთმანეთის შესახებ		,603		
როდესაც რამე არ მოგვწონს, ამას თამამად განვიხილავთ		,534		
კომუნიკაცია				
ყოველთვის ვიცი რით არის დაკავებული ოჯახის წევრი			,771	
დღის ბოლოს ერთმანეთს აუცილებლად ვუზიარებთ განვლილი დღის ამბებს			,770	
ემოციური ჩართულობა				
ჩვენს ოჯახში არსებობს მიუღებელი და მისაღები ქცევის მაგალითები				,872
მნიშვნელოვან საკითხებზე ერთმანეთს მუდამ ვაძლევთ უკუკავშირს				,591
ოჯახში მუდამ ვიცით ვის რა მოსწონს და რა არა				,536
ქცევის კონტროლი				

როდესაც რამე პრობლემა გვაქვს ოჯახში, მასზე ერთად მსჯელობა უფრო ეფექტურია	,853
ოჯახში ყოველთვის ვიცით როგორ მოვიქცეთ სწორედ ,ამა თუ იმ სიტუაციაში	,660
ოჯახში ზუსტად ვიცით, რომელი ქცევა არ არის მისაღები	, 560

<u>ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის</u> გასაზომად შემუშავებული დებულებები გვქონდა ერთ ფაქტორში, თუმცა, ფაქტორულმა ანალიზმა ისინი ორ ფაქტორში გადაანაწილა და შინაარსობლივად მხარდაჭერის არსებულ და მოსალოდნელ განცდას შორის გადანაწილდა (იხ. ცხრილი № 9):

ცხრილი № 9 ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის სკალის ფაქტორული ანალიზი

ფაქტორები და კოეფიციენტი დებულება	1	2
მხარდაჭერის განცდა		
როდესაც ცუდ ხასიათზე ვარ, ზუსტად ვიცი ვინ გამამხნევებს ოჯახში	,893	
პრობლემის შემთხვევაში მუდამ ვიღებ მხარდაჭერას ოჯახის წევრებისგან	,857	
ფინანსური თუ ემოციური მხარდაჭერისთვის ვიცი ვის მივმართო ოჯახში	,500	
მხარდაჭერის მოლოდინი		
მუდმივად ვგრძნობ, რომ არ ვარ მარტო, ოჯახი მხარს მიჭერს		,834
დარწმუნებული ვარ, რაც არ უნდა დამჭირდეს, ოჯახი მარტო არ დამტოვებს		,922

<u>მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის</u> გასაზომად შემუშავებული დებულებების ფაქტორულმა ანალიზმა გამოკვეთა, სანდოობის გაზომვის ეტაპზე, სკალაში იდენტიფიცირებული, დაბალი სანდოობის მქონე 2 დებულება: „ჩემი შვილი ხშირად ბრაზდება“ და „ჩემი შვილის აზრით, მის ცხოვრებაზე კონტროლი მის ხელშია“. მიუხედავად მათი მაღალი ფაქტორული მაჩვენებლისა, ისინი ცალკე გამოეყვნენ სკალას და მათი დაბალი სანდოობის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა მათი ამოღების გადაწყვეტილება. დანარჩენი 13 დებულება კი სუბსკალებში გადანაწილდა (იხ. ცხრილი № 10):

ცხრილი № 10 მშობლის მიერ შეფასებული მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის სკალის ფაქტორული ანალიზი

ფაქტორები და კოეფიციენტები დებულება	1	2	3	4	5
პოზიტიური ემოციები					
ჩემი შვილი ხშირად არის კარგ ხასიათზე	,917				
ჩემი შვილი მთლიანობაში იმედიანად უყურებს მომავალს	,623				
ჩართულობა					
ჩემი შვილი თავის თავს ხშირად უთმობს დროს		,646			
ჩემი შვილი ხშირად იძირება საყვარელ საქმიანობაში		,841			
ჩემი შვილს აინტერესებს ის, რასაც აკეთებს		,961			
პოზიტიური ურთიერთობები					
ჩემი შვილი ხშირად იღებს მხარდაჭერას, ვისგანაც ელის			,850		
ჩემი შვილი თავს დაფასებულად გრძნობს			,901		

ჩემი შვილი მთლიანობაში, თვლის, რომ კარგი ურთიერთობა აქვს გარშემომყოფებთან	,838		
ცხოვრების საზრისი			
სხვების აზრით, მისი საქმიანობა დასაფასებელია		,810	
ჩემი შვილის აზრით, ცხოვრებას აზრი აქვს		,851	
მიღწევები			
მისი მიზნების მისაღწევად დიდ დროს უთმობს			,818
ჩემი შვილი მიზნებს ხშირად აღწევს			,846
ჩემი შვილი უმკლავდება მასზე დაკისრებულ მოვალეობებს			,884

მშობლების კითხვარის შემთხვევაში ნაგულისხმევი სუბსკალების დებულებები, მხოლოდ რამდენიმეს შემთხვევაში არ გაერთიანდა ერთ ფაქტორში და გამოეყო მათ. რის გამოც ორი დებულება ამოღებულ იქნა, სკალის შიგნით დებულებები ხელახლა გადანაწილდა და საჭიროებისამებრ, მოხდა ხელახალი სახელდება.

- **მოზარდი შვილები**

მშობლებისთვის განკუთვნილი კითხვარის ფაქტორული ანალიზის შემდეგ გადავამოწმეთ მოზარდი შვილებისთვის ხელახლად შექმნილი, მაღალი სანდოობის მქონე კითხვარი და მისი შემადგენელი სკალების ფაქტორული განაწილება.

<u>ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის</u> საზომი სკალა, რომელიც შევიმუშავეთ რეპილოტირებისთვის, ერთ კომპონენტიანია და მასში დებულებებს შორის ფაქტორული კავშირი საკმაოდ მაღალია (იხ. ცხრილი № 11):

ცხრილი № 11 მოზარდის ფსიქოსოციალური მხარდაჭერის სკალის ფაქტორული ანალიზი

დებულება	ფაქტორი კოეფიციენტი
ზოგადად, ოჯახისგან ვგრძნობ გვერდში დგომას	.845
ოჯახში მხარს მიჭერს, მაშინაც, თუ შეცდომას ვუშვებ	.808
ოჯახში ზრუნავენ ჩემს კეთილდღეობაზე	.714
ვგრძნობ, რომ ოჯახში პატივს სცემენ ჩემს აზრს	.710
მჯერა, რაც არ უნდა მოხდეს, ოჯახი არ მიმატოვებს	.649

<u>ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა.</u> შვილებისთვის შემუშავებული ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის საზომი სკალის სუბსკალებიც აღმოჩნდა ერთ კომპონენტიანი და მასში დებულებებს შორის ფაქტორული კავშირიც, ასევე, საკმაოდ მაღალი. მიუხედავად, ამისა, ერთიანი სკალის ფაქტორულმა ანალიზმა, დებულებები გადაანაწილა სხვა პრინციპით, მათგან ორი ნაგულისხმევი სკალა: პოზიტიური ემოციები და პოზიტიური ურთიერთობები გააერთიანა დაა საჭირო გახადა, მათი ერთ სკალაში მოქცევა და შესაბამისად, საერთო ნიშნით სახელდება - პოზიტიური გარემო (იხ. ცხრილი № 12):

ცხრილი № 12 მოზარდი შვილის მიერ საკუთარი ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის სკალის ფაქტორული ანალიზი

ფაქტორები და კოეფიციენტები დებულება	1	2	3	4
პოზიტიური გარემო				
ხშირად ვახერხებ გართობას , როგორც მე მინდა	,844			
ზოგადად, ენერგიული/აქტიური ადამიანი ვარ	,743			
ხშირად იმას ვაკეთებ, რაც მიყვარს	.653			
ზოგადად, ბედნიერი ადამიანი ვარ	.614			
შემიძლია ადვილად გავიჩინო მეგობრები	.603			
მიღწევები				
ჩემს მიერ დასახულ მიზნებს ხშირად ვაღწევ		,827		
ჩემს დაგეგმილ საქმეს ბოლომდე მივყვები		,766		

მაქვს ცხოვრებისეული მიზანი/გეგმები	,713	
ცხოვრების საზრისი		
მომწონს კლასგარეშე აქტივობები	,829	
მიყვარს სიახლეები	,825	
ხშირად ვატარებ დროს საყვარელ ადამიანებთან ერთად	,637	
ვიცი, რომ მაქვს ბევრი კარგი თვისება	,462	
ჩართულობა		
მთლიანობაში, ვგრძნობ მეგობრების მხარდაჭერას		,744
მთლიანობაში, კარგი ურთიერთობა მაქვს გარშემომყოფებთან		.723
მთლიანობაში ვუმკლავდები ჩემს მოვალეობებს		.642

საპილოტე კვლევის შეჯამება

მშობლებისთვის შემუშავებული კითხვარის 6 სკალიდან 5 სკალა კვლევის პროცესში შემუშავდა, რომელთა ცალკეული და ერთიანი სანდოობა საპილოტე კვლევამ დაადასტურა. ორი სკალის დებულებების ანალიზმა, გამოავლინა დებულებები, რომელთა ამოღებაც უმნიშვნელოდ ზრდის სკალის სანდოობის მაჩვენებელს. ეს დებულება კოგნიტური ინტერვიუების ეტაპზეც არაერთგვაროვნად შეფასდა. სამიდან ერთი დებულებების გამარტივების მიზნით, მოხდა მისი რეფორმულირება, ხოლო, დანარჩენი ორი დებულების: „ჩემი შვილი ხშირად ბრაზდება“ და „ჩემი შვილის აზრით, მის ცხოვრებაზე კონტროლი მის ხელშია“ ამოღების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად დებულებების მაჩვენებლების ფაქტორული ანალიზის შედეგებთან გადამოწმება გადაწყდა.

შვილებისთვის შექმნილი კითხვარის სანდოობა მართალია საპილოტე კვლევის მონაცემების ანალიზისას არ დადასტურდა, თუმცა, ხელახლად ფორმულირებული დებულებების რეპილოტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მონაცემებმა ორივე

სკალისა (ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა და კეთილდღეობა) და სუბსკალების სანდოობის მაჩვენებელი , ერთად და ცალ-ცალკე იყო მაღალი.

მიუხედავად იმისა, რომ ალფას კოეფიციენტის სიდიდე დამოკიდებულია სკალაში არსებული დებულებების სიმრავლეზე, ის არ გულისხმობს, რომ მრავალ დებულებიანი სკალა ერთგანზომილებიანია, ის უბრალოდ მის სანდოობას საზღვრავს, ხოლო სკალაში, განზომილებებსა და დებულებებით საკვლევ მიზნების იდენტიფიცირებისათვის ეფექტური საშუალებაა ფაქტორული ანალიზი (Gliem & Gliem, 2003).

პილოტი/რეპილოტი დაგვეხმარა კონსტრუქტების დაზუსტებაში, კვლევის შერჩეული დიზაინის მიზანშეწონილობის დადგენასა და არსებული კითხვების ამოკლება-რეფორმულირების საკითხის გადაწყვეტაში (Aithal & Aithal, 2020). გარდა ამისა, შევძელით განგვესაზღვრა, რამდენად მიღწევადია საკვლევი მიზანი, რამდენად ვალიდურია ინსტრუმენტი (Bujang et al., 2022). ინსტრუმენტის სტანდარტიზაციის პროცესში, ფაქტორულმა ანალიზმა საჭირო გახადა სუბსკალებში დებულებების განსხვავებული გადანაწილება და ზოგიერთ შემთხვევაში სკალის სახელდების შეცვლა განხილული ლიტერატურისგან განსხვავებით. ეს აიხსნება კულტურული თავისებურებით და გარკვეულწილად, კვლევის სიახლეს წარმოადგენს (იხ. დანართი № 1 და № 2).

აღსანიშნავია, ისიც, რომ შედეგების სანდოობასა და ვალიდურობაზე გავლენა, თავის მხრივ, იქონია შერჩევის ოდენობამ და იგულისხმება, რომ ძირითად ველზე აღნიშნული მახასიათებლების მქონე ინსტრუმენტი მეტად სანდოდ და ვალიდურად იმუშავებს.

6.2. საველე კვლევის მეორე ნაწილი

6.2.1. კვლევის შერჩევა და პროცედურა

მიზნის მისაღწევად კვლევის პირველ ეტაპზე შემუშავდა გამოყენებისთვის მოქნილი და მარტივი კითხვარი, რომელიც დაეფუძნა რელევანტურ სამეცნიერო ლიტერატურას, გაიარა სტანდარტიზაციის პროცედურა და წარმოადგენს აღნიშნული

საკითხის ერთიანი პრინციპით/ მიდგომით საკვლევად მკვლევრის/თერაპევტის საორიენტაციო საშუალებას. კვლევა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 167 ოჯახმა, სულ 501-მა ადამიანმა, 167 - დედა, 167 - მამა და მათი 11-18[5] წლის მოზარდმა შვილებმა. კვლევის ამ ეტაპზე მონაწილეობა გულისხმობდა კვლევის პირველი ეტაპის შედეგად სტანდარტიზებული თვით-ანგარიშის ტიპის ინსტრუმენტის ნაბეჭდი ვერსიის შევსებას, რომელსაც თან ერთოდა „ინფორმირებული თანხმობის ფორმა“ (იხ. დანართი № 3). კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი და ყველა რესპონდენტი წინასწარ იყო ინფორმირებული კვლევის მიზანზე, კითხვარის შევსების ინსტრუქციის დეტალებსა და მათ უფლებაზე გამოეტოვებინათ არასასურველი კითხვა და/ან გამოთიშვოდნენ კვლევის პროცესს. რესპონდენტთა მოძიების პროცესში გამოყენებულ იქნა მიზანმიმართული, ხელმისაწვდომი შერჩევა და „თოვლის გუნდა“. კვლევაში მონაწილეობის აუცილებელი პირობა გახლდათ წყვილი, რომელიც იქნებოდა ქორწინებაში და ჰყავდათ მინიმუმ ერთი მოზარდობის ასაკის შვილი. აღნიშნული ასაკის რამდენიმე შვილის არსებობის შემთხვევაში, მონაწილეობდა მხოლოდ ერთი შვილი და მშობლებიც შეთავაზებულ დებულებებზე პოზიციას, კვლევის მონაწილე ბავშვის მიმართ აფიქსირებდნენ. მონაწილეებს ვთხოვდით შეეფასებინათ ინსტრუმენტში მოყვანილი თითოეული დებულების შინაარსისადმი მათი თანხმობის ხარისხი 1-5 ბალიან სკალაზე.

კვლევის ინსტრუმენტი წარმოადგენდა საკვლევი მიზნის მისაღწევად, კვლევის პირველ ეტაპზე შექმნილ კითხვარს, რომელიც მშობლების შემთხვევაში შედგებოდა შემდეგი ბლოკებისგან:

- დემოგრაფიული მონაცემები (სქესი, ასაკი, განათლება, საცხოვრებელი ადგილი)
- ფინანსური მდგომარეობის აღქმის სკალა
- ცოლ-ქმრული შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის საკვლევი კითხვარი
- ცოლ-ქმრული კონფლიქტის ტენდენციის საზომი სკალა

[5] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ https://www.healthychildren.org/English/ages-stages/teen/Pages/Stages-of-Adolescence.aspx, ბოლო წვდომის თარიღი: 15.05.2023

• აღზრდის სტილის საკვლევი სკალა

• ოჯახის ფუნქციონირების საზომი სკალა

• ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის სკალა

• მშობლის მიერ შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის შეფასების სკალა

მოზარდი შვილები კი ავსებდნენ მხოლოდ სამ ბლოკს, ესენია:

• დემოგრაფიული მონაცემები (სქესი, ასაკი, ოჯახში წევრების რაოდენობა, დედ-მამის შვილის არსებობა)

• ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის სკალა

• ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის შეფასების სკალა

როგორც აღინიშნა, კვლევის ამ ეტაპზე გამოყენებულ იქნა საკვლევი მიზნების მისაღწევად შემუშავებული საკვლევი ინსტრუმენტი, რომლის საკვანძო სკალასაც წარმოადგენს „ცოლქმრული კონფლიქტის ტენდენციები“-ს საზომი დებულებები. კვლევის მიზნებისთვის აღნიშნული სკალის მნიშვნელოვნებიდან და მისი შემადგენელი დებულებების სიმცირიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, თავი დაგვეზღვია და ინა შანავას სადისერტაციო ნაშრომის (2016) ფარგლებში შემუშავებული, აპრობირებული კითხვარიც გამოგვეყენებინა, რაც მეტად უტყუარი შედეგის მიღების ალბათობას გაზრდიდა. აღნიშნული სკალების წყვილში გამოყენებამ გაზარდა ჩვენს მიერ შემუშავებული ცოლ-ქმრული კონფლიქტის ტენდენციის საზომი სკალის ვალიდობა და მთლიანად კითხვარის გამოყენების ეფექტურობა.

6.2.2. საკვლევი საკითხი და ჰიპოთეზები

მოცემული კვლევის მიზანი იყო ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლისა და მოზარდი შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის კავშირზე გავლენის უნარიანი ცვლადების დადგენა და მათი მოდერაციული და მედიაციური ანალიზი. კვლევას აინტერესებდა რა შემთხვევაში იცვლება ოჯახში, ცოლ-ქმარს შორის არსებული კონფლიქტის მაჩვენებლისა და შვილის კეთილდღეობას შორის არსებული კავშირი.

კვლევის პირველ ეტაპზე ლიტერატურის განხილვის შედეგად ვასკვნით, რომ მოზარდის კეთილდღეობაზე საუბრისას არამხოლოდ ცოლ-ქმრული კონფლიქტის დონე, არამედ ოჯახში მიმდინარე სხვა პროცესებიც იმსახურებენ ყურადღებას. განხილული ლიტერატურის შეჯამებისას გამოიკვეთა რამდენიმე გავლენისუნარიანი ცვლადი, რომელიც სხვადასხვა ავტორთან განსხვავებულ როლს თამაშობდა ცოლ-ქმრული კონფლიქტისა და შვილის კეთილდღეობის მაკავშირებელ პროცესში. მათ შორისაა: *ოჯახის ფუნქციონირება, ფინანსური მდგომარეობის აღქმა, აღზრდის სტილი,ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდა და დემოგრაფიული მონაცემები.*

კვლევის მომდევნო ეტაპზე შეიქმნა იდენტიფიცირებული გავლენის უნარიანი ცვლადების საკვლევი ინსტრუმენტი, რომელიც დაგვეხმარა ოჯახში მოზარდის ფსიქო-სოციალურ კმაყოფილებაზე გავლენის უნარიანი ცვლადებისა და მათი როლის კვლევაში. შემდგომ, შევიმუშავეთ საკვლევი ჰიპოთეზები და მესამე ეტაპზე გადავამოწმეთ საკვლევი განზომილებების მოდერაციული და მედიაციური როლი.

მედიატორი წარმოადგენს ე.წ. შუამავალ რგოლს დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის, რაც გულისხმობს, რომ მისი მოშორებით ეს კავშირი დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის ქრება და ან მნიშვნელოვნად სუსტდება. მედიატორი გახლავთ დამოუკიდებელი ცვლადის გამომდინარე შედეგი და ასევე, დამოკიდებული ცვლადის წინამძღვარი. მოკლედ რომ ვთქვათ, ის ორ ცვლად შორის არსებულ კორელაციურ კავშირს სძენს შინაარსს (Baron & Kenny, 1986). მედიაცია შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი, რა დროსაც არაპირდაპირი გულისხმობს დამოუკიდებელი ცვლადის დამოკიდებულ ცვლადზე გავლენის მოხდენას მედიატორის, გამაშუალებელი ცვლადის საშუალებით (მედიატორის მოშორებით კავშირი ქრება), ხოლო პირდაპირი მედიაცია კი დამოუკიდებელი ცვლადის გავლენის უნარიანობას გულისხმობს გამაშუალებელი ცვლადის არსებობისგან დამოუკიდებლად (Zhu et al., 2022).

მოდერატორი ცვლადი კი, მედიატორი ცვლადისგან განსხვავებით მხოლოდ ცვლის დამოუკიდებელი (X) და (Y) დამოკიდებული ცვლადებს შორის არსებულ დამოკიდებულების ხარისხს (აძლიერებს, ასუსტებს). გარდა ამისა, მოდერატორი არ

შეიძლება იცვლებოდეს და ან გამომდინარეობდეს დამოუკიდებელი (X) ცვლადიდან. ის მხოლოდ დამოუკიდებელ (X) და დამოკიდებულ (Y) ცვლადებს შორის არსებული კავშირის გამაძლიერებელი და ან შემამსუბუქებელი, დამატებითი ცვლადია (Mo) (Baron & Kenny, 1986), რომელიც განაპირობებს და რომლითაც იხსნება დამოკიდებული ცვლადი (Memon et al., 2019).

მედიაციის და მოდერაციის სტატისტიკური გამოთვლა, გულისხმობს შემდეგ საფეხურებს:

1) მარტივი წრფივი რეგრესია (X) და (Y) ცვლადების ურთიერთმიმართების დასადგენად;
2) განსაზღვრა იმის, თუ როგორ კორელირებენ (X) და (Me),(Mo); (Me) (Mo) და (Y) ცვლადები ერთმანეთში;
3) შედეგად, მედიაციის შემთხვევაში უნდა დადასტურდეს წრფივი კავშირი (X) და (Me); (Me) და (Y) ცვლადებს შორის. მაშინ როდესაც მოდერაციის შემთხვევაში, (X) არ უნდა ხსნიდეს (Mo) ცვლადს, თუმცა (Y) ცვლადი უნდა გამომდინარეობდეს (Mo) ცვლადიდან;
4) მედიაციური და მოდერაციული ეფექტის გასაგებად SPSS via Process Macro-ს შესაბამისი მოდელების გამოყენება (Baron & Kenny, 1986; Whisman & McClelland, 2005).

იმის გასაზომად, თუ როგორ ცვლის მედიაციური (Me) და მოდერაციული (Mo) ცვლადი (X) და (Y) ცვლადებს შორის ურთიერთმიმართებას, იზომება R^2, რომელიც განსაზღვრავს ცვლადების მედიაციურ და მოდერაციულ ეფექტს დამოკიდებულ ცვლადზე. მოდერაციული ცვლადის დადგენა საკმაოდ რთული პროცესია, როდესაც არ არის შერჩევა ჰომოგენური, კვლევის დიზაინი სტანდარტიზებული და საკვლევი ცვლადები კი ოპერაციონალიზებული.

წინამდებარე კვლევაში რესპონდენტთა მიზანმიმართულმა შერჩევამ და სტანდარტიზებულმა დიზაინმა გაამარტივა ცოლ-ქმრული კონფლიქტისა და მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის კავშირზე, ნაგულისხმევი, გავლენის უნარიანი ცვლადების მოდერაციული და მედიაციური როლების კვლევა. მედიაციური და მოდერაციული ეფექტის გასაზომად, უნდა არსებობდეს

დამაკმაყოფილებელი წინაპირობა, კერძოდ, დამოუკიდებელ (X) და (Y) დამოკიდებულ ცვლადებს შორის დადასტურებული კავშირი p<0.005 (Whisman & McClelland, 2005), რომელიც შესაბამის ცხრილში მოცემულია BETA-ს სახით, და 0.5- და მეტი ძლიერ ეფექტს გულისხმობს, ხოლო 0.4 ზე ნაკლები კი სუსტს. თუმცა მაინც დამოკიდებულია საკვლევ სფეროზე და ეს განაწილება არ წარმოადგენს ხისტ სახელმძღვანელოს ინტერპრეტაციისთვის (Fairchild et al., 2009).

ჰიპოთეზების შემუშავებისას გავითვალისწინეთ განხილული ლიტერატურა, საიდანაც გამოიკვეთა საკვლევი განზომილებები და მათი ნავარაუდევი როლები. თუმცა, დავეყრდენით ავტორების (Gafoor & Kurukkan, 2014) მოსაზრებას, რომ, ცოლ-ქმრული კონფლიქტების მაჩვენებლისა და შვილის კეთილდღეობის კავშირზე გავლენის უნარიანი ცვლადები მეტ - ნაკლებად საერთოა ყველა კულტურისათვის, თუმცა, მათი მოქმედების სიძლიერე დამოკიდებულია იმ კულტურულ და სოციალურ კონტექსტზე, რომელშიც ცხოვრობს ოჯახი. შესაბამისად, შევიმუშავეთ ჩვენი კულტურისათვის დამახასიათებელი ვარაუდები და გადავწყვიტეთ მათი შემოწმება.

საკვლევი ჰიპოთეზების ერთიანი მოდელის (იგულისხმება დედის და მამის შემთხვევაში) ვიზუალიზაცია შემდეგნაირად გამოიყურება (ჰიპოთეზების მოდელი)



კვლევის ჰიპოთეზები

ჰ.1.1.: დედის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის დონე განაპირობებს მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონეს;



ჰ.1.2.: მამის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის დონე განაპირობებს მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონეს



ჰ.2.1.: ოჯახში დედის ფუნქციონირების დონე მედიატორის როლს ასრულებს დედის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის დონესა და მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონეს შორის;



ჰ.2.2.: ოჯახში მამის ფუნქციონირების დონე მედიატორის როლს ასრულებს მამის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის დონესა და მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონეს შორის;



ჰ.3.1. დედის აღზრდის სტილს აქვს მოდერაციული ეფექტი დედის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის დონისა და მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონის კავშირზე;



ჰ.3..2. მამის აღზრდის სტილს აქვს მოდერაციული ეფექტი მამის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის დონისა და მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონის კავშირზე;



ჰ.4.1. დედის მიერ ოჯახის ფინანსური მდგომარეობის აღქმას აქვს მოდერაციული ეფექტი დედის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის დონისა და მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონის კავშირზე;



ჰ.4.2. მამის მიერ ოჯახის ფინანსური მდგომარეობის აღქმას აქვს მოდერაციული ეფექტი მამის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის დონისა და მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონის კავშირზე;



ჰ.5.1. დედის მიერ ოჯახში ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმას აქვს მოდერაციული ეფექტი დედის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის დონისა და მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონის კავშირზე;



ჰ.5.2. მამის მიერ ოჯახში ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმას მოდერაციული ეფექტი მამის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის დონისა და მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონის კავშირზე;



თავი VII. შედეგების აღწერა და ანალიზი

7.1. დემოგრაფიული მონაცემები

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების დემოგრაფიული მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა:

<u>რესპონდენტების ასაკი -</u> კვლევაში მონაწილე მშობლებისა და შვილების ასაკი იყო დაყოფილი ორ კატეგორიად, მშობლების ასაკი: 30-45 და 46+; ხოლო შვილების ასაკი :11-14 და 15-17 წლები.

გამოკითხულ ოჯახის წევრებს შორის 113 ოჯახი იყო 30-45 წლის; ხოლო 50 წყვილის ასაკი იყო 46+ და 4- მა თავი შეიკავა ასაკის დაფიქსირებისგან. ცოლ-ქმრის ასაკობრივი კატეგორია არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მათი შვილებიდან 11-14 წლის იყო 86 მოზარდი. 80 მოზარდი 15-17 წლის და მხოლოდ ერთმა არ დააფიქსირა ასაკი.

<u>შვილების სქესი -</u> რაც შეეხება მოზარდი შვილების სქესს, გამოკითხულთაგან 89 მოზარდი იყო მდედრობითი სქესის, 78 კი მამრობითი სქესის.

<u>საცხოვრებელი ადგილი -</u> გამოკითხულ ოჯახთაგან 146 ცხოვრობს თბილისში, 8 - ქართლში, 3 -კახეთში, 2- აჭარაში, 1- გურია, 1- იმერეთი, ხოლო 6 ოჯახს არ დაუკონკრეტებია.

<u>ცოლ-ქმრის განათლება -</u> განათლების თვალსაზრისით, გამოკითხულ მშობელთაგან 127 ოჯახში მშობლებს აქვთ უმაღლესი განათლება, 19 -ს პროფესიული და 19-ს საშუალო. ხოლო 3 ოჯახს პასუხი არ დაუკონკრეტებია

<u>დასაქმება -</u> დასაქმების თვალსაზრისით, გამოკითხული ოჯახებიდან 155 მამა დასაქმებულია, 10 დროებით უმუშევარი, ხოლო 2 - მა არ დააფიქსირა მისი პასუხი. რაც შეეხება დედებს, მათგან 109 დასაქმებულია, 17 დროებით უმუშევარი, ხოლო 37 დიასახლისი.

<u>ოჯახში წევრების რაოდენობა -</u> გამოკითხულ ოჯახებიდან 127 ოჯახში ცხოვრობენ მხოლოდ მშობლები და შვილები, 28-ში მათთან ერთად ცხოვრობენ ბებია/პაპა, 11-ში მათთან ერთად სხვა ნათესავი/ები და 1-ში კი ბებია/პაპაც და სხვა ნათესავი/ებიც.

<u>მოზარდის დედ-მამის შვილების რაოდენობა -</u> გამოკითხული 167 მოზარდიდან 136 მოზარდს ჰყავს დედმამიშვილები, საიდანაც 40 რესპონდენტის დედ-მამის შვილი

უფროსია, 67-ის უმცროსი, ხოლო 28 რესპონდენტს ჰყავს მასზე უფროსი და უმცროსი დედ-მამის შვილი.

7.2. საკვლევი ცვლადების მაჩვენებლების კავშირის კვლევა

7.2.1 ცოლ-ქმრული კონფლიქტის ტენდენციურობის ქულების შედარება სკალების მიხედვით

პირველ რიგში დავინტერესდით რამდენად კორელირებს ჩვენს მიერ შემუშავებული ცოლ-ქმრული კონფლიქტის ტენდენციების საზომი სკალით მიღებული შედეგები შანავას (შანავა, 2016) ცოლ-ქმრული შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის საკვლევი კითხვარი"-ს შედეგებთან. სადაც აღმოჩნდა, ჩვენს მიერ შემუშავებული ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის საზომი სკალებისა (კოჰესიურობა, კომუნიკაცია, ადაპტაციურობა) და ინა შანავას (2016) მიერ ადაპტირებული იგივე მიზნობრიობის სკალებს შორის კორელაცია შეადგენს დედების შემთხვევაში მაღალია (.752) , ისევე, როგორც მამებთან (.709)($P<0.05$). ეს გულისხმობს, რომ კვლევის პროცესში შემუშავებული კონფლიქტურობის ტენდენციის საზომ სკალასა და ინა შანავას 2016 წელს შემუშავებული და ადაპტირებული საკვლევ სკალებს შორის მაღალი და სანდო კორელაციაა, რაც შემდგომ კვლევის პროცესში შექმნილი ინსტრუმენტის გამოყენებადობასა და ვალიდობას ზრდის (ცხრილი № 13):

ცხრილი № 13 ცოლ-ქმრული კონფლიქტის სკალების კონვერგენტული კორელაციური ანალიზი

	მამა - (ქიტოშვილი)	დედა - (ქიტოშვილი)
მამა - (შანავა)	.709	
დედა- (შანავა)		.752

$P<0.05$

7.2.2. ჩვენ მიერ შემუშავებული სკალებზე განსხვავებები გენდერულ ჭრილში

ჩვენს მიერ შემუშავებულ სკალაზე მშობლებს შორის განსხვავებების დასადგენად გამოყენებულ იქნა დისპერსიული ანალიზი, რომლის თანახმადაც დადგინდა, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები ვლინდება მხოლოდ აღზრდის

სტილსა და მშობლებს შორის შვილის კეთილდღეობის შეფასებაში (p=0.05) (ცხრილი № 14)

ცხრილი № 14 ცოლ-ქმრის შორის განსხვავებები სკალებზე

საკვლევი განზომილება	დედა (საშუალო)	მამა (საშუალო)	sig
აღზრდის სტილი	2.4413	2.4358	0.05
შვილის კეთილდღეობის შეფასება	4.4814	4.47	0.05

მამის აღზრდის სტილი, დედასთან შედარებით, მეტად დაბალანსებულია (დებულებებზე არდათანხმება და შესაბამისად, სკალაზე დაბალი ჯამური ქულა ნაკლებად რადიკალური აღზრდის სტილს გულისხმობს). ასევე აღმოჩნდა, ისიც რომ მამა დედასთან შედარებით, შვილის კეთილდღეობას ნაკლებად აფასებს .

მშობლებს შორის შეხედულებების სხვაობა სანდოა მხოლოდ აღნიშნულ შემთხვევებში((p=0.05) და იგულისხმება, რომ ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენციაში, ოჯახის ფუნქციონირებაში, მხარდაჭერის განცდაში და ფინანსური მდგომარეობის აღქმაში მშობელთა შორის განსხვავება სანდო არ არის და მათი შეხედულებები მსგავსია (p<0.05), რაც გაამარტივებს ზოგადად ოჯახებში მედიაციური და მოდერაციული ცვლადების კვლევას.

7.2.3. ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია და მოზარდი შვილის კეთილდღეობის მაჩვენებლების ურთიერთმიმართება საკვლევ ცვლადებთან

აღნიშნული საკვლევის სკალის დებულებებზე 1,2,3,4,5 პასუხებს შემოხაზვისას იგულისხმებოდა, რომ ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის საზომ სკალაზე დებულებებზე არ დათანხმება და დაბალი ჯამური ქულა კონფლიქტის ტენდენციაზე მიანიშნებდა, (Olson, 2000; Olson & Lavee, 1989), ასევე, აღზრდის სტილის სკალური დებულებების მიხედვით, დაბალი ჯამური მაჩვენებელი ნაკლებად სიმკაცრეს, ზედმეტ სიტყვიერებასა და სიზარმაცეს გულისხმობდა და ინტერპრეტირდება , როგორც ბალანსირებული და ზომიერი. სხვა შემთხვევაში კი, მაღალი საშუალო ქულა

ფინანსური მდგომარეობის აღქმის, ოჯახის ფუნქციონირების, ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმისა და ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის სკალაზე, გულისხმობდა აღნიშნული საკვლევი განზომილებების კარგ მაჩვენებელს.

ლაიკერტის ხუთბალიანი სკალის სამ დონეზე გადასაყვანად, რესპონდენტების მიღებული სკალური საშუალოების ტრანსფორმირება მოვახდინეთ და დაბალი ქულის მაჩვენებლად ვიგულისხმეთ 0 - 2.33 , საშუალო - 2.34 – 3.68 , ხოლო მაღალი კი 2.69 – 5 ქულა. გამოითვალა საშუალოები და 5 ბალიანი ლაიკერტის სკალაზე მიღებული საშუალოები, მაღალ, დაბალ და საშუალო მაჩვენებლებად გადალაგდა.

ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის საზომ სკალაზე მიღებული შედეგების მიხედვით, დედების 30.5 %-ს აქვს დაბალი ქულები, რაც გულისხმობს საკვლევი დებულებებისადმი არ დათანხმებას და განიხილება, როგორც კონფლიქტურობის ტენდენცია; 58.7 %ს აქვს საშუალო ქულები, რაც დაბალანსებულ ურთიერთობას გულისხმობს, ხოლო 10%-ს კი აქვს მაღალი საშუალო ქულა. ოლსენის (Olson, 2000; Olson & Lavee, 1989) თეორიის მიხედვით, წყვილის ძალიან მაღალი და ძალიან დაბალი ადაპტაციურობა და კოჰესიურობა უნდა იყოს განხილული, როგორც არსებული და ან ნავარაუდევი კონფლიქტურობის ტენდენცია. ამის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯამში 42%ს აქვს კონფლიქტურობის გაცხადებული ან ნაგულისხმევი ტენდენცია, ხოლო 58% - ს კი დაბალანსებული ურთიერთობა. თუმცა, წინამდებარე კვლევის ინტერესს წარმოადგენდა ცოლ-ქმარს შორის არსებული კონფლიქტურობის ტენდენციები და შედეგების ანალიზისას გათვალისწინებული და ინტერპრეტაციისას ამოსავალი წერტილი იქნება ცოლ-ქმრის დაბალი ჯამური ქულა აღნიშნულ სკალაზე (რაც გულისხმობს კონფლიქტის არსებობას).

მამების შემთხვევაში ოდნავ განსხვავებულია მდგომარეობა. მათგან მხოლოდ 12%-მა დააფიქსირა აღნიშნულ დებულებებისადმი დაუთანხმებლობა (მაღალი კონფლიქტურობის ტენდენცია), 46% -ს დაბალანსებული ურთიერთობა აღმოაჩნდა, ხოლო 41.3%-ს კი ჰქონდა მაღალი ქულები (რაც ასევე კონფლიქტის ტენდენციურობაზე მიუთითებს) (ცხრილი № 15.)

ცხრილი № 15. ცოლ-ქმრული კონფლიქტურობა		
	დედა	მამა
დაბალი	30.5%	12%
საშუალო	58.7%	46.1%
მაღალი	10%	41.3%

7.2.4. დედის კონფლიქტურობის ურთიერთმიმართება საკვლევ ცვლადებთან

კვლევის მონაწილე დედების პასუხებიდან ვხედავთ, რომ მათი კონფლიქტურობის ტენდენცია სანდოდ უკავშირდება ოჯახში მათ ფუნქციონირებას, ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმას, ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტურობის ტენდენციის ჯამურ საშუალო მაჩვენებელსა და შვილის ფსიქოსოციალური კეთილდღეობის განცდას. თუმცა, კავშირი არ არის სანდო დედის კონფლიქტურობის ტენდენციასა და მისი აღზრდის სტილს შორის ($p>0.05$) (ცხრილი № 16:

ცხრილი № 16 დედების კონფლიქტურობის ტენდენციის კავშირი საკვლევ ცვლადებთან		
საკვლევი ცვლადი	დედების კონფლიქტურობა	sig
დედის აღზრდის სტილი	.022	.794
დედის ფინანსური მდგომარეობის აღქმა	.395	.000
დედის ოჯახში ფუნქციონირება	.740	.000
დედის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდა	.622	.000
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა	.37	.000

კლასტერული ანალიზით გამოვლინდა, რომ დედის კონფლიქტურობის დონეების შედარებამ მისივე აღზრდის სტილთან, ოჯახის ფუნქციონირებასთან, ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდასთან და შვილის კეთილდღეობის მის და შვილის შეფასების შედეგებთან, რაც უფრო დაბალი საშუალო ქულა აქვს დედას კონფლიქტურობის სკალაზე (რაც მის კონფლიქტურობის მაღალ დონედ ინტერპრეტირდება), მით ნაკლები მაჩვენებელია ოჯახში საკვლევ სხვა განზომილებებში, განსაკუთრებით კი შვილის კეთილდღეობის მის ან შვილის

აღქმაში. გამონაკლისია მხოლოდ აღზრდის სტილის სკალის ჯამური მაჩვენებელი, რომელსაც აქვს დაბალი სანდოობა (p>0.05) (ცხრილი № 17.):

ცხრილი № 17 დედის კონფლიქტურობის ტენდენციის ურთიერთმიმართება საკვლევ ცვლადების საშუალო მაჩვენებელთან

ცოლ-ქმრული კონფლიქტი– ჯამური მაჩვენებელი	აღზრდის სტილი	ოჯახის ფუნქციონირება	ფსიქოსოციალური მხარდაჭერა	შვილის კეთილდღეობა (დედა)	შვილის კეთილდღეობა (შვილი)-
1 დაბალი	2.7	3.8	4.3	4.1	3.9
2 საშუალო	2.8	4.5	4.8	4.6	4.3
3 მაღალი	2.8	4.8	5.0	4.8	4.4
Total	2.8	4.3	4.7	4.5	4.2
Sig.	0.840	0.00	0.000	0.000	0.000

7.2.5 მამის კონფლიქტურობის ურთიერთმიმართება საკვლევ ცვლადებთან

კვლევის მონაწილე მამების პასუხებიდან ვხედავთ, რომ მათი კონფლიქტურობის ტენდენცია სანდოდ უკავშირდება ოჯახში მათ ფუნქციონირებას, ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმას, ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტურობის ტენდენციის ჯამურ საშუალო მაჩვენებელსა და შვილის ფსიქოსოციალური კეთილდღეობის განცდას. თუმცა, კავშირი არ არის სანდო მამის კონფლიქტურობის ტენდენციასა და მისი აღზრდის სტილს შორის(p>0.05). (ცხრილი № 18).

ცხრილი № 18 მამების კონფლიქტურობის ტენდენციის კავშირი საკვლევ ცვლადებთან

საკვლევი ცვლადი	მამის კონფლიქტურობა	sig
მამის აღზრდის სტილი	.124	.146
მამის ფინანსური მდგომარეობის აღქმა	.308	.000
მამის ოჯახში ფუნქციონირება	.821	.000

მამის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდა	.368	.000
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა	.421	.000

კლასტერული ანალიზით გამოვლინდა, რომ მამის კონფლიქტურობის დონეების შედარებით მისივე აღზრდის სტილთან, ოჯახის ფუნქციონირებასთან, ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდასთან და შვილის კეთილდღეობის მისეულ და შვილისეულ შეფასებასთან, დაახლოებით იგივე ტენდენცია გვანახა, რაც დედის შემთხვევაში გამოიკვეთა. მამის შემთხვევაშიც, რაც უფრო დაბალი საშუალო ქულა აქვს მამას კონფლიქტურობის სკალაზე (რაც მის კონფლიქტურობის მაღალ დონედ ინტერპრეტირდება), მით ნაკლები მაჩვენებელია ოჯახში საკვლევ სხვა განზომილებებში, განსაკუთრებით კი შვილის კეთილდღეობის მისეულ ან შვილისეულ აღქმაში. აღნიშნული კავშირი არ დადასტურდა მხოლოდ აღზრდის სტილის საკვლევი სკალის შემთხვევაში, ვინაიდან მონაცემს აქვს დაბალი სანდოობა (p>0.05) (ცხრილი № 19.):

ცხრილი № 19 მამის კონფლიქტურობის ტენდენციის ურთიერთმიმართება საკვლევ ცვლადების საშუალო მაჩვენებელთან

ცოლ-ქმრული კონფლიქტი–ჯამური მაჩვენებელი	აღზრდის სტილი	ოჯახის ფუნქციონირება	ფსიქოსოციალური მხარდაჭერა	შვილის კეთილდღეობა (მამა)	შვილის კეთილდღეობა - (შვილი
1 დაბალი	2.62	3.61	3.88	4.02	3.91
2 საშუალო	2.71	4.17	4.65	4.37	4.36
3 მაღალი	2.76	4.73	4.95	4.73	4.79
Total	2.8	4.3	4.7	4.5	4.2
Sig.	0.693	0.00	0.000	0.000	0.000

7.2.6. შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა

167 გამოკითხული მოზარდის პასუხებიდან კეთილდღეობის დაბალი მაჩვენებელი აღმოაჩნდა 28.7 %-ს, საშუალო - 31.7 %ს, ხოლო, მაღალი - 39.5 პროცენტს (ცხრილი № 20)

ცხრილი № 20 შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა

	შვილი
დაბალი	28.7%
საშუალო	31.7%
მაღალი	39.5%

დავინტერესდით, გვენახა, როგორია შვილის კეთილდღეობის დონესა და მშობლების კონფლიქტურობის ტენდენციის, აღზრდის სტილის, ოჯახის ფუნქციონირების, ფსიქოსოციალური მხარდაჭერისა და ოჯახის ფინანსური მდგომარეობის აღქმის ურთიერთმიმართება.

7.2.6.1. შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის ურთიერთმიმართება საკვლევ ცვლადებთან

აღმოჩნდა, რომ შვილის მიერ საკუთარი თავის კეთილდღეობის შეფასება მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული იმასთან, თუ როგორ აფასებენ მის კეთილდღეობას მშობლები, როგორ ფუნქციონირებს მისი ოჯახი და როგორი ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდა აქვთ მშობლებს ($p<0.05$). თუმცა, მშობლების აღზრდის სტილი და ოჯახის ფინანსური მდგომარეობის აღქმა შვილების ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობასთან სანდოდ დაკავშირებული არ აღმოჩნდა ($p>0.05$) (ცხრილი № 21)

ცხრილი № 21 მოზარდი შვილების კეთილდღეობის კავშირი საკვლევ ცვლადებთან

საკვლევი ცვლადი	შვილის კეთილდღეობა	sig
მამის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობა	.421	.000

დედის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობა	.370	.000
მამის აღზრდის სტილი	-.125	.123
დედის აღზრდის სტილი	-.026	.754
მამის ფინანსური მდგომარეობის აღქმა	.264	.001
დედის ფინანსური მდგომარეობის აღქმა	.183	.020
მამის ოჯახში ფუნქციონირება	..442	.000
დედის ოჯახში ფუნქციონირება	.334	.000
მამის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდა	.244	.002
დედის ფსიქოსოციალური მხარდაჭერის განცდა	.319	.000

გარდა ამისა, საინტერესო იყო ისიც, თუ როგორ ურთიერთმიმართებაშია შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონის ცვლილება საკვლევი განზომილებების საშუალო მაჩვენებლებთან. კლასტერული ანალიზით, აღმოჩნდა, რომ, რაც უფრო იზრდება შვილების კეთილდღეობის დონე, მით მაღალია ცოლ-ქმრული საერთო მაჩვენებლები. მაგ. დაბალი ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის შემთხვევაში, მისი ოჯახის ფუნქციონირებაც დაბალია, მაშინ როცა, კეთილდღეობის დონის ზრდასთან ერთად აღნიშნული მაჩვენებლის ნიშნულიც იმატებს ($p<0.05$). აღსანიშნავია, ისიც, რომ აღზრდის სტილი და ოჯახის ფინანსური მდგომარეობის შვილის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობასთან სანდო კავშირი არ დაფიქსირებულა ($p>0.05$)(ცხრილი № 22.):

ცხრილი № 22 შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის ურთიერთმიმართება საკვლევ ცვლადების საშუალო მაჩვენებლებთან

შვილის კეთილდღეობა - შვილი	შვილის კეთილდღეობა - მშობლების შეფასება	აღზრდის სტილი	ოჯახის ფუნქციონირება	ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა	ცოლ-ქმრული კონფლიქტი–საერთო მაჩვენებელი	ფინანსური მდგომარეობა
1 დაბალი	3.49	2.86	4.12	4.51	4.15	3.97

2 საშუალო	4.16	2.66	4.17	4.53	4.23	4.18
3 მაღალი	4.74	2.81	4.57	4.89	4.58	4.28
Total	4.20	2.78	4.31	4.67	4.35	4.16
Sig	0.000	0.269	0.000	0.000	0.000	0.122

7.3. საკვლევი ცვლადების ურთიერთმიმართების შეფასება

7.3.1. დედის დემოგრაფიული მონაცემების ურთიერთმიმართება მოზარდის მხარდაჭერის განცდასა და კეთილდღეობის დონესთან.

დისპერსიული ანალიზის შედეგად, აღმოჩნდა, რომ:

- საცხოვრებელი ადგილი საშუალოდ ახდენს გავლებას მხოლოდ შვილის მიღწევების განცდაზე და ძლიერად კი მხარდაჭერის განცდაზე;
- დედის ასაკი საშუალო გავლენას ახდენს მხოლოდ შვილის ცხოვრების საზრისზე;
- დედის განათლება საშუალო გავლენას ახდენს შვილის ჩართულობის ხარისხზე
- დედის დასაქმება საშუალო გავლენას ახდენს შვილის ჩართულობის ხარისხზე (ცხრილი № 23):

ცხრილი № 23 დედის დემოგრაფიული მონაცემების ურთიერთმიმართება მოზარდის მხარდაჭერის განცდასა და კეთილდღეობის დონესთან.

საცხოვრებელი ადგილი	Eta	η^2
შვილის მხარდაჭერის განცდა	.312	.097
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (პოზიტიური გარემო)	0.88	.008
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (მიღწევები)	.208	.043
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ცხოვრების საზრისი)	.147	.022
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ჩართულობა)	.187	.035
დედის ასაკი		
შვილის მხარდაჭერის განცდა	.036	.001
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (პოზიტიური გარემო)	.032	.001

შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (მიღწევები)	.137	.019
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ცხოვრების საზრისი)	.201	.040
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ჩართულობა)	.163	.027
დედის განათლება		
შვილის მხარდაჭერის განცდა	.143	.021
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (პოზიტიური გარემო)	.162	.026
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (მიღწევები)	.151	.023
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ცხოვრების საზრისი)	.062	.004
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ჩართულობა)	.224	.050
დედის დასაქმება		
შვილის მხარდაჭერის განცდა	.077	.006
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (პოზიტიური გარემო)	.145	.021
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (მიღწევები)	.166	.028
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ცხოვრების საზრისი)	.109	.012
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ჩართულობა)	.236	.056

7.3.2..მამის დემოგრაფიული მონაცემების ურთიერთმიმართება მოზარდის მხარდაჭერის განცდასა და კეთილდღეობის დონესთან

დისპერსიულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ:

- მამის ასაკი სუსტ გავლენას ახდენს მხოლოდ შვილის ცხოვრების საზრისზე;
- მამის განათლება მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს შვილის მხარდაჭერის განცდასა და კეთილდღეობის დონეზე;
- მამის დასაქმება მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს შვილის მხარდაჭერის განცდასა და კეთილდღეობის დონეზე (ცხრილი № 24 .):

ცხრილი № 24 მამის დემოგრაფიული მონაცემების ურთიერთმიმართება მოზარდის მხარდაჭერის განცდასა და კეთილდღეობის დონესთან		
მამის ასაკი	**Eta**	**η2**
შვილის მხარდაჭერის განცდა	.099	.000
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (პოზიტიური გარემო)	.030	.001
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (მიღწევები)	.065	.004
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ცხოვრების საზრისი)	.204	.042
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ჩართულობა)	.074	.006
მამის განათლება		
შვილის მხარდაჭერის განცდა	.051	.003
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (პოზიტიური გარემო)	.094	.009
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (მიღწევები)	.053	.003
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ცხოვრების საზრისი)	.072	.005
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ჩართულობა)	.106	.011
მამის დასაქმება		
შვილის მხარდაჭერის განცდა	.070	.010
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (პოზიტიური გარემო)	.089	.015
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (მიღწევები)	.011	.001
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ცხოვრების საზრისი)	.035	.02
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ჩართულობა)	.105	.001

7.3.3. შვილის დემოგრაფიული მონაცემების გავლენა მის მხარდაჭერის განცდასა და კეთილდღეობის დონეზე

- შვილის ასაკი მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს მის მხარდაჭერის განცდასა და კეთილდღეობის დონეზე
- შვილის სქესი საშუალო გავლენას ახდენს მის კეთილდღეობის დონეზე
- ოჯახში წევრების რაოდენობა მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს მის მხარდაჭერის განცდასა და კეთილდღეობის დონეზე
- დედ-მამის შვილების არსებობა მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს მის მხარდაჭერის განცდასა და კეთილდღეობის დონეზე (ცხრილი № 25 .)

ცხრილი № 25 შვილის დემოგრაფიული მონაცემების ურთიერთმიმართება მის მხარდაჭერის განცდასა და კეთილდღეობის დონესთან

შვილის ასაკი	Eta	η^2
შვილის მხარდაჭერის განცდა	.167	.028
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (პოზიტიური გარემო)	.169	.028
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (მიღწევები)	.064	.004
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ცხოვრების საზრისი)	.149	.022
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ჩართულობა)	.036	.001
შვილის სქესი	Eta	η2
შვილის მხარდაჭერის განცდა	.129	.017
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (პოზიტიური გარემო)	.156	.024
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (მიღწევები)	.177	.031
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ცხოვრების საზრისი)	.085	.077
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ჩართულობა)	.092	.008
ოჯახში წევრების რაოდენობა		
შვილის მხარდაჭერის განცდა	.123	.015

შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (პოზიტიური გარემო)	.135	.018
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (მიღწევები)	.094	.009
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ცხოვრების საზრისი)	.172	.030
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ჩართულობა)	.116	.014
დედ-მამის შვილების არსებობა	Eta	η2
შვილის მხარდაჭერის განცდა	.062	.004
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (პოზიტიური გარემო)	.013	.000
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (მიღწევები)	.000	.000
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ცხოვრების საზრისი)	.013	.000
შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა (ჩართულობა)	.022	.000

7.4. რეგრესიული ანალიზი

რეგრესიული ანალიზის რამდენიმე ვერსია არსებობს, ამ შემთხვევაში გამოვიყენეთ წრფივი რეგრესია, რომელიც დაგვეხმარა რაოდენობრივი შედეგსა და ამხსნელ ცვლადს შორის კავშირის დადგენაში. ჩვენ გვქონდა ორი ამხსნელი ცვლადი 1) დედის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობა და 2) მამის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობა. ამოცანას წარმოადგენდა პირველ რიგში, ამ ორი ამხსნელი ცვლადის მოზარდის კეთილდღეობის ცვლადთან დაკავშირება და შემდგომ კი, ყველა დანარჩენ ცვლადებს შორის ურთიერთმიმართების დადგენა. მარტივი წრფივი რეგრესიული ანალიზი დაგვეხმარა ჰიპოთეზების შემოწმების პირველ ეტაპზე. ამხსნელ (X) ცვლადსა და გამომდინარე (Y) ცვლადს შორის კორელაციის მანიშნებლის სიდიდეები -1 იდან +1მდე მერყეობს, სადაც +1 თან მიახლოებული სიდიდე ასოციაციის მანიშნებელია.[6]

[6] დამატებითი ინფორმაცია იხილეთ https://dokumen.tips/documents/chapter-9-simple-linear-regression-cmu-hseltman309bookchapter9pdfchapter-9.html?page=1, ბოლო წვდომის თარიღი 19.05.2023

ვიხელმძღვანელეთ მოცემულობით, რომ იმ შემთხვევაში თუ ამხსნელი ცვლადი (X)-ს წრფივი კავშირი არ დგინდება საკვლევ ცვლადებთან, დაუკავშირებელი ცვლადის მედიაციური როლი გამორიცხა. თუმცა, ცვლადს, რომელიც არ გამომდინარეობს (X)-ს მონაცემისგან და/ან არ იხსნება მისით, თუმცა ხსნის (Y) ცვლადს, შეიძლება ჰქონდეს მოდერაციული როლი. ამის საპირისპიროდ, ცვლადი, რომელიც დამოუკიდებელი ცვლადიდან გამომდინარეა და ან მისი დამოუკიდებელი ცვლადის მაჩვენებლის ახსნა შესაძლებელია მოდერაციული ფუნქცია ვერ ექნება (Liu et al., 2020).

7.4.1. დედის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის გავლენა საკვლევ ცვლადებზე

- დედის მიერ შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის შეფასება, კვლევის მონაცემებით, გვევლინება შვილის ფსიქოსოციალური კეთილდღეობის ამხსნელ ცვლადად, R^2 - .434.
- დედის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია, კვლევის მონაცემებით, გვევლინება შვილის ფსიქოსოციალური კეთილდღეობის სუსტ ამხსნელ ცვლადად, R^2 - .137
- აღმოჩნდა, რომ დედის კონფლიქტურობის ტენდენცია გავლენას არ ახდენს მის აღზრდის სტილზე, R^2 -.0200
- დედის კონფლიქტურობა პრედიქტორულ ფუნქციას თამაშობს ოჯახის ფინანსური მდგომარეობის მისეულ აღქმაზე განცდაზე, R^2 -.156
- დედის კონფლიქტურობა გავლენას ახდენს მის ოჯახის ფუნქციონირების დონეზე, R^2 -.547
- დედის კონფლიქტურობა პრედიქტორულ ფუნქციას თამაშობს მისივე ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდაზე, R^2 -.387
- დედის კონფლიქტურობა პრედიქტორულ ფუნქციას თამაშობს მოზარდის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდაზე, R^2 -.145 (ცხრილი № 26 .):

ცხრილი № 26 დედის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის გავლენა საკვლევ ცვლადებზე

მოდელი	B	Std. Error	Beta	t	sig
შვილის კეთილდღეობა - დედა (X) და შვილის კეთილდღეობა - შვილი (Y)	.241	.083	.235	2.917	.004
ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია - დედა (X) და შვილის კეთილდღეობა - შვილი (Y)	.417	.086	.370	4.830	.000
ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია - დედა (X) და აღზრდის სტილი - დედა (Y)	.025	.096	.022	.261	.794
ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია - დედა (X) და ოჯახის ფინანსური მდგომარეობის აღქმა - დედა (Y)	.639	.123	.395	5.206	.000
ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია - დედა (X) და ოჯახის ფუნქციონირება - დედა (Y)	.770	.058	.740	13.19	.000
ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია - დედა (X) და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდა- დედა (Y)	.611	.063	.622	9.660	.000
ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია - დედა (X) და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდა-შვილი (Y)	.356	.072	.381	4.980	.000

7.4.2. მამის კონფლიქტურობის ტენდენციის გავლენა საკვლევ ცვლადებზე

- მამის მიერ შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის შეფასება, კვლევის მონაცემებით, გვევლინება შვილის ფსიქოსოციალური კეთილდღეობის ამხსნელ ცვლადად, R^2 - .524.
- მამის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია, კვლევის მონაცემებით, გვევლინება შვილის ფსიქოსოციალური კეთილდღეობის სანდოდ ამხსნელ ცვლადად, თუმცა, მცირე ეფექტით ,R^2 - .202.
- აღმოჩნდა, რომ მამის კონფლიქტურობის ტენდენცია გავლენას არ ახდენს მის აღზრდის სტილზე, R^2 -.015.
- მამის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია გავლენას ახდენს მის მიერ ოჯახის ფინანსური მდგომარეობის აღქმაზე, R^2 - .095
- მამის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ოჯახურ ფუნქციონირებაზე, R^2 - .674
- მამის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია გავლენას ახდენს ოჯახში მის მხარდაჭერის განცდაზე, R^2 - .135
- მამის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია გავლენას ახდენს ოჯახში შვილის მხარდაჭერის განცდაზე, R^2 - .217. მამის მხარდაჭერის განცდა და შვილის (ცხრილი № 27.):

ცხრილი № 27 მამის კონფლიქტურობის ტენდენციის გავლენა საკვლევ ცვლადებზე

მოდელი	B	Std. Error	Beta	t	sig
შვილის კეთილდღეობა - მამა (X) და შვილის კეთილდღეობა - შვილი (Y)	.417	.092	.364	4.523	.000
ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია - მამა (X) და შვილის კეთილდღეობა - შვილი (Y)	.484	.088	.421	5.526	.000

ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია - მამა (X) და აღზრდის სტილი - მამა(Y)	.162	.111	.124	1.462	.146
ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია - მამა (X) და ფინანსური მდგომარეობის აღქმა - მამა(Y)	.471	.121	.308	3.876	.000
ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია - მამა (X) და ოჯახის ფუნქციონირება - მამა(Y)	.891	.053	.821	16.96	.000
ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია - მამა (X) და ოჯახში ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდა - მამა(Y)	.745	.158	.368	4.727	.000
ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია - მამა (X) და ოჯახში ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდა - შვილი(Y)	.438	.070	.466	6.279	.000

7.4.3. კვლევის პროცესში გამოვლენილი ვარაუდების გადამოწმება

დედის და მამის ფინანსური მდგომარეობის აღქმასა და მხარდაჭერის განცდას (ვინაიდან გამომდინარეობს მათივე ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენციიდან და ამიტომ ვერ ექნება მოდერატორის როლი) შესაძლოა ჰქონდეს მედიატორის ფუნქცია. იგივე ტენდენცია გამოვლინდა მშობლების ცოლ-ქმრული ტენდენციით ახსნილი შვილის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდის დონის შემთხვევაშიც. აღნიშნულ ცვლადების, ჰიპოთეზით (ჰ.2.1. და ჰ.2.2) გათვალისწინებულ მედიაციურ ცვლადის - ოჯახის ფუნქციონირების გარდა მედიაციური ფუნქციის დასადგენად, გამოვიყენეთ რეგრესიული ანალიზი რათა გვენახა პოტენციურ მედიაციურ ცვლადებსა და დამოკიდებულ ცვლადებს შორის კავშირი.

აღმოჩნდა, რომ შვილის ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერის განცდა, მშობლების მიერ ფინანსური მდგომარეობისა და ოჯახში მხარდაჭერის აღქმა ორივე მშობლისა და მათი შვილის შემთხვევაში სუსტად, მაგრამ მაინც სანდოდ ხსნის შვილის ფსიქო-

სოციალური კეთილდღეობის მაჩვენებელს, გამომდინარეობენ მამის და დედის კონფლიქტურობის ტენდენციიდან და შესაბამისად, შეიძლება ჰქონდეთ მედიაციური როლი (p<0,05) (ცხრილი № 28.):

ცხრილი № 28 კვლევის პროცესში გამოვლენილი ვარაუდების რეგრესიული ანალიზი

მოდელი	B	Std. Error	Beta	t	sig
დედის მიერ ოჯახის ფუნქციონირება (X) და შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა - შვილი (Y)	.359	.081	.224	4.422	.000
მამის მიერ ოჯახის ფუნქციონირება (X) და შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა - შვილი (Y)	.484	.080	.442	6.067	.000
დედის მიერ ოჯახის ფინანსური მდგომარეობის აღქმა (X) და შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა - შვილი (Y)	.132	.056	.183	2.345	.020
მამის მიერ ოჯახის ფინანსური მდგომარეობის აღქმა (X) და შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა - შვილი (Y)	..204	.059	.264	3.460	.001
დედის მიერ ოჯახში მხარდაჭერის განცდა (X) და შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა - შვილი (Y)	..366	.086	.319	4.251	.000
მამის მიერ ოჯახში მხარდაჭერის განცდა (X) და შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა - შვილი (Y)	.149	.047	.244	3.186	.002

შვილის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმა (X) და შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა - შვილი (Y)	.618.	.083	.511	7.443	.000

ვიხელმძღვანელეთ ასევე, დისპერსიული ანალიზის შედეგებით, სადაც მოზარდი შვილების საცხოვრებელი ადგილი, სქესი, დედის განათლება და დასაქმება, მშობლების ასაკი გავლენის უნარიანი აღმოჩნდა მოზარდების კეთილდღეობის დონეზე, თუმცა, რეგრესიული ანალიზით შვილების საცხოვრებელი ადგილი, სქესი, დედის განათლება და დასაქმება, მშობლების ასაკი არ გვევლინება მშობლების ცოლ-ქმრული კონფლიქტურობიდან გამომდინარე ცვლადებად და მათივე კეთილდღეობის ამხსნელად (p>0,05) (ცხრილი № 29 .):

ცხრილი № 29 კვლევის პროცესში გამოვლენილი ვარაუდების გადამოწმება

მოდელი	B	Std. Error	Beta	t	sig
სქესი (შვილი) (X) და შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონე(Y)	.150	.082	.142	1.823	.070
საცხოვრებელი ადგილი (X) და შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონე(Y)	-.066	.051	-.104	-1.304	.194
დედის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია (X) და დედის განათლება (Y)	.135	.108	.102	1.247	.214
დედის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია (X) და დედის დასაქმება (Y)	.184.	.140	.108	1.309	.192
დედის დასაქმება (X) და შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონე(Y)	-.018	.121	-.012	-.149	.882

დედის განათლება (X) და შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონე(Y)	.077	.067	.091	.1.157	.249
დედის ასაკი (X) და შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონე(Y)	-.116	.063	-.145	-1.837	.068

7.5. მედიაციური ანალიზი

კვლევის დასაწყისში ჩვენ გვქონდა მედიაციურ ცვლადებზე ორი ჰიპოთეზა :

ჰ.2.1. და ჰ.2.2. ჰიპოთეზების დასადასტურებლად, რომელიც ვარაუდობდა, რომ ოჯახში დედის და მამის ფუნქციონირების დონე მედიატორის როლს ასრულებს დედის და მამის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის დონესა და მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონეს შორის, მედიაციური ანალიზისთვის გამოვიყენეთ PROCESS by Andrew F. Hayes (Procedure for SPSS Release 2.16.1, მოდელი 4

7.5.1. დედის ოჯახში ფუნქციონირების მედიაციური როლი

გადავამოწმეთ მარტივი მედიაციური მოდელი 4-ით (Regorz, 2023), რა დროსაც აღმოჩნდა, რომ დედის ოჯახში ფუნქციონირების მედიაციური ეფექტი გახლავთ მაღალი - 55% და აღნიშნული მონაცემი სანდოა (P<0.05). ჰიპოთეზა ჰ.2.1.: დადასტურდა .

გარდა ამისა, X და Y ცვლადებს შორის დედის ოჯახის ფუნქციონირების ცვლადის პირდაპირ და არაპირდაპირი მედიაციური ანალიზის შეფასებისას აღმოჩნდა, რომ X და Y ცვლადებს შორის პირდაპირი, მედიაციური ცვლადის გავლის გარეშე მოხდენილი გავლენა მეტად ძლიერია. არაპირდაპირი მედიაცია, ნიშნავს ამხსნელი (X) ცვლადის გამომდინარე (Y) ცვლადის შედეგებზე ასახვას მედიატორი (Me) ცვლადის დახმარებით (Liu et al., 2020). აღმოჩნდა, რომ დედის ცოლ-ქმრული

კონფლიქტურობის ტენდენცია დამოუკიდებლად აისახება მოზარდის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე, ოჯახის ფუნქციონირების ცვლილების გარეშე (P<0.05) (ცხრილი№ 30.):

ცხრილი № 30 . დედის ოჯახში ფუნქციონირების მედიაციური როლი

Y: მოზარდის ფსიქოსოციალური კეთილდღეობა

X: დედის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია

M: **დედის ოჯახის ფუნქციონირება**

R	R-sq	MSE	F	dF1	Df2	P
.7411	.5493	.1360	173.0511	1.0000	142.0000	.0000
X: ცვლადის პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტი Y: ცვლადზე						
პირდაპირი ეფექტი			.3396			
არაპირდაპირი ეფექტი			.0816			

რეგრესიულ ანალიზით, ვნახეთ ისიც, რომ დედის ოჯახის ფინანსურმა აღქმამ და ოჯახში ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდამ დაკარგა მოდერატორული როლი (რადგან გამომდინარეობს დედის ცოლ-ქმრული ტენდენციიდან) და გამოიწვია ჰ.4.1; და ჰ.5.1 ჰიპოთეზების უარყოფა, მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ვარაუდებით ამ ცვლადებს უნდა ჰქონოდათ მოდერატორული როლი, რეგრესიული ანალიზის პროცესში გაჩნდა მათი მედიაციური როლის ალბათობა, მიუხედავად გავლენის უნარიანობის დაბალი ეფექტისა, გადავწყვიტეთ გადაგვემოწმებინა.

7.5.1.1. კვლევის პროცესში გამოვლენილი მედიაციური ეფექტის ვარაუდების გადამოწმება

ცვლადების X და Y ცვლადებთან რეგრესიული ანალიზით დადასტურებული კავშირის გათვალისწინებით, შესაძლებელია ჰქონოდათ მედიაციური ფუნქცია ასევე დედისა და შვილის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმასა და დედის ფინანსური მდგომარეობის შეფასებას. დედის და შვილის ფსიქოსოციალური მხარდაჭერის განცდა საშუალო ეფექტის მქონეა და ასრულებს სანდო მედიატორის როლს. რაც

შეეხება ფინანსური მდგომარეობის აღქმას, აღმოჩნდა, რომ მაჩვენებლის სანდოობის მიუხედავად, ($p<0.05$), R^2 არის - .1535, ძალიან სუსტი (ცხრილი № 31.)

ცხრილი № 31 . კვლევის პროცესში გამოვლენილი მედიაციური ეფექტის ვარაუდების გადამოწმება

Y: მოზარდის ფსიქოსოციალური კეთილდღეობა

X: დედის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია

M: **დედის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმა**

R	R-sq	MSE	F	dF1	Df2	P
.6206	.3852	.1613	91.4563	1.0000	146.0000	.0000

Y: მოზარდის ფსიქოსოციალური კეთილდღეობა

X: დედის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია

M: **დედის ფინანსური მდგომარეობის აღქმა**

R	R-sq	MSE	F	dF1	Df2	P
.3918	.1535	5816	26.3020	1.0000	145.0000	.0000

Y: მოზარდის ფსიქოსოციალური კეთილდღეობა

X: დედის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია

M: **მოზარდის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმა**

R	R-sq	MSE	F	dF1	Df2	P
.5560	.3092	.2403	31.9979	2.0000	143.0000	.0000

7.5.2. მამის ოჯახში ფუნქციონირების მედიაციური როლი

გადავამოწმეთ მარტივი მედიაციური მოდელი 4-ით (*PROCESS Templates (Vs. 3 and 4)*, n.d.), რა დროსაც აღმოჩნდა, რომ მამის ოჯახში ფუნქციონირების მედიაციური ეფექტი გახლავთ მაღალი - 68% და აღნიშნული მონაცემი სანდოა ($P<0.05$). ჰიპოთეზა ჰ.2.2.: დადასტურდა .

გარდა ამისა, X და Y ცვლადებს შორის მამის ოჯახის ფუნქციონირების ცვლადის პირდაპირ და არაპირდაპირი მედიაციური ანალიზის შეფასებისას აღმოჩნდა, რომ X და Y ცვლადებს შორის არაპირდაპირი, მედიაციური ცვლადის გავლით მოხდენილი გავლენა მეტად ძლიერია. არაპირდაპირი მედიაცია, ნიშნავს ამხსნელი (X) ცვლადის

გამომდინარე (Y) ცვლადის შედეგებზე ასახვას მედიატორი (Me) ცვლადის დახმარებით (Liu et al., 2020). აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მეტად იცვლება მამის ოჯახის ფუნქციონირება, მით მეტად აისახება მოზარდის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე მამის კონფლიქტურობის ტენდენცია (ცხრილი № 32.):

ცხრილი № 32. მამის ოჯახში ფუნქციონირების მედიაციური როლი

Y: მოზარდის ფსიქოსოციალური კეთილდღეობა

X: მამის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია

M: **მამის ოჯახის ფუნქციონირება**

R	R-sq	MSE	F	dF1	Df2	P
.8246	.6799	.0922	290.9813	1.0000	134.0000	.0000
X: ცვლადის პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტი Y: ცვლადზე						
პირდაპირი ეფექტი			.1649			
არაპირდაპირი ეფექტი			.3148			

რეგრესიულმა ანალიზმა გვაჩვენა ისიც, რომ მამის ოჯახის ფინანსურმა აღქმამ და ოჯახში ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდამ დაკარგა მოდერატორული როლი (რადგან გამომდინარეობს მამის ცოლ-ქმრული ტენდენციიდან) და გამოიწვია ჰ.4.2; და ჰ.5.2 ჰიპოთეზების უარყოფა, მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ვარაუდებით ამ ცვლადებს უნდა ჰქონოდათ მოდერატორული როლი, რეგრესიული ანალიზის პროცესში გაჩნდა მათი მედიაციური როლის ალბათობა, მიუხედავად გავლენის უნარიანობის დაბალი ეფექტისა, გადავწყვიტეთ გადაგვემოწმებინა.

7.5.2.1. კვლევის პროცესში გამოვლენილი მედიაციური ეფექტის ვარაუდების გადამოწმება,

ცვლადების X და Y ცვლადებთან რეგრესიული ანალიზით დადასტურებული კავშირის გათვალისწინებით, შესაძლებელია ჰქონოდათ მედიაციური ფუნქცია ასევე მამისაა და შვილის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმასა და მამის ფინანსური მდგომარეობის შეფასებას. მამისა და შვილის ფსიქოსოციალური მხარდაჭერის განცდა დაბალი ეფექტის მქონეა, თუმცა, ასრულებს სანდო მედიატორის როლს, რაც შეეხება

ფინანსური მდგომარეობის აღქმას, აღმოჩნდა, რომ მაჩვენებლის სანდოობის მიუხედავად, ($p<0.05$), R^2 არის - .0960, ძალიან სუსტი (ცხრილი № 33.)

ცხრილი № 33 კვლევის პროცესში გამოვლენილი მედიაციური ეფექტის ვარაუდების გადამოწმება,

Y: მოზარდის ფსიქოსოციალური კეთილდღეობა

X: მამის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია

M: **მამის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმა**

R	R-sq	MSE	F	dF1	Df2	P
.4446	.1977	.2527	17.2494	2.0000	140.0000	.0000

Y: მოზარდის ფსიქოსოციალური კეთილდღეობა

X: მამის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია

M**: მამის ფინანსური მდგომარეობის აღქმა**

R	R-sq	MSE	F	dF1	Df2	P
.3099	.0960	.4990	14.9749	1.0000	141.0000	.0002

Y: მოზარდის ფსიქოსოციალური კეთილდღეობა

X: მამის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია

M: **მოზარდის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმა**

R	R-sq	MSE	F	dF1	Df2	P
.4741	.2248	.1648	40.5968	1.0000	140.0000	.0000

7.6. მოდერაციული ანალიზი

წრფივი რეგრესიული ანალიზისას აღმოჩნდა, რომ დედის და მამის ფინანსური მდგომარეობის აღქმა და ოჯახში მხარდაჭერის განცდა გამომდინარეობს მათი ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენციიდან. ნახსენებ ცვლადებს შორის აღნიშნული კავშირის დადასტურება გამორიცხავს ფინანსური მდგომარეობის აღქმისა და ოჯახში მხარდაჭერის განცდის მოდერატორულ როლს. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ ჰიპოთეზები ჰ.4.; ჰ.4.2; და ჰ.5.1. ჰ.5.2 არ დადასტურდა

დედისა და მამის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენციიდან, ჰიპოთეზების მიხედვით, არ გამომდინარეობდა მხოლოდ მათი აღზრდის სტილი და შედეგად მოდერატორის როლზე შესამოწმებელი იყო მხოლოდ:

ჰ.3.1. დედის აღზრდის სტილს მოდერაციული ეფექტი დედის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის დონისა და მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონის კავშირზე და

ჰ.3.2. მამის აღზრდის სტილს აქვს მოდერაციული ეფექტი მამის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის დონისა და მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონის კავშირზე;

თუმცა, იმისათვის, რომ ცვლადს მოდერაციული გავლენა ჰქონოდა, აუცილებელია დაკმაყოფილებულიყო აღნიშნული ცვლადის - მშობლის აღზრდის სტილის, როგორც ამხსნელი ცვლადის და მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის, როგორც დამოკიდებული ცვლადის ურთიერთმიმართება. რეგრესულმა ანალიზმა აჩვენა, რომ აღზრდის სტილი, მშობლების შემთხვევაში არ გვევლინება მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის სანდო ამხსნელად ($p>0,05$), რაც თავისთავად გამორიცხავს მშობლის აღზრდის სტილის გავლენის უნარიანობასა და ამით მის მოდერაციულ როლს (ცხრილი № 34.)

ცხრილი № 34 ცოლ-ქმრის აღზრდის სტილის მიმართება მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობასთან

მოდელი	B	Std. Error	Beta	t	Sig.
მამის აღზრდის სტილი (X) და მოზარდის ფსიქო - სოციალური კეთილდღეობა (Y)	-.110	.071	-.125	-1.552	.123
დედის აღზრდის სტილი (X) და მოზარდის ფსიქო - სოციალური კეთილდღეობა (Y)	-.024	.077	-.026	-.314	.754

კვლევის შედეგების შეჯამება/ კვლევის მიგნებები

კვლევის მონაწილე ცოლ-ქმრის უმეტესობა არის თბილისიდან და გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობის ასაკი გახლავთ 30-45წელი. რესპონდენტ მშობელთა უმრავლესობას აქვთ უმაღლესი განათლება, არიან დასაქმებულები, ჰყავთ ერთზე მეტი შვილი და მათი უმრავლესობა ცხოვრობს მხოლოდ შვილი/შვილებთან ერთად. რაც შეეხება შვილების ასაკსა და სქესს, გამოკითხულ მოზარდთაგან ორივე სქესი და ასაკობრივი კატეგორია (11-14 და 15-17 წელი) შერჩევაში მეტ-ნაკლებად თანაბრად არის წარმოდგენილი.

<u>საკვლევი ცვლადების მაჩვენებლების კავშირის კვლევა</u>

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრა მშობლების, ოჯახური წყვილების პასუხების/პოზიციათა მსგავსება. მშობლებს შორის შეხედულებები მსგავსია მათი: ცოლ-ქმრული კონფლიქტის ტენდენციაში; ოჯახის ფუნქციონირებაში; ფინანსური მდგომარეობისა და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმაში ($p<0.05$) და განსხვავებულია აღზრდის სტილსა და შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის შეფასებაში ($p=0.05$).

მონაცემებით ვხედავთ ასევე, რომ რომ დედებს უფრო მაღალი ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია აქვთ მამებთან შედარებით, თუმცა, მათ ჯამურ ქულებს შორის სხვაობა არ არის სანდო.

კლასტერული ანალიზის კვლევის შედეგებიდან, ირკვევა, რომ რაც უფრო მაღალია ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებელი, მით ნაკლებია მათი ოჯახის ფუნქციონირების მაჩვენებელი, ფსიქო-სოციალური მხარდაჭერისა და ფინანსური მდგომარეობის მათეული აღქმა და ასევე, შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის მაჩვენებელი (როგორც მშობლის, ისე შვილის მიერ შეფასებული).

ასევე, შვილების ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობის დონე სანდოდ უკავშირდება მშობლების ოჯახის ფუნქციონირებას, მხარდაჭერის განცდას, ფინანსური მდგომარეობის აღქმასა და კონფლიქტურობის მაჩვენებელს. თუმცა, მშობლების აღზრდის სტილი შვილების ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობასთან სანდოდ

დაკავშირებული არ აღმოჩნდა. გარდა ამისა, თვალნათლივ გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დაბალი, საშუალო და მაღალი მაჩვენებელი პოზიტიურ და სანდო კავშირში იყო მშობლების სკალურ მაჩვენებლების შესაბამის ცვლილებასთან.

ყველა საკვლევი ცვლადი გარდა აღზრდის სტილისა: მშობლების ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია, ოჯახის ფინანსური მდგომარეობის და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმა და ბავშვის ფსიქოს-სოციალური კეთილდღეობის მშობლებისეული და მოზარდის შეხედულებები კორელაციაშია ერთმანეთთან.

კვლევის ვარაუდით, მშობლის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებელი და მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის განცდა უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ერთმანეთთან და კვლევის პირველ ეტაპზე იდენტიფიცირებულ ცვლადებთან: ცოლ-ქმრის აღზრდის სტილი, ოჯახის ფუნქციონირება, ფინანსური მდგომარეობისა და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმა. მათ შორის კორელაციური კვლევის შედეგებიდანვე, შეგვექმნა წარმოდგენა საკვლევის ცვლადების სავარაუდო მოდერაციულ და მედიაციურ როლზე. კერძოდ:

- ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის დონე კორელაციაშია მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონესთან და კვლევის მომდევნო ეტაპზე, შესაძლებელი იყო ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენციას, ჰქონოდა მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის მაჩვენებლის ამხსნელი თვისება (ჰ.1.1. და ჰ.1.2.);
- ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებელი პოზიტიურ კავშირშია მათ ოჯახის ფუნქციონირების მაჩვენებელსა და მოზარდი შვილების კეთილდღეობის დონესთან. შესაბამისად, ცოლ-ქმრის ოჯახის ფუნქციონირების მაჩვენებელს, შესაძლებელია ჰქონოდა მედიაციური ეფექტი (ჰ.2.1. და ჰ.2.2.);
- ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებელი არ კორელირებს ცოლ-ქმრის აღზრდის სტილთან და თავის მხრივ, ცოლ-ქმრის აღზრდის სტილი არ არის კავშირში მოზარდის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობის მაჩვენებელთან. ეს ამცირებს ცოლ-

ქმრის აღზრდის სტილის მედიაციური და მოდერაციული როლის ალბათობა (ჰ.3.1. და ჰ.3.2.);

- გარდა ამისა, ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებელი პოზიტიურ კავშირში აღმოჩნდა, მეუღლეების ფინანსური მდგომარეობისა და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდასთან. ამან შეამცირა მეუღლეების ფინანსური მდგომარეობისა და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდის მოდერაციული როლის ალბათობა (ჰ.4.1., ჰ.4.2. , ჰ.5.1. და ჰ.5.2.), თუმცა, გააჩინა აღნიშნული ცვლადების მედიაციური როლის გადამოწმების საჭიროებას.

<u>საკვლევი ცვლადების ურთიერთმიმართების შეფასება</u>

დისპერსიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ დედის და მამის დემოგრაფიული მონაცემები მოზარდის მხარდაჭერის განცდასა და კეთილდღეობის დონეზე, მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენენ. გამოიკვეთა მხოლოდ ოჯახის საცხოვრებელი ადგილის ძლიერი და დედისა და მამის ასაკისა და დედის განათლების სუსტი გავლენა შვილის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე. ასევე, აღმოჩნდა, რომ მოზარდების ასაკს, ოჯახში წევრების რაოდენობასა და დედ-მამის შვილების არსებობას არსებითი გავლენა არ აქვს მოზარდების ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე. თუმცა, მოზარდების სქესს, მათი მშობლების ასაკს, დედის განათლებასა და დასაქმებას საშუალო გავლენა აქვს მათივე კეთილდღეობისა და მხარდაჭერის განცდაზე. გაჩნდა ინტერესი გადამოწმებულიყო აღნიშნული ცვლადების მოდერაციული როლი.

კორელაციური და დისპერსიული კვლევის შედეგად, შეგვექმნა წარმოდგენა საკვლევის ცვლადების სავარაუდო მოდერაციულ და მედიაციურ როლზე. კვლევის მომდევნო ეტაპზე, კვლევის ჰიპოთეზების გადასამოწმებლად ჯერ გამოვიყენეთ რეგრესიული ანალიზი და შემდგომ კი, კვლევის პროცესში შემუშავებული ვარაუდები, გადავამოწმეთ მოდერაციული და მედიაციური ანალიზით.

<u>რეგრესიული ანალიზი</u>

საკვლევი დამოუკიდებელი ცვლადებისა და გამომდინარე ცვლადების როლის ურთიერთმიმართების დადგენით წრფივი რეგრესიული ანალიზი დაგვეხმარა დაგვეზუსტებინა, რამდენად რეალური იყო ჩვენი ჰიპოთეზები და ცვლადებს შორის,

კორელაციური კვლევისას იდენტიფიცირებული კავშირების როლი. შევამოწმეთ მეუღლეების კონფლიქტურობის ტენდენციის მაჩვენებელი (რომელსაც დამოუკიდებელ ცვლადად მოვიაზრებთ) რამდენად ხსნის, პირველ რიგში შვილის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობის დონეს, შემდგომ ცოლ- ქმრის აღზრდის სტილს, ოჯახში ფუნქციონირებას, მხარდაჭერისა და ფინანსური მდგომარეობის აღქმის დონეს.

გადამოწმდა, ასევე, დისპერსიული ანალიზით გაჩენილი ვარაუდები მშობლების ასაკის, შვილის სქესის, საცხოვრებელი ადგილის, დედის დასაქმებისა და განათლების დონის პრედიქტორული როლზე მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონეზე. თუმცა, აღნიშნული ცვლადები არ გამომდინარეობენ ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლიდან, რაც მათ მედიაციურ როლს გამორიცხავს. ასევე, არ განაპირობებენ მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონეს და ვერ ექნებათ მოდერაციული როლი.

ქართულ და სხვათა საზოგადოებების კვლევებით (Sumbadze, 2006; Weaver & Schofield, 2015; ბავშვის აღზრდის პრაქტიკა საქართველოში, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, 2020) დადასტურებულია, რომ ოჯახის საცხოვრებელი ადგილი, განათლება და ბავშვის ასაკი, მნიშვნელოვნად განაპირობებს იმას, თუ როგორი გარემოა ოჯახში და როგორია მოზარდის ფსიქოსოციალური კეთილდღეობა. ვვარაუდობთ, რომ ჩვენს მიერ მიღებული შედეგები შესაძლებელია შერჩევის მონაწილე ოჯახების არაჰომოგენურობამ განაპირობა. რა დროსაც გაუკონტროლებელი დამატებითი ცვლადები გაჩნდა და კვლევაში ვერ მივიღეთ შესაბამისი პასუხი.

აღმოჩნდა, რომ ცოლ-ქმრულ კონფლიქტურობაზე, როგორც დამოუკიდებელ ცვლადზე დამოკიდებულია მოზარდის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობის დონე და გარდა ამისა, ცოლ-ქმრული: ფსიქოსოციალური მხარდაჭერის განცდა; ოჯახის ფუნქციონირება; ფინანსური მდგომარეობის აღქმასა და შვილის მიერ ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის არსებობის განცდა.

რეგრესიული ანალიზის შედეგებით, ოთხივე ცვლადს, ორივე მეუღლის შემთხვევაში ცოლ-ქმრულ: ფსიქოსოციალური მხარდაჭერის განცდას; ოჯახის ფუნქციონირებას; ფინანსური მდგომარეობის აღქმასა და შვილის მიერ ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის არსებობის განცდას შესაძლოა ჰქონდეს მედიაციურის ფუნქცია ცოლ-ქმრულ კონფლიქტურობასა და მოზარდის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობას შორის.

ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია ორივე მშობლის შემთხვევაში აქვს ძლიერი პრედიქტორული ღირებულება ოჯახის ფუნქციონირების დონესთან. შედარებით სუსტი კი მშობლების ფინანსური მდგომარეობის აღქმასთან. ასევე, მშობლების მიერ და შვილის მიერ ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდის მიმართ.

აღნიშნული ცვლადები გამომდინარეობენ ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენციიდან და ვერ ექნებათ მოდერატორის როლი. რამაც ოჯახის ფუნქციონირების ცვლადის გარდა, ოჯახში ფინანსური მდგომარეობის აღქმასა და მშობლებისა და მოზარდის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდის მედიაციური როლის გადამოწმების კვლევითი ინტერესი გააჩინა. მათი მედიაციური ანალიზისთვის უნდა დაკმაყოფილებულიყო მეორე პირობა, დამოუკიდებელი ცვლადიდან (ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლიდან) გამომდინარე ცვლადები (ოჯახის ფუნქციონირება, ფინანსური მდგომარეობისა და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმა უნდა ყოფილიყო დამოკიდებული ცვლადის (მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის) ამხსნელი ცვლადი. რეგრესიული ანალიზის ამ ეტაპზე შედეგებმა დაადასტურა, რომ მოცემულ კვლევაში მშობლის მიერ ფინანსური მდგომარეობის აღქმა, მშობლებისა და მოზარდების ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმასა და ცოლ-ქმრულ ოჯახის ფუნქციონირების დონეს შეუძლია ახსნას მოზარდის ფსიქოსოციალური კეთილდღეობის დონე. შესაბამისად, აღნიშნულ ცვლადებს ნამდვილად შეიძლება ჰქონოდათ მედიაციური ეფექტი. დაკმაყოფილდა წინაპირობები ჰ.2.1. და ჰ.2.2. ჰიპოთეზებისთვის და არ დადასტურდა ჰ.4.1. , ჰ.4.2., ჰ.5.1. და ჰ.5.2.

როგორც ვხედავთ, რეგრესიულმა ანალიზმა რამდენიმე ჰიპოთეზა უარყო (ჰ.4.1., ჰ.4.2., ჰ.5.1. და ჰ.5.2), და გააჩინა მშობლების ფინანსური მდგომარეობისა და მშობლებისა და

შვილის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმის მედიაციური როლის ვარაუდები, რომელიც გადამოწმდა შემდეგ ეტაპზე.

<u>მედიაციური ანალიზი</u>

ცვლადების მედიაციური ანალიზისას აღმოჩნდა, რომ დედის და მამის შემთხვევაში ცოლ-ქმრული კონფლიქტურობისა და შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობას შორის ძლიერი მედიაციურ ფუნქციას ასრულებს ჰიპოთეზით ნაგულისხმევი მშობლის ოჯახის ფუნქციონირების დონე, თუმცა, დედასთან შედარებით, მამის შემთხვევაში არაპირდაპირი მედიაცია მეტია. დედის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობა პირდაპირ აისახება მოზარდის კეთილდღეობაზე, განურჩევლად იმისა, იცვლის თუ არა ის ფუნქციებს ოჯახში. ხოლო მამის შემთხვევაში კი პირიქით, მამა რომელიც მიუხედავად ცოლ-ქმრული კონფლიქტისა მაინც ასრულებს ოჯახის ფუნქციებს, მოზარდს იცავს ცოლ-ქმრული კონფლიქტის ნეგატიური შედეგებისგან.

ნანა სუმბაძის (Sumbadze, 2006) კვლევის მიხედვით, აღნიშნული სხვაობა შეიძლება აიხსნას ქართული ოჯახის კულტურული თავისებურებით. ქართული ოჯახისთვის დამახასიათებელი კულტურული თავისებურება დედაზე დაკისრებული განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა, რომელსაც უპირობოდ ასრულებს. დედის მიერ წაყენებული მოთხოვნებიც მაღალია და მისი რეპუტაციაც უპირობოა. მამა კი მხოლოდ ბოლო ათწლეულებია ერთვება და ინაწილებს ოჯახის საქმიანობებს, აქამდე მას მხოლოდ ფინანსური უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა და ოჯახის უფროსის სტატუსი ეკავა. დღეს როდესაც მამა უპირობოდ გავლენის უნარიანი არ არის, რადგან მეტი პასუხისმგებლობა ისევ დედაზეა, მამა დედასთან ურთიერთობაზე დამოკიდებულებით იცვლის ოჯახში ფუნქციონირების ხარისხს და ამგვარად იცვლის გავლენისუნარიანობას. შედეგად, ცოლ-ქმრული კონფლიქტის დროს მნიშვნელობას იძენს მამის ოჯახში ფუნქციონირების ხარისხი (Sumbadze, 2006).

გარდა ამისა, მონაცემთა ანალიზისას გამოიკეთა, რომ ორივე მშობლის შემთხვევაში, სუსტ მედიაციურ როლს ფინანსური მდგომარეობის აღქმა, ხოლო ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდა მშობლებსა და მოზარდებში დედის შემთხვევაში

საშუალო, ხოლო მამის შემთხვევაში გააჩნია სუსტი მედიაციური ეფექტი. როგორც აღმოჩნდა, ფინანსური მდგომარეობისა და მხარდაჭერის აღქმა, ჩვენს საზოგადოებაში არ არის დამოუკიდებელი ცვლადები, რომელნიც წარმოადგენენ დამოუკიდებელ დამცავ რესურსს ცხოვრებისეული გამოწვევების წინაშე, არამედ, არიან ცოლ-ქმრული ურთიერთობიდან გამომდინარე მოცემულობები.

დედის და მამის ცოლ-ქმრული კონფლიქტის ტენდენციის მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონეზე ასახვის ხარისხი ორივე მშობლის ოჯახის ფუნქციონირების, გარდა, თავის მხრივ, დამოკიდებული აღმოჩნდა, იმაზე, თუ რამდენად იცვლება მშობლის ოჯახში ფუნქციონირების მაჩვენებელი, რამდენად გრძნობენ მოზარდები და მათი მშობლები მხარდაჭერილად თავს და ასევე, როგორ აღიქვამს მშობელი მის ფინანსურ მდგომარეობას.

კვლევის შედეგებით, ცოლ-ქმრის მიერ ფინანსური მდგომარეობისა და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმის დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ურთიერთობა აქვთ მათ ერთმანეთში. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, საქართველოს კულტურულ მახასიათებელს, ურთიერთდამოკიდებულების ტენდენციურობასა და ოჯახისა და სხვათა აზრის პრიორიტეტულობას ქართველის ყოველდღიურობაში (Sumbadze, 2006), ცოლ-ქმარს შორის არსებული კონფლიქტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ცოლ-ქმრის სუბიექტურ რეალობაზე. ასეთ დროს, მათ, როგორც საზოგადოების დამოკიდებულ წევრებს, აქვთ მხარდაჭერის ნაკლები აღქმა, იბნევიან, მათ ხელთ არსებულ ფინანსებს ნაკლებად აფასებენ, ვერ უზრუნველყოფენ მხარდამჭერ გარემოს ბავშვებისთვის და შედეგად, ზიანდება ბავშვების კეთილდღეობა(Weaver & Schofield, 2015).

<u>მოდერაციული ანალიზი</u>

ცვლადების მოდერაციულმა ანალიზმა აზრი დაკარგა, რამდენადაც ყველა საკვლევი ცვლადი გამომდინარეობდა ნაგულისხმევი დამოუკიდებელი ცვლადისგან (მშობლის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის ტენდენცია), რაც მათ მედიაციურ როლს წინასწარმეტყველებდა; არ გამომდინარეობდა დამოუკიდებელი ცვლადისგან მხოლოდ მშობლების აღზრდის სტილი, რითაც შეეძლო ჰქონოდა მოდერაციული

ეფექტი დამოკიდებულ ცვლადზე (მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა), მოდერაციული ფუნქციის შესაძენად, აღზრდის სტილს დამოკიდებული ცვლადის პრედიქტორული ფუნქცია უნდა ჰქონოდა, თუმცა, აღმოაჩნდა, რომ ორივე მშობლის აღზრდის სტილი არ იყო კავშირში სხვა საკვლევ ცვლადებთან, არ გამომდინარეობდა ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციიდან და ვერ ხსნიდა მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონეს. რის შედეგადაც ვერ შეიძინა მოდერაციული და მედიაციური როლი.

შედეგების ახსნისას, მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას ქართულ კულტურაში არსებული ოჯახის სტილის და აღზრდის თავისებურებები. კვლევები (Sumbadze, 2006; ბავშვის აღზრდის პრაქტიკა საქართველოში, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, 2020) რომელიც იკვლევდა ქართული ოჯახების თავისებურებებს, ხაზს უსვამს ქართულ კულტურულ მოცემულობას, იმის შესახებ რომ საქართველოში აღზრდის სტილი მეტ-ნაკლებად საერთოა, ასახავს მშობლების დამოკიდებულებებს, ატარებს დისპოზიციურ ხასიათს, არ უკავშირდება ოჯახში მიმდინარე ცვლილებებსა და არ ახდენს პირდაპირ გავლენას შვილების კეთილდღეობაზე. მიუხედავად ამისა, ჩვენმა კვლევამ ვერ დაადასტურა აღზრდის სტილის გავლენის უნარიანობა შვილის კეთილდღეობაზე, რაც შესაძლებელია შერჩევის არა ჰომოგენურობით იყოს განპირობებული. აღნიშნული შედეგი საჭიროებს მეტად სიღრმისეულ კვლევას და იმ ცვლადების იდენტიფიცირებას , რომელნიც ამ პროცესზე შეიძლება ახდენდნენ გავლენას.

მიღებული შედეგები კარგად ერგება ჩვენს მიერ კვლევის დასაწყისში არჩეულ თეორიული ჩარჩოს, სადაც ოჯახის სისტემების თეორიის მიხედვით (*Introduction to the Eight Concepts*, n.d.) ოჯახის წევრებს შორის არსებული ურთიერთობები (ყველაზე მეტად კი მშობლების) აისახება ოჯახის წევრების პრობლემურ და არაპრობლემურ ქცევაზე (Johnson & Ray, 2016), ხოლო ემოციური უსაფრთხოების თეორიის მიხედვით, ცოლ-ქმრული კონფლიქტი ქმნის დისკომფორტს, რის შედეგადაც იცვლება ოჯახის ფუნქციონირება, ფინანსური მდგომარეობისა და ოჯახში მხარდაჭერის განცდა.

თავი VIII

ნაშრომის ძირითადი დასკვნები

კვლევა მიზნად ისახავდა ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლისა და მოზარდი შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის კავშირზე გავლენის უნარიანი ცვლადების დადგენასა და მათ მოდერაციულ და მედიაციურ ანალიზს. კვლევას აინტერესებდა რა შემთხვევაში იცვლება ოჯახში, ცოლ-ქმარს შორის არსებული კონფლიქტის მაჩვენებლისა და შვილის კეთილდღეობას შორის არსებული კავშირი. კვლევის პროცესში შემუშავდა და გადამოწმდა ჰიპოთეზები. კვლევის მონაცემების გაანალიზების შედეგად, კვლევის ძირითადი ჰიპოთეზების შემოწმების მიზნით ჩატარებულმა ცვლადთა შორის ურთიერთმიმართების ანალიზმა გვიჩვენა, რომ:

- დედის და მამის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის დონე განაპირობებს მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონეს <u>(დადასტურდა - ჰ1.1.და ჰ.1.2);</u>
- ოჯახში დედის და მამის ფუნქციონირების დონე მედიატორის როლს ასრულებს დედისა და მამის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის დონესა და მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონეს შორის <u>(დადასტურდა - ჰ.2.1 და ჰ.2.2);</u>
- დედის და მამის აღზრდის სტილს არ აქვს მოდერაციული ეფექტი დედისა და მამის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის დონისა და მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონის კავშირზე <u>(არ დადასტურდა - ჰ.3.1. და ჰ.3.2.);</u>
- დედის და მამის მიერ ოჯახის ფინანსური მდგომარეობისა და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმას არ აქვს მოდერაციული ეფექტი დედისა და მამის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის დონისა და მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონის კავშირზე <u>(არ დადასტურდა -</u> ჰ.4.1., ჰ.4.2., ჰ.5.1. და ჰ.5.2.).

კვლევის პროცესში ნაკვლევი ცვლადების მოდერაციულ და მედიაციურ როლზე გაჩენილი ვარაუდების გადამოწმებისას დადგინდა, რომ :

- დედის და მამის მიერ ოჯახის ფინანსური მდგომარეობისა და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის აღქმა მედიატორის როლს ასრულებს დედისა და მამის ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციის დონესა და მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონეს შორის;
- კვლევის მონაწილე ოჯახის დემოგრაფიულ მონაცემებს, მათ: ოჯახის საცხოვრებელი ადგილს, ოჯახში წევრების რაოდენობას, დედ-მამის შვილების არსებობას, შვილების სქესს, შვილებისა და მშობლების ასაკს განათლების დონესა და დასაქმების მაჩვენებელს, მიუხედავად დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადთან დადასტურებული კავშირისა, მოდერაციული და მედიაციური ფუნქცია არ აღმოაჩნდა.

კვლევის ძირითადი ჰიპოთეზების შემოწმების მიზნით ჩატარებული ცვლადთა შორის ურთიერთმიმართების ანალიზით, ვასკვნით, რომ:

- ორივე მშობლის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაღალი ტენდენცია უარყოფითად აისახება მოზარდების ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე;
- ორივე მშობლის ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაღალი ტენდენციის უარყოფითი გავლენა მოზარდების ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე, გარკვეულწილად იხსნება მშობლების ფინანსური მდგომარეობის, მათივე და მათი შვილის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის განცდითა და მშობლების ოჯახის ფუნქციონირების ცვლილებით, რომელიც თან დევს ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მჩვენებლის მატებას;
- კვლევის შედეგად იდენტიფიცირდა მხოლოდ მედიაციური ცვლადები, რომელთაგან ყველაზე დიდი ეფექტის მქონე აღმოჩნდა ოჯახის ფუნქციონირების მაჩვენებელი და მისი ცვლილება;
- კვლევის პროცესში ვერ იდენტიფიცირდა მოდერატორული როლის მქონე ცვლადები, რომელიც ან ამძაფრებს ან ასუსტებს ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის დონეზე ასახვას.

ეს კი გულისხმობს, რომ თუ ცოლ-ქმრული კონფლიქტის მიუხედავად, არ შეიცვლება და ან მხარდაჭერილი იქნება ოჯახის ფუნქციონირება, ფინანსური მდგომარეობისა და მხარდაჭერის აღქმა, ცოლ-ქმრული კონფლიქტის მოზარდის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე ასახვის ხარისხი იქნება დაბალი.

კვლევის პროცესში დადასტურებული მედიაციური ცვლადების სქემა

კვლევის საფუძვლზე გაცემული რეკომენდაციები:

• რეკომენდებულია ოჯახის და მოზარდის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის მხარდაჭერის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ცოლ-ქმრის ოჯახის ფუნქციონირების გაძლიერებას.

• რეკომენდებულია მშობლების მიერ ფინანსური მდგომარეობისა და მათი და მათი შვილის მიერ ოჯახში მხარდაჭერის აღქმის მაჩვენებელზე ზრუნვა.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

მოცემული კვლევა საქართველოში ჩატარებული ოჯახის ფსიქოლოგიის მიმართულებით ერთ-ერთი პირველი გადადგმული ნაბიჯია, რომლის მიზანი იყო ცოლქმრული კონფლიქტურობის ტენდენციისა და შვილების ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის კავშირზე გავლენის უნარიანი ცვლადების იდენტიფიცირება და იდენტიფიცირებული ცვლადების მედიაციური და მოდერაციული როლის დადგენა. სხვა ქვეყნებში ჩატარებული რელევანტური(Dominick, 2018; Kerig, 1998; Miner & Schofield, 2016; Moore et al., 2011; Pruett & Barker, 2009) კვლევების მიხედვით, იდენტიფიცირებული ცვლადები მეტ-ნაკლებად საერთოა, თუმცა მათი გავლენის უნარიანობა უნდა იქნეს შესწავლილიყო კონკრეტულ საზოგადოებაში, კულტურული განსხვავებების გათვალისიწინებით, რამაც შესაძლებელია განსხვავებული როლი შეიძინოს, ვინაიდან, კვლევის კულტურული კონტექსტი არ მოიაზრებს ერთი საზოგადოების კვლევის შედეგების მეორე საზოგადოებზე განზოგადებისას შედეგებში სანდოობას. მოცემული ნაშრომი კი სწორედ ქართულ კულტურაზე ჩატარებულ კვლევას წარმოადგენს.

სადისერტაციო ნაშრომს თეორიული და პრაქტიკული გამოყენება აქვს. ერთი მხრივ, ხელს უწყობს ოჯახის ფსიქოლოგიის სფეროში თეორიული ცოდნის გაფართოებას და მეორე მხრივ, კი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა კვლევის შედეგების გამოსაყენებლად, რაც ოჯახის შესწავლისა და თერაპიული მიზნების გამოყენებისთვის, ერთ-ერთი პირველი წინ გადადგმული ნაბიჯია.

კვლევის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში აქამდე არ არსებობდა სანდო და ვალიდური ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი იქნებოდა მოზარდის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე მოქმედი ფაქტორების კვლევა. მიმდინარე კვლევის პროცესში ადაპტირდა ე.წ. სკრინინგ ინსტრუმენტი, რომელიც დაეხმარება ფსიქოთერაპევტს/ოჯახის მკვლევარს ოჯახური თერაპიის დაგეგმვამდე იკვლიოს და გამოყოს მოზარდის კეთილდღეობაზე მოქმედი ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლიდან გამომდინარე შეცვლილი მაჩვენებლები. მათზე მიზანმიმართული

ფოკუსირება კი შეამცირებს ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის უარყოფით ასახვას მოზარდებზე.

კვლევა მეცნიერული დასაბუთების საფუძველზე ოჯახის ფსიქოლოგიას, როგორც თერაპიულ პრაქტიკულ მიმართულებას, მეტ ემპირიულ საფუძველს შეუქმნის. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით და თერაპიულ სფეროში ემპირიულ საფუძვლების არსებობის აუცილებლობიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოყალიბდეს რეკომენდაციები, რომლებიც მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ოჯახის ფსიქოლოგიის თერაპიულ, პრაქტიკულ და სამეცნიერო კვლევით მიმართულებებს:

1) თერაპიის დასაწყისში, შეფასებისას ბენეფიციარებისთვის, კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული მედიაციური (განსაკუთრებით მამის შემთხვევაში) ცვლადების მნიშვნელოვნების გაზიარება;
2) მოზარდის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვის პროცესში, ცოლ-ქმრის ოჯახის ფუნქციონირების გაუმჯობესებაზე ფოკუსირება.

კვლევის შეზღუდვები და სამომავლო კვლევის რეკომენდაციები

სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა სამიზნე ჯგუფის სპეციფიკურობა, ოჯახის სისტემური(ოჯახის ყველა წევრის) კვლევა . ოჯახის ყველა წევრის დათანხმება, მამების თანხმობის მოპოვება და ან კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ ქორწინებაში მყოფი მოზარდი შვილების მშობლების მოძიება- შესაბამისად ოჯახების არა ერთგვაროვნება, რასაც ვთვლით რომ არის კვლევის შეზღუდვა.

განხილული კვლევების მიხედვით, მშობლებს შორის კონფლიქტის არსებობა, იწვევს აღზრდის სტილის ცვლილებას და ან როგორც მინიმუმ, აისახება შვილის კეთილდღეობაზე. რაც ჩვენს მონაცემებში არ დადასტურდა და შეიძლება აიხსნას ან კულტურული მიზეზით, შერჩევის სიმცირით ან შერჩეული ოჯახების არაერთგვაროვნებით.

კვლევის შედეგები, რომელიც ეხებოდა ოჯახის დემოგრაფიული მონაცემების: ასაკის, სქესის, განათლების, ოჯახში წევრების რაოდენობის მაჩვენებლების დაუდასტურებელ მოდერატორულ ეფექტს. შედეგების სანდოობის მიუხედავად, ასევე, შეიძლება აიხსნას შერჩევის არაჰომოგენურობით.

აღნიშნული შეზღუდვების დასაძლევად, რეკომენდებულია:

- უფრო ფართო მასშტაბიანი კვლევის ჩატარება ჰომოგენურ ოჯახებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

Aithal, A., & Aithal, S. (2020, October 30). *Development and Validation of Survey Questionnaire & Experimental Data – A Systematical Review-based Statistical Approach* [MPRA Paper]. https://mpra.ub.uni-muenchen.de/103996/

Amato, P. R., & Keith, B. (1991). Parental Divorce and Adult Well-Being: A Meta-Analysis. *Journal of Marriage and Family*, *53*(1), 43–58. https://doi.org/10.2307/353132

Argyle, M., Henderson, M., & Furnham, A. (2011). The rules of social relationships. *British Journal of Social Psychology*, *24*, 125–139. https://doi.org/10.1111/j.2044-8309.1985.tb00671.x

Arnold, D. S., O'Leary, S. G., Wolff, L. S., & Acker, M. M. (1993). The Parenting Scale: A measure of dysfunctional parenting in discipline situations. *Psychological Assessment*, *5*(2), 137–144. https://doi.org/10.1037/1040-3590.5.2.137

Baron, R. M., & Kenny, D. A. (1986). The moderator–mediator variable distinction in social psychological research: Conceptual, strategic, and statistical considerations. *Journal of Personality and Social Psychology*, *51*(6), 1173–1182. https://doi.org/10.1037/0022-3514.51.6.1173

Bowlby, J. (1958). The nature of the child's tie to his mother. *The International Journal of Psychoanalysis*, *39*, 350–373.

Bowlby, J. (1982). Attachment and loss: Retrospect and prospect. *American Journal of Orthopsychiatry*, *52*(4), 664–678. https://doi.org/10.1111/j.1939-0025.1982.tb01456.x

Bradbury, T. N., & Fincham, F. D. (1991). A contextual model for advancing the study of marital interaction. In *Cognition in close relationships* (pp. 127–147). Lawrence Erlbaum Associates, Inc.

Bujang, M. A., Yoon, H., Lee, K., & Yee, K. (2022). *A Step-by-step Guide to Questionnaire Validation Research*. https://doi.org/10.5281/zenodo.6801209

Caceres-Delpiano, J., & Giolito, E. (2012). The Impact of Unilateral Divorce on Crime. *Journal of Labor Economics*, *30*(1), 215–248.

Canary, D., Cupach, W., & Messman, S. (1995). *Relationship Conflict: Conflict in Parent-Child, Friendship, and Romantic Relationships*. https://doi.org/10.4135/9781452243795

Compare Child Wellbeing Across the OECD, Doing Better for Children. (2009). OECD. https://www.oecd.org/social/family/43570328.pdf

Comrey, A. L., & Lee, H. B. (2013). *A First Course in Factor Analysis*. Psychology Press.

Croasmun, J. T., & Ostrom, L. (2011). Using Likert-Type Scales in the Social Sciences. *Journal of Adult Education*, *40*(1), 19–22.

Davies, P. T., & Cummings, E. M. (1994). Marital conflict and child adjustment: An emotional security hypothesis. *Psychological Bulletin*, *116*(3), 387–411. https://doi.org/10.1037/0033-2909.116.3.387

Dominick, C. (2018). *Inter-Parental Relationship Quality and its Effects on Children—A literature review to support analysis and*. https://policycommons.net/artifacts/4360065/inter-parental-relationship-quality-and-its-effects-on-children/5156498/

Emery, R. E. (1982). Interparental conflict and the children of discord and divorce. *Psychological Bulletin*, *92*(2), 310–330. https://doi.org/10.1037/0033-2909.92.2.310

Epstein, N. B., Baldwin, L. M., & Bishop, D. S. (1983). The McMaster Family Assessment Device. *Journal of Marital and Family Therapy*, *9*(2), 171–180. https://doi.org/10.1111/j.1752-0606.1983.tb01497.x

Estevez, J. (2019). *Family Conflicts and their Developmental Implications: A Conceptual Analysis of Meanings for the Structure of Relationships*.

Fairchild, A. J., MacKinnon, D. P., Taborga, M. P., & Taylor, A. B. (2009). R2 effect-size measures for mediation analysis. *Behavior Research Methods*, *41*(2), 486–498. https://doi.org/10.3758/BRM.41.2.486

Gafoor, A., & Kurukkan, A. (2014). Construction and Validation of Scale of Parenting Style. *Online Submission*, *2*(4), 315–323.

Gartstein, M., & Iverson, S. (2014). Attachment security: The role of infant, maternal, and contextual factors. *International Journal of Psychology and Psychological Therapy*, *14*, 261–276.

Gliem, J., & Gliem, R. (2003). Calculating, Interpreting, And Reporting Cronbach's Alpha Reliability Coefficient For Likert-Type Scales. *2003 Midwest Research to Practice Conference in Adult, Continuing, and Community Education*.

Guevara, R. M., Moral-García, J. E., Urchaga, J. D., & López-García, S. (2021). Relevant Factors in Adolescent Well-Being: Family and Parental Relationships. *International Journal of Environmental Research and Public Health*, *18*(14), 7666. https://doi.org/10.3390/ijerph18147666

Günindi, Y., Şahin, F., & Demircioğlu, H. (2012). Functions of the family: Family structure and place of residence. *Energy Education Science and Technology Part B: Social and Educational Studies*, *4*, 549–556.

Introduction to the Eight Concepts. (n.d.). The Bowen Center for the Study of the Family. Retrieved August 8, 2023, from https://www.thebowencenter.org/introduction-eight-concepts

Johnson, B. E., & Ray, W. A. (2016). Family Systems Theory. In *Encyclopedia of Family Studies* (pp. 1–5). John Wiley & Sons, Ltd. https://doi.org/10.1002/9781119085621.wbefs130

Kâgitçibaşi, Ç. (1990). Family and socialization in cross-cultural perspective: A model of change. In *Nebraska Symposium on Motivation, 1989: Cross-cultural perspectives* (pp. 135–200). University of Nebraska Press.

Kagitcibasi, C. (2002). A Model of Family Change in Cultural Context. *Online Readings in Psychology and Culture*, *6*(3). https://doi.org/10.9707/2307-0919.1059

Kerig, P. (1998). Moderators and Mediators of the Effects of Interparental Conflict on Children's Adjustment. *Journal of Abnormal Child Psychology*, *26*, 199–212. https://doi.org/10.1023/A:1022672201957

Liu, M., Lycett, K., Moreno-Betancur, M., Wong, T. Y., He, M., Saffery, R., Juonala, M., Kerr, J. A., Wake, M., & Burgner, D. P. (2020). Inflammation mediates the relationship between obesity and retinal vascular calibre in 11-12 year-olds children and mid-life adults. *Scientific Reports*, *10*(1), Article 1. https://doi.org/10.1038/s41598-020-61801-w

Maccoby, E. E., & Martin, J. A. (1983). Socialization in the context of the family: Parent-child interaction. In P. H. Mussen (Series Ed.) & E. M. Hetherington (Vol. Ed.) (Eds.), *Handbook of child psychology: Vol. 4: Socialization, personality and social development ; E. Mavis Hetherington, volume editor* (4th ed, pp. 1–101). Wiley.

Memon, M. A., Cheah, J.-H., Ramayah, T., Ting, H., Chuah, F., & Cham, T. H. (2019). MODERATION ANALYSIS: ISSUES AND GUIDELINES. *Journal of Applied Structural Equation Modeling*, *3*(1), i–xi. https://doi.org/10.47263/JASEM.3(1)01

Miner, J., & Schofield, Th. S. (2016). Mediation and Moderation of Divorce Effects on Children's Behavior Problems. *Journal of Family Psychology*.

Mistry, R. S., & Elenbaas, L. (2021). It's All in the Family: Parents' Economic Worries and Youth's Perceptions of Financial Stress and Educational Outcomes. *Journal of Youth and Adolescence*, *50*(4), 724–738. https://doi.org/10.1007/s10964-021-01393-4

Moore, K., Busby, A., & Bandy, T. (2011). *PARENTAL RELATIONSHIP QUALITY AND CHILD OUTCOMES ACROSS SUBGROUPS*.

Mosmann, C., & Falcke, D. (2011). Marital conflicts: Causes and frequency. *Revista Da SPAGESP*, *12*(2), 5–16.

Olson, D. H. (2000). Circumplex Model of Marital and Family Systems. *Journal of Family Therapy*, *22*(2), 144–167. https://doi.org/10.1111/1467-6427.00144

Olson, D. H., & Lavee, Y. (1989). Family systems and family stress: A family life cycle perspective. In *Family systems and life-span development* (pp. 165–195). Lawrence Erlbaum Associates, Inc.

Pallant, J. (2020). *SPSS Survival Manual: A Step by Step Guide to Data Analysis using IBM SPSS*. McGraw-Hill Education (UK).

Parsons, R. F. B., Talcot. (2013). *Family: Socialization and Interaction Process*. Routledge. https://doi.org/10.4324/9781315824307

Patchin, J. W. (2006). *The Family Context of Childhood Delinquency*. Lfb Scholarly Pub Llc.

PROCESS templates (Vs. 3 and 4). (n.d.). Retrieved August 7, 2023, from http://www.regorz-statistik.de/en/process_3_model_templates.html# moderation

Pruett, M. K., & Barker, R. (2009). Children of divorce: New trends and ongoing dilemmas. In *The Wiley-Blackwell handbook of family psychology* (pp. 463–474). Wiley Blackwell. https://doi.org/10.1002/9781444310238.ch31

Seligman, M. E. P. (2011). *Flourish: A visionary new understanding of happiness and well-being* (pp. xii, 349). Free Press.

Suhr, D., & Shay, M. (2009). *Guidelines for Reliability, Confirmatory and Exploratory Factor Analysis*.

Sumbadze, N. (2006). Georgia. In *Families Across Cultures* (pp. 319–326). Cambridge University Press.

Tasew, A. S., & Getahun, K. K. (2021). Marital conflict among couples: The case of Durbete town, Amhara Region, Ethiopia. *Cogent Psychology*, *8*(1), 1903127. https://doi.org/10.1080/23311908.2021.1903127

Upali, P. (2013). *Role of family as a social institution on children's wellbeing*.

Vandewater, E. A., & Lansford, J. E. (1998). Influences of Family Structure and Parental Conflict on Children's Well-Being. *Family Relations*, *47*(4), 323. https://doi.org/10.2307/585263

Weaver, J. M., & Schofield, T. J. (2015). Mediation and moderation of divorce effects on children's behavior problems. *Journal of Family Psychology*, *29*(1), 39–48. https://doi.org/10.1037/fam0000043

Whisman, M. A., & McClelland, G. H. (2005). Designing, Testing, and Interpreting Interactions and Moderator Effects in Family Research. *Journal of Family Psychology*, *19*(1), 111–120. https://doi.org/10.1037/0893-3200.19.1.111

Willis, G. (2013). *Cognitive Interviewing* [dataset].

Zhu, J., Liu, M., Shu, X., Xiang, S., Jiang, Y., & Li, Y. (2022). The moderating effect of marital conflict on the relationship between social avoidance and socio-emotional functioning among young children in suburban China. *Frontiers in Psychology*, *13*, 1009528. https://doi.org/10.3389/fpsyg.2022.1009528

ალელიშვილი, ნ., ჯანელიძე, ა., ჯიჯავაძე, ნ., & კუხალეიშვილი, თ. (2019). *გარემო ,რომელსაც უყვარს ბავშვი, როგორ შევქმნათ ბავშვზე ორიენტირებული უსაფრთხო გარემო ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემაში.* გაეროს ბავშვთა ფონდი.

ბავშვის აღზრდის პრაქტიკა საქართველოში, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა. (2020). გაეროს ბავშვთა ფონდი.

ბავშვის უფლებათა კოდექსი | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე". (n.d.). Retrieved August 8, 2023, from https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2

გაბუნია, მ. (2010). დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების კრიმინოლოგიური ასპექტები. მართლმსაჯულება და კანონი, *3*((26)'10), 99–100.

საძაგლიშვილი, შ., & ნამიჭეიშვილი, ს. (2014, July). ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასება: კვლევის ანგარიში [Monograph]. ევროკავშირის პროექტი. http://eprints.iliauni.edu.ge/1808/

ფანჯიკიძე, მ. (2014). *პოსტტრავმული ზრდის, ოჯახის ფუნქციონირების და ემოციური ინტელექტის ურთიერთმიმართება,* [ფსიქოლოგიაში ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარსადგენი დისერტაცია]. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

შანავა, ი. (2016). *ადაპტაციისა და შეჭიდულობის ფაქტორების როლი ცოლ-ქმრულ კონფლიქტებში* [სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად]. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

შატბერაშვილი, ნ. (2011). *სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა: სოციალური მუშაობის პერსპექტივა, სახელმძღვანელო სოციალური მუშაობის მაგისტრებისთვის,*. Intellect Press.

დანართები

დანართი № 1 კითხვარი (მშობლები)

ოჯახის ნომერი № _____ **დემოგრაფიული მონაცემები**	
1.სქესი 1) მდედრობითი 2) მამრობითი 2.ასაკი 1) 25-40 2) 41-60 3.საცხოვრებელი ადგილი _____ 4.განათლება 1) საშუალო 2)პროფესიული 3) უმაღლესი 5.ამჟამად ხართ: 1) დასაქმებული 2) დროებით უმუშევარი 3) დიასახლისი/უმუშევარი	
ოჯახის ფინანსური მდგომარეობა	
6.ჩვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა არის დამაკმაყოფილებელი	1 2 3 4 5
7.ჩვენ შეგვიძლია დავისვენოთ ქალაქგარეთ	1 2 3 4 5
8.შეგვიძლია მივცეთ თავს უფლება შევიძინოთ ახალი საყოფაცხოვრებო ტექნიკა	1 2 3 4 5
9.შეგვიძლია მივცეთ თავს უფლება შევიძინოთ ახალი ტანსაცმელი	1 2 3 4 5
10. შეგვიძლია მივცეთ თავს უფლება გავიდეთ მეგობრებთან განსატვირთად	1 2 3 4 5
ცოლქმრული კონფლიქტი	

კოჰესიურობა	
11. მნიშვნელოვან თარიღებს უმეტესად ოჯახთან ერთად აღვნიშნავთ	1 2 3 4 5
12. ძირითად თავისუფალ დროს მეუღლესთან შეთანხმებით ვატარებთ	1 2 3 4 5
13. ჩვენი შვილების მოსაზრებებს, ყოველთვის ვაქცევთ ყურადღებას	1 2 3 4 5
კომუნიკაცია	
14. როდესაც რამე მნიშვნელოვანი ხდება, პირველი ჩემს მეუღლეს ვუზიარებ	1 2 3 4 5
15. ჩვენ ერთმანეთი ძალიან გვიზიდავს	1 2 3 4 5
16. ოჯახურ პრობლემებს ძირითადად მეუღლესთან ერთად ვწყვეტთ	1 2 3 4 5
ადაპტაციურობა	
17. ჩვენს ოჯახში გამოკვეთილი ლიდერი არ არსებობს	1 2 3 4 5
18. საოჯახო საქმეებზე პასუხისმგებლობას მეუღლეები მონაცვლეობით ვიღებთ	1 2 3 4 5
19. ჩვენ მოგვწონს ერთმანეთის მეგობრები	1 2 3 4 5
აღზრდის სტილი	
სიზარმაცე	
20. ჩემი შვილის ცუდ საქციელს ნაკლებად ვაქცევ ყურადღებას	1 2 3 4 5
21. ჩემ შვილის შეცდომებზე ნაკლებად ვდარდობ, მისი საქმე თვითონ იცის	1 2 3 4 5
22. მირჩევნია ბავშვმა არ მკითხოს როგორ მოიქცეს	1 2 3 4 5
23. როცა შვილი არ მპასუხობს ტელეფონზე - „ალბათ არ ცალია“	1 2 3 4 5
24. როცა ჩემი შვილი არ ასრულებს ჩემს თხოვნას, მე მიწევს იმ საქმის გაკეთება	1 2 3 4 5
ზედმეტი სიტყვიერება	
25. როდესაც რამე მაქვს სათქმელი შვილისთვის, ყოველთვის დეტალურად რამდენიმეჯერ ვუხსნი	1 2 3 4 5

26. ჩემს შვილთან გამუდმებით მაქვს საუბრები, იმაზე თუ რა არის სწორი	1 2 3 4 5
27. მითითებას რომ ვაძლევ, ბევრჯერ ვუმეორებ, რომ არ დაავიწყდეს	1 2 3 4 5
28. მის ცხოვრებაში მიმდინარე ყველა მოვლენაზე მუდამ გამოხატავ ჩემს აზრს	1 2 3 4 5
29. ვთვლი, რომ მუდმივად უნდა ელაპარაკო, რომ ნათქვამმა „იმუშაოს“	1 2 3 4 5
დირექტიულობა/ავტორიტარულობა	
30. როდესაც ჩემი შვილი აშავებს, მე მას ვსჯი	1 2 3 4 5
31. თუ სიმკაცრეში არ გავზრდი, კარგი ადამიანი არ დადგება	1 2 3 4 5
32. ჩემმა შვილმა კარგად იცის, როგორი გაბრაზება ვიცი	1 2 3 4 5
33. შვილი ვალდებულია შეასრულოს მშობლის ყველა მითითება	1 2 3 4 5
34. მე უკეთ ვიცი რა სურს ჩემ შვილს	1 2 3 4 5
ოჯახის ფუნქციონირება	
როლები	
35. მუდმივად ვუწყობთ ხელს ერთმანეთს საქმიანობაში	1 2 3 4 5
36. ყველას გვაქვს გაცნობიერებული ჩვენი წვლილი ოჯახის კეთილდღეობაში	1 2 3 4 5
37. საოჯახო საქმეები შეთანხმებულად გვაქვს გადანაწილებული	1 2 3 4 5
38. ოჯახში ჩვენს პასუხისმგებლობებს ყველა ვასრულებთ	1 2 3 4 5
ემოციური რეაგირება	
39. ოჯახში ერთმანეთის აზრს პატივს ვცემთ	1 2 3 4 5
40. გვაქვს ძალიან ღია და პოზიტიური ურთიერთობები	1 2 3 4 5
41. ოჯახის წევრებმა მუდამ ვიცით სიახლეები ერთმანეთის შესახებ	1 2 3 4 5
42. როდესაც რამე არ მოგვწონს, ამას თამამად განვიხილავთ	1 2 3 4 5
კომუნიკაცია	
43. ყოველთვის ვიცი რით არის დაკავებული ოჯახის წევრი	1 2 3 4 5

44. დღის ბოლოს ერთმანეთს აუცილებლად ვუზიარებთ განვლილი დღის ამბებს	1 2 3 4 5
ემოციური ჩართულობა	
45. ჩვენს ოჯახში არსებობს მიუღებელი და მისაღები ქცევის მაგალითები	1 2 3 4 5
46. მნიშვნელოვან საკითხებზე ერთმანეთს მუდამ ვაძლევთ უკუკავშირს	1 2 3 4 5
47. ოჯახში მუდამ ვიცით ვის რა მოსწონს და რა არა	1 2 3 4 5
პრობლემის გადაჭრის ფუნქცია	
48. ჩვენი ოჯახი ოჯახში არსებულ გამოწვევებს წარმატებით ვუმკლავდებით	1 2 3 4 5
49. შეგვიძლია ნებისმიერი ოჯახური პრობლემა გადავჭრათ ერთად	1 2 3 4 5
ქცევის კონტროლი	
50. როდესაც რამე პრობლემა გვაქვს ოჯახში, მასზე ერთად მსჯელობა უფრო ეფექტური	1 2 3 4 5
51. ოჯახში ყოველთვის ვიცით როგორ მოვიქცეთ სწორედ ,ამა თუ იმ სიტუაციაში	1 2 3 4 5
52. ოჯახში ზუსტად ვიცით, რომელი ქცევა არ არის მისაღები	1 2 3 4 5
ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა	
მხარდაჭერის განცდა	
53. როდესაც ცუდ ხასიათზე ვარ, ზუსტად ვიცი ვინ გამამხნევებს ოჯახში	1 2 3 4 5
54. პრობლემის შემთხვევაში მუდამ ვიღებ მხარდაჭერას ოჯახის წევრებისგან	1 2 3 4 5
55. ფინანსური თუ ემოციური მხარდაჭერისთვის ვიცი ვის მივმართო ოჯახში	1 2 3 4 5
მხარდაჭერის მოლოდინი	
56. მუდმივად ვგრძნობ, რომ არ ვარ მარტო, ოჯახი მხარს მიჭერს	1 2 3 4 5

57. დარწმუნებული ვარ, რაც არ უნდა დამჭირდეს, ოჯახი მარტო არ დამტოვებს	1 2 3 4 5
მოზარდი შვილის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა	
პოზიტიური ემოციები	
58. ჩემი შვილი ხშირად არის კარგ ხასიათზე	1 2 3 4 5
59. ჩემი შვილი მთლიანობაში იმედიანად უყურებს მომავალს	1 2 3 4 5
ჩართულობა	
60. ჩემი შვილი თავის თავს ხშირად უთმობს დროს	1 2 3 4 5
61. ჩემი შვილი ხშირად იძირება საყვარელ საქმიანობაში	1 2 3 4 5
62. ჩემი შვილს აინტერესებს ის, რასაც აკეთებს	1 2 3 4 5
პოზიტიური ურთიერთობები	
63. ჩემი შვილი ხშირად იღებს მხარდაჭერას, ვისგანაც ელის	1 2 3 4 5
64. ჩემი შვილი თავს დაფასებულად გრძნობს	1 2 3 4 5
65. ჩემი შვილი მთლიანობაში, თვლის, რომ კარგი ურთიერთობა აქვს გარშემომყოფებთან	1 2 3 4 5
ცხოვრების საზრისი	
66. სხვების აზრით, მისი საქმიანობა დასაფასებელია	1 2 3 4 5
67. ჩემი შვილის აზრით, ცხოვრებას აზრი აქვს	1 2 3 4 5
მიღწევები	
68. მისი მიზნების მისაღწევად დიდ დროს უთმობს	1 2 3 4 5
69. ჩემი შვილი მიზნებს ხშირად აღწევს	1 2 3 4 5
70. ჩემი შვილი უმკლავდება მასზე დაკისრებულ მოვალეობებს	1 2 3 4 5
ზოგადი კითხვები	
71. მთლიანობაში კმაყოფილი ვარ ჩემი ცხოვრებით	1 2 3 4 5
72. ვთვლი, რომ ბევრს მივაღწიე	1 2 3 4 5
73. მომავალს იმედიანად ვუყურებ	1 2 3 4 5
74. ჩემს ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენები კონტროლს ექვემდებარება	1 2 3 4 5
75. ჩემი პარტნიორული ურთიერთობა წარმატებულია	1 2 3 4 5

დანართი № 2 კითხვარი (მოზარდი შვილები)

ოჯახის ნომერი № _____	
დემოგრაფიული მონაცემები	
1.სქესი 1) მდედრობითი 2) მამრობითი 2.ასაკი 1) 11-14 2)15-17 3.საცხოვრებელი ადგილი _____ 4.რამდენი ადამიანი ცხოვრობთ ოჯახში 1) მეუღლები და 1 შვილი 2) მეუღლეები და 2 ან მეტი შვილი 3) მეუღლეები, შვილი/ები და ბებია-ბაბუა/ები 4) მეუღლეები, შვილი/ები და სხვა ნათესავი/ები 5) მეუღლეები, შვილი/ები , ბებია-ბაბუა/ები და სხვა ნათესავი/ები 5.გყავთ თუ არა დედ- მამის შვილი 1) კი 2) არა 6.თუ კი, 1) უფროსი, 2) უმცროსი 3)ორივე 7.თქვენს ოჯახში პირველი შვილი დაბადების თარიღი _____	
ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა	
8.ზოგადად, ოჯახისგან ვგრძნობ გვერდში დგომას	1 2 3 4 5
9.ოჯახში მხარს მიჭერს, მაშინაც, თუ შეცდომას ვუშვებ	1 2 3 4 5
10. ოჯახში ზრუნავენ ჩემს კეთილდღეობაზე	1 2 3 4 5
11. ვგრძნობ, რომ ოჯახში პატივს სცემენ ჩემს აზრს	1 2 3 4 5
12. მჯერა, რაც არ უნდა მოხდეს, ოჯახი არ მიმატოვებს	1 2 3 4 5
ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა	
პოზიტიური გარემო	
13. ხშირად ვახერხებ გართობას , როგორც მე მინდა	1 2 3 4 5
14. ზოგადად, ენერგიული/აქტიური ადამიანი ვარ	1 2 3 4 5
15. ხშირად იმას ვაკეთებ, რაც მიყვარს	1 2 3 4 5

16.	ზოგადად, ბედნიერი ადამიანი ვარ	1 2 3 4 5
17.	შემიძლია ადვილად გავიჩინო მეგობრები	1 2 3 4 5
მიღწევები		
18.	ჩემს მიერ დასახულ მიზნებს ხშირად ვაღწევ	1 2 3 4 5
19.	ჩემს დაგეგმილ საქმეს ბოლომდე მივყვები	1 2 3 4 5
20.	მაქვს ცხოვრებისეული მიზანი/გეგმები	1 2 3 4 5
ცხოვრების საზრისი		
21.	მომწონს კლასგარეშე აქტივობები	1 2 3 4 5
22.	მიყვარს სიახლეები	1 2 3 4 5
23.	ხშირად ვატარებ დროს საყვარელ ადამიანებთან ერთად	1 2 3 4 5
24.	ვიცი, რომ მაქვს ბევრი კარგი თვისება	1 2 3 4 5
ჩართულობა		
25.	მთლიანობაში, ვგრძნობ მეგობრების მხარდაჭერას	1 2 3 4 5
26.	მთლიანობაში, კარგი ურთიერთობა მაქვს გარშემომყოფებთან	1 2 3 4 5
27.	მთლიანობაში ვუმკლავდები ჩემს მოვალეობებს	1 2 3 4 5

დანართი № 3

ინფორმირებული თანხმობის ფორმა

თარიღი ____ _____ ოჯახის ნომერი №

გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა კვლევაში, რომელსაც ნინო ქიტოშვილი ატარებს მისი სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში. კვლევა მიზნად ისახავს ცოლ-ქმრული კონფლიქტურობის მაჩვენებლისა და შვილების კეთილდღეობის კავშირზე გავლენისუნარიანი ცვლადების დადგენასა და მათ მოდერაციულ და მედიაციურ ანალიზს. კვლევას აინტერესებს რა შემთხვევაში იცვლება ცოლ-ქმარ მშობელთა შორის არსებული კონფლიქტის მაჩვენებლისა და შვილის კეთილდღეობას შორის არსებული კავშირის სიმძაფრე.

კვლევის მონაწილეებად მოიაზრებიან ქართულ ენაზე მეტყველი ცოლ - ქმარნი, რომელთაც ჰყავთ 12-17 წლის შვილი.

კვლევაში მონაწილეობა გულისხმობს კითხვარში მოცემულ დებულებებზე თქვენი აზრის დაფიქსირებას, შესაბამისი პასუხის აღმნიშვნელი ციფრის შემოხაზვით, რისთვისაც დაგჭირდებათ 15-20 წთ. მონაწილეობა კონფიდენციალური და ნებაყოფლობითია, ეს გაძლევთ საშუალებას ნებისმიერ დროს გამოეთიშოთ კვლევას და თავიდან აირიდოთ თქვენი ნების საწინააღმდეგო და ან იძულებითი ქმედება. კვლევაში მონაწილეობა არ ნაზღაურდება და მასში მონაწილეობაზე უარის თქმა არ მოიაზრებს რაიმე სანქციას.

გაცნობებთ, რომ თქვენი მონაწილეობით საქართველოში ოჯახის ფსიქოლოგიის სფეროში იარსებებს კვლევა, რომელიც შეისწავლის ცოლქმრული კონფლიქტურობის მაღალი მაჩვენებლის-ოჯახებში მოზარდი შვილების ფსიქოსოციალური კეთილდღეობის ხელშემწყობ და ხელისშემშლელ ფაქტორებს; გარდა ამისა, შემუშავდება რეკომენდაციები მოყვანილი კითხვარის მიზანმიმართულ გამოყენებაზე; მიღებული შედეგების საფუძველზე ოჯახური კონსულტაციისა და ფსიქოთერაპიის განსავითარებლად. ეს კი დაეხმარება, არამხოლოდ, აშკარა

კონფლიქტში მყოფ წყვილებს პრევენცირება გაუკეთონ კონფლიქტის ბავშვებზე ასახვას, არამედ, იქნება ოჯახის თერაპიის მიმართულებით მომუშავე სპეციალისტებისთვის დამხმარე საორიენტაციო საშუალება.

კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაციისა და დამატებითი კითხვების შემთხვევაში, შეგიძლიათ მომმართოთ შემდეგ მისამართზე:

nino.kitoshvili624@pes.tsu.edu.ge

თქვენ გადმოგეცემათ ამ ფორმის ასლი

თუ თანახმა ხართ მონაწილეობა მიიღოთ კვლევაში, გთხოვთ, დააფიქსირეთ ხელის მოწერით:

რესპონდენტის სახელი, გვარი _____

ხელმოწერა _____

კანონიერი მეურვის სახელი, გვარი (არასრულწლოვნის შემთხვევაში) _____

ხელმოწერა _____

მკვლევრის ხელმოწერა _____

Face Validation შეფასებების საშუალო ქულა კითხვების მიხედვით

№	ცოლ=ქმრული კონფლიქტი	აღზრდის სტილი	ოჯახის ფუნქციონირება	ფსიქო-სოც მხარდაჭერა	მოზარდის ფსიქო-სოც კეთილდღეობა
1	10,3	9,6	10,4	10	9,8
2	10,	9,4	10,8	10,3	9,5
3	10,5	8,4	10,4	10,3	10
4	9,3	9,6	10,4	10,1	9,5
5	10,2	10,2	9,8	10,6	9,3
6	10,5	10	10,2		10,5
7	10	10,4	10,4		10,3
8	10	10,4	10		10,3
9	10,3	10,4	10,7		10,6
10	9,6	10,4	10,6		9,4
11		10,4	10,2		10,5
12		10,4	10,4		10,6
13		11	9,6		9,8
14		10,2	10,4		10,5
15		11	10,2		10,2
16			10,2		
17			10,6		
18			9,5		